საქართველოს პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
12 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2013
№292 (14 208) ფასი 80 თეთრი



## ჟორდანია ვიტესში აღარ არის

3

# ქართული კალათბურთის ახალი თავკაცი

## მიხეილ გაბრიჩიძე

**ვეცდები, ქართული კალათბურთი ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ახალ სიმაღლემდე ავიყვანო**



მიხეილ ახვლედიანმა დელეგატებს მოუწოდა, არ მიეღოთ მონაწილეობა ყრილობაში



ბესიკ ლიპარტელიანის 12-წლიანი ეპოქა დასრულდა



თამუნა ყაველაშვილის ფოტო

10



8-9

## ...და მაინც დორტმუნდი

დორტმუნდს მარსელში კევინ გროსკროიტცმა (მარცხნივ) მოაგებინა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

**1/8 ფინალში**

მანჩესტერი
ლევერკუზენი
რეალი
გალათასარაი
პსჟ
ოლიმპიაკოსი
ბაიერნი
სიტი
ჩელსი
შალკე
დორტმუნდი
არსენალი
ატლეტიკო
ზენიტი
ბარსელონა
მილანი



## გალამ იუვე დაიფრინა, არსენალი გადარჩა

გალათასარაი უესლი სნეიდერის გამარჯვების გოლს ზეიმობს

# შაბათობით!

ლელო week

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ, ტური დამთავრდა!

მოსალოცად გვაქვს საქმე: კვირას დაწყებული ტური, როგორც იქნა, გუშინ დასრულდა! აი, ასეთი, აშკარად არასასიამოვნო კორექტივები შეიტანა ამინდმა ჩვენს ჩემპიონატში; ოღონდ, დღევანდელი გადასახედიდან იმას ნამდვილად ვერავინ გეტყვით, როგორ და რა ვითარებაში უნდა გაიმართოს წლის ბოლომდე დარჩენილი ორი ტურის მატჩებიც და, რაც მთავარია, 2013 წლის უკანასკნელი ოფიციალური შეხვედრა: 22 დეკემბერს ხომ საქართველოს სუპერთასის მატჩია დანიშნული!

თუმცა, ამ არახალ პრობლემას (ჩვენთან დეკემბრის... „საფეხბურთო თვედ" გამოცხადებაა) აღარ დავუბუნდებით, - უკვე მერამდენე წელიწადია, „ლელოსა" და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას განსხვავებული პოზიცია აქვს; ოღონდ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციასაც ნუ დავადანაშაულებთ იმაში, რომ იგივე ნოემბრის, ოქტომბრის, სექტემბრისა თუ აგვისტოს ნაცვლად, ჩვენთან მაინცდამაინც დეკემბერში რომ უწევთ გუნდებს ყოველ მეოთხე-მეხუთე დღეს ოფიციალური მატჩების ჩატარება.

ჰო, ხან - სანაკრებო პაუზაა, ხან კიდევ (ამ შემთხვევაში, ზაფხულს ვგულისხმობთ) - ევროტურნირებზე მოასპარეზე ქართული კლუბები არიან წინააღმდეგნი, რომ კვირაში ორი-სამი მატჩი გამართონ. ჰოდა, ვართ ბუნების იმედად: იქნებ, დეკემბრის ყინვამ თუ თოვლმა ჩვენს სტადიონებს... გვერდი აუაროს?!.

ახლა კი, ალბათ დროა, რომ გასულ ტურზე ვისაუბროთ; ტურზე, რომელიც საინტერესოც გამოდგა და, როგორც ყოველთვის, სატურნირო ცხრილშიც გარკვეული გადაადგილება მოხდა. აბა, რაღაც დადებითი ხომ უნდა „ვეძებოთ" წამდაუწუმ და ამ შემთხვევაში, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ ინტრიგას ვგულისხმობთ...

## საინტერესო და სანახაობრივი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორის ნაცვლად „ოთხდღიანი" ტური გამოდგა და ისე დაემთხვა, რომ სატურნირო თვალსაზრისითაც და, რაც მთავარია, თამაშის ხარისხითაც, სწორედ პირველი მატჩი გამოდგა ყველაზე დაძაბულიც და **გუჩაძის** გუნდი ამჯერადაც არაოპტიმალური შემადგენლობით ასპარეზობდა (თუმცა, ამით სულაც არ ვაკნინებთ „დილას" დამსახურებულ გამარჯვებას), მაგრამ, ფაქტია, რომ იმერული კლუბის თამაშში საკმარისზე მეტი რესურსი იგრძნობა და ამაში, ალბათ, ზამთრის პაუზის მერე ბევრი დარწმუნდება.

მატჩში (**სათქმელად რა ადვილია - გ.ტ.**) მთავარი ხომ სასურველი შედეგი იყო და ასეც მოხდა: ისე როგორც პირველი წრის შეხვედრაში, „დინამომ" ამჯერადაც 3 უპასუხო ბურთი გაიტანა „ზუგდიდის" კარში.

აღსანიშნავია, რომ დინამოელთაგან სამივე გოლი ლეგიონერებმა გაიტანეს: 33 წლის **ჩისკო** ბომბარდირთა დავაშიც ჩაერთო, 29 წლის **დორინ გოგამ** უკვე მეცხრე გოლი გაიტანა, აი, 22 წლის **დარკო გლიშიჩმა** კი საქართველოს ჩემპიონატში პირველად შეძლო თავის გამოჩენა.

## დრამატული ეპილოგი

16 ტურია ჩემპონატის სტარტიდან გასული და ვერ ვიხსენებთ შემთხვევას, როცა „მეტალურგს" ოპტიმალური შემადგენლობით დაეწყოს ან... დაემთავრებინოს ესა თუ ის მატჩი! თანაც, თითქოს, წამყვანი ფეხბურთელების ტრავმიანობა არ ყოფნიდესო, „მეტალურგის" მთავარმა მწვრთნელმა **გელა სანაიამ** ლამის ყოველ მეორე ტურში უნდა მოისაკლისოს ძირითადის ესა თუ ის მოთამაშე, ოღონდ, უკვე დისკვალიფიკაციის გამო: ამჯერადაც, უაღრესად მოტივირებულ და ამ ბოლო დროს აშკარად „მოფერიანებულ" „სპარტაკთან" მატჩში რუსთაველთა გუნდმა, ფაქტობრივად, მთელი შეხვედრა რიცხობრივ უმცირესობაში გაატარა.

ჰოდა, მატჩის მიწურულს **კახა კაჭარავას** შეგირდებმა ორი ეფექტური და, რაც მთავარია, შედეგიანი კომბინაცია ზუსტი დარტყმებით დაასრულეს და გასავარდნ ზონასაც დაშორდნენ! კარგი მატჩი ჩაატარა ამ ბოლო დროს ჩინებულ ფორმაში მყოფმა **გიორგი თექთურმანიძემ**, რომელმაც ორივე საგოლე ეპიზოდში ლომის წილი შეიტანა; მის გარდა „სპარტაკის" ორი ახალგაზრდა შემტევიც უნდა აღვნიშნოთ: 22 წლის გარემარბმა **თორნიკე თუხარელმაც** და 20 წლის **დავით გელაშვილმაც** თითო-თითო გოლი და საგოლე პასი მიითვალეს.

აღსანიშნავია, რომ მძიმე ტრავმის გამო დავით გელაშვილს, ფაქტობრივად, წელიწადი არ უთამაშია და აი, ამ სეზონში პირველსავე მატჩში, შეცვლაზე შესულმა ლამაზი თავური დარტყმით პირველი გოლიც გაიტანა.




ფეხბურთელმა, 32 წლის **ალექსანდრე კოშკაძემ** მატჩის პირველი გოლი „ცაციათი", პირდაპირ... კუთხურიდან გაიტანა! არანაკლებ ეფექტური იყო იმავე კოშკაშძის პასის მერე „გურიას" მარჯვენა გარემარბის **ალექსანდრე შენგელიას** ზუსტი თავური დარტყმაც; აღსანიშნავია, რომ 24 წლის შენგელიამ ჩემპიონატში 3 გოლი გაიტანა და სამივე ერთმანეთზე ძლიერი მეტოქეების („დინამო", „მეტალურგი", „ტორპედო") კარში.

„გურიას" გარდა ამ ტურმა კიდევ ერთი გუნდი აღაზევა: ჩემპიონატში ზედიზედ ექვსი წაუგებელი თამაში პატარა ამბავი ნამდვილად არ არის და, აქედან გამომდინარე, ლოგიკურად უნდა მივიჩნიოთ „სიონის" ზედა ექვსეულში დამკვიდრებაც; აი, „ტორპედოს" არასტაბილური ასპარეზობა გრძელდება: ამ ახალგაზრდულმა გუნდმა ბოლო 8 შეხვედრაში 6 მატჩი წააგო, 1 ფრედ ითამაშა და მხოლოდ ერთი მოიგო...

## ყოჩაღი შემცვლელები

გასულ ტურში ოთხმა ისეთმა ფეხბურთელმა გამოიჩინა თავი, შეცვლაზე რომ შემოვიდა: დავით გელაშვილსა და დარკო გლიშიჩზე ზემოთ უკვე მოგახსენეთ, მათ გარდა ასევე გოლით გამოირჩა „ჩიხურას" 21 წლის ნახევარმცველი **ჯაბა ჯიღაური**, რომელიც კარიერაში, უდავოდ, ყველაზე წარმატებულ სეზონს ატარებს (ჩემპიონატში 5 გოლი მისთვის საუკეთესო შედეგია).

ცალკე აღნიშვნის ღირსია „დილას" 20 წლის ფორვარდი **გიორგი ქვილითაია**, რომელიც „ზესტაფონთან" მატჩის დროს მოედანზე შესვენების შემდეგ გამოჩნდა და ერთი ტაიმის განმავლობაში „დუბლიც" შეასრულა!

სხვათა შორის, ამ სეზონში პირველად მოხდა, როცა შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელმა „დუბლის" შესრულება შეძლო. ისე, ქვილითაიამ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შეძლო უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლის გატანა და მაშინაც („ტორპედოსთან") შეცვლაზე შემოსული გახლდათ!


დილა-ზესტაფონი 3:1. გიორგი ქვილითაიამ (მარცხნივ) დუბლი შეასრულა
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

სანახაობრივიც. „დილა"-„ზესტაფონის" პაექრობას საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის ეთერით, ალბათ, ბევრმა მიადევნა თვალი და პერიპეტიებზე ბევრს აღარ შევჩერდებით.

მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ **რამაზ სოლოლაშვილის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დილამ" 9 ნოემბერს „სიონთან" წაგების მერე, მართლაც მშვენიერი სერია „გამოაცხო" და ამ ერთთვიან ურთულეს მონაკვეთში 4 შეხვედრაში 8 ქულა მოიპოვა; თანაც, მხოლოდ ციფრებში როდია საქმე: „დილას" თამაშის ხარისხიც მოწონებას იმსახურებს (მრავალფეროვანი შეტევები, ფლანგების მაქსიმალური და ეფექტიანი გამოყენება) და ახლა იმის იმედად უნდა ვიყოთ, რომ ზამთრის პაუზის დროს გუნდი არ „დაიშალოს".

აი, რაც შეეხება „ზესტაფონს", **გია გეორგი...**

## მშვენიერი დებიუტი

უცნაური სეზონი აქვს **მალხაზ ჟვანიას**. ამ ახალგაზრდა სპეციალისტმა ჩემპიონატი „მერანში" დაიწყო, მერე, ოქტომბრის დასაწყისში პირველ ლიგაში მოასპარეზე თბილისის „დინამო-2" ჩაიბარა, 6 დეკემბერს კი „დინამოს" ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლადაც დაინიშნა!

ჰოდა, მესამე დღეს უკვე სადებიუტო შეხვედრა ჰქონდა ესოდენ პრესტიჟულ და ყველა ქართველი მწვრთნელისათვის საოცნებო რანგში; თავის სადებიუტო შეხვედრაში ჟვანიას რადიკალური ცვლილებები არ განუხორციელებია (თუ არ ჩავთვლით, ძირითად შემადგენლობაში **ელგუჯა გრიგალაშვილისა** და **დავით ხურცილავას** დაბრუნებას), მაგრამ აშკარად არასახარბიელო მეტეოროლოგიურ პირობებში ჩატარებულ

## აღმასვლა და ვარდნა

ზედიზედ ორი მარცხი და მაშინათვე „გურიას" კრიზისზე დაირხა ხმები; თუმცა, ამ სეზონის უკვე არა-აღმოჩენამ, არამედ ერთ-ერთმა გამორჩეულმა გუნდმა „ტრადიცია" არ დაარღვია და „დინამოს", „მეტალურგისა" და „დილას" შემდეგ, „საშინაო" მატჩში კიდევ ერთ ფავორიტს, ქუთაისის „ტორპედოსაც" მოუგო! მოკლედ, სულ ერთია, „გურია" საშინაო მატჩებს ფოთში ჩაატარებს, ქობულეთსა თუ სამტრედიაში: 7 მოგება, 0 ფრე და ერთადერთი მარცხი, აი, ასეთია **რომან პოკორას** გუნდის მონაგარი „საკუთარ" მოედანზე!

ამ ბოლო გამარჯვებით „გურია" კვლავაც მესამე ადგილამდე აღზევდა და აქვე, ისიც ვთქვათ, რომ გუნდის ერთ-ერთმა ყველაზე გამოცდილმა

**გია ტუხაშვილი**

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" ღრმა სამძიმარს უცხადებს ჩვენი გუნდის გამოჩენილ ვეტერან ფეხბურთელს თამაზ კოსტავას დედის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩიხურა პოზიციას იმყარებს

10.12. მცხეთა. მცხეთა პარკი. 500 მაყურებელი

ჩიხურა **2**
მერანი **0**

1:0 ტატანაშვილი (8. ნ. კვასხვაძის პასით), 2:0 ჯილაური (80. ბექვაიას პასით)

| ჩიხურა 4-2-3-1 | მერანი 4-2-3-1 |
|---|---|
| თევდორაძე | შეროზია |
| ოდიკაძე | ლ. დონდაძე |
| ლომაშვილი | გაბუნია |
| რეხვიაშვილი | ფარულავა |
| კაშია | მელიავა |
| დათუნაშვილი | ქარქუზაშვილი |
| ბექვაია | ფონიავა |
| დეკანოიძე | გეგეჭკორი |
| ნ. კვასხვაძე | ქათამაძე |
| გაბედავა | კუჭუხიძე |
| ტატანაშვილი | ბაბუნაშვილი |
| მწვრთნელი ს. ფრუიძე | მწვრთნელი ა. ჩხეტიანი |

**ჩიხურა**

65. კვასხვაძე - **ჯილაური**
84. დეკანოიძე - **ქიმაძე**
*სათადარიგოები: ხომხიშვილი, ჭელიძე, გოგატიშვილი, ჩიკვაიძე, დემეტრაშვილი*

**მერანი**

46. ფარულავა - **ხუბუა**
58. ქათამაძე - **სანტოსი**
74. ქარქუზაშვილი - **შულაია**
*სათადარიგოები: ხარშილაძე, კერძევაძე, ციკოლია, ჯლამაია*
გაფრთხილება: ქარქუზაშვილი (28)
არბიტრი: კ. ხუჭუა

მათ შეხვედრა იღბლიანადაც დაიწყეს - „ჩიხურას" პირველი სახიფათო შეტევა გოლით დასრულდა. საჯარიმოს სიახლოვესთან მარტვილელთა საყრდენ **ქარქუზაშვილს** ბურთი **ნიკა კვასხვაძემ** აართვა და საჯარიმოში მეურვისგან მიტოვებული **ტატანაშვილი** შენიშნა, რომელმაც შორეულ კუთხეში მეკარეს სუსტად, მაგრამ ზუსტად დაურტყა - 1:0. 28-ე წუთზე საჩხერელებს უპირატესობის გაზრდის საშუალება მიეცათ - ბექვაიამ მარჯვენა ფლანგზე **ოდიკაძე** შენიშნა, მან კი პენალტის ნიშნულთან კვასხვაძე მოძებნა, მაგრამ ამ უკანასკნელის დარტყმა მეკარე **შეროზიამ** კუთხურზე მოიგერია.

ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როცა **გეგეჭკორის** ფლანგური გადაცემის შემდეგ თავის გამოჩენის შანსი **მელიავას** მიეცა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

მეორე ტაიმში „მერანი" მოედანზე გაცილებით აქტიური და მობილიზებული გავიდა. სტუმრებმა რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. მაგალითად, 74-ე წუთზე საჯარიმოდან **ბაბუნაშვილის** ჩაკიდებული ბურთის კარში თავით გაგზავნას კუჭუხიძე შეეცადა, რაც უზუსტოდ გამოუვიდა.

მეორე ნახევარში „ჩიხურა" უფრო კონტრშეტევებით შემოიფარგლებოდა. ფრუიძის განვრთნილებმა მატჩის ბოლოს რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. 79-ე წუთზე **დეკანოიძემ** საჯარიმოში გახსნილი ოდიკაძე მოძებნა, რომელმაც ოდნავ არაზუსტად დაარტყა.

საჩხერელებმა მეორე გოლი მაინც გაიტანეს. საჯარიმოსთან მყოფმა ტატანაშვილმა მარჯვენა ფლანგზე შეტევა **ბექვაიას** გაუგრძელა, რომელმაც საჯარიმოში გახსნილი **ჯილაური** მოძებნა, მას კი ბურთის კარში გაგზავნა არ გასჭირვებია - 2:0 და „ჩიხურამ" სატურნირო ცხრილში პოზიციები გაიმყარა.

ამ მატჩის ჩატარებამდე ორივე გუნდმა გვარიანად ინვალა. შეხვედრა ქუთაისში უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო სამტრედიაში გადაიტანეს და საჩხერის „ჩიხურა" სავარჯიშოდ ურეკში გაემგზავრა. მერე სამტრედიაში თამაშიც გამოირიცხა და მცხეთაში დაინიშნა. თუმცა არც მცხეთაში იყო მაინცდამაინც საფეხბურთო ამინდი, საკმაოდ ციოდა და ეტყობა, ამან ფეხბურთელები შეაფუცხუნა. ფაქტობრივად, უმაყურებლო მატჩში, ზოგადსტატისტიკური ქართული მაჩვენებლის ფონზე, მოთამაშეები ჩვეულებრივზე მეტს მოძრაობდნენ...

საჩხერელები უფრო აქტიურები იყვნენ, მეტოქეზე სწრაფად ახერხებდნენ დაცვიდან შეტევაში გადასვლას და „მერანის" დაცვაშიც თავისუფალ სივრცეს სწორედ მეტი მოძრაობის ხარჯზე პოულობდნენ.

**მერაბ მამულაშვილი**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 16 | 12 | 3 | 1 | 40 | 12 | 39 |
| 2 | ჩიხურა | 16 | 10 | 3 | 3 | 34 | 21 | 33 |
| 3 | გურია | 16 | 9 | 0 | 7 | 19 | 21 | 27 |
| 4 | დილა | 16 | 7 | 5 | 4 | 23 | 15 | 26 |
| 5 | სიონი | 16 | 6 | 5 | 5 | 19 | 18 | 23 |
| 6 | მეტალურგი | 16 | 6 | 5 | 5 | 20 | 21 | 23 |
| 7 | ზესტაფონი | 16 | 6 | 4 | 6 | 18 | 15 | 22 |
| 8 | ტორპედო | 16 | 6 | 4 | 6 | 18 | 17 | 22 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 16 | 5 | 4 | 7 | 19 | 23 | 19 |
| 10 | სპარტაკი | 16 | 4 | 1 | 11 | 13 | 24 | 13 |
| 11 | მერანი | 16 | 4 | 1 | 11 | 14 | 32 | 13 |
| 12 | ზუგდიდი | 16 | 1 | 5 | 10 | 5 | 23 | 8 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დ. ტატანაშვილი (ჩიხურა) | 12 |
| ი. მოდებაძე (დილა) | 9 |
| დ. გოგა (დინამო (თბ) | 9 |
| ჩისკო (დინამო თბ) | 8 |

ქველმოქმედება

## ერთად დავეხმაროთ კახაბერ ახალაძეს!

26 დეკემბერს თბილისში საქველმოქმედო მატჩი გაიმართება. ქართული ფეხბურთისა და ფუტსალის ყოფილი და მოქმედი მოთამაშეები ერთი მიზნით გაერთიანდნენ, რათა დაეხმარონ **კახა ახალაძეს**.

ახალაძე ასაკობრივი ნაკრების მოთამაშე იყო, უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდში უთამაშია, შემდეგ კი კარიერა ფუტსალში გააგრძელა და წლების განმავლობაში ეროვნული ნაკრების წევრი იყო.

34 წლის კაცს თანადგომა ესაჭიროება, ის ავადმყოფობს და მისმა მეგობრებმა მხარდაჭერა საქველმოქმედო მატჩით გადაწყვიტეს. ამ კეთილშობილურ საქმეში ქართული ფეხბურთის გამორჩეული წარმომადგენლები გაერთიანდნენ: **გიორგი ქინქლაძე, ლევან კობიაშვილი, გიორგი დემეტრაძე, ალექსანდრე იაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, დავით მუჯირი, გიორგი ლომაია, რევაზ გოცირიძე, რატი ალექსიძე, ჯაბა მუჯირი, მიხეილ მაზიაშვილი...** ასევე, საქართველოს ფუტსალის ნაკრების სხვადასხვა თაობის გამორჩეული მოთამაშეები. მატჩი ჩატარდება დევიზით - **„ერთად დავეხმაროთ ჩვენს მეგობარს!"**

ფუტსალის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **ავთანდილ ასათიანის** თქმით, მატჩის ორგანიზატორები საქართველოს პროფესიონალ ფეხბურთელთა და ფუტსალის ასოციაციები არიან. გადაწყვეტილია, რომ მატჩი 26 დეკემბერს გაიმართება, მაგრამ კონკრეტული თარიღი უახლოეს დღეებში დაზუსტდება.

საქველმოქმედო მატჩიდან შემოსული თანხა კახა ახალაძის სარეაბილიტაციო-სამკურნალო კურსს მოხმარდება. „თი-ბი-სი" ბანკში გახსნილია ანგარიში:
TBCBGE22 GE90TB7008717365100011

**მერაბ მამულაშვილი**

ქართველები უცხოეთში



მერაბ ჟორდანია ვიტესიდან წავიდა

# ჟორდანია ვიტესიდან საბოლოოდ წავიდა, რა ელით იქაურ ქართველებს?

**მერაბ ჟორდანია** არნემის „ვიტესს" საბოლოოდ ჩამოშორდა. აქამდე, ის კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას (მოკლედ რომ ვთქვათ, პრეზიდენტის) იკავებდა, თუმცა **ალექსანდრ ჩიგირინსკიმ** მორიგი ცვლილება განახორციელა - ჟორდანიას ადგილი ბერტ რუტერტს ჩააბარა.

გამოსათხოვარ წერილში ქართველმა ფუნქციონერმა მისი შემცვლელი შეაქო: *„ბერტი სწორედ ისაა, ვინც ახლა სჭირდება კლუბს. ის „ვიტესს" შიგნიდან იცნობს, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია. პოსტს სიამაყით ვტოვებ და ახალ თავმჯდომარეს წარმატებასა და კლუბის აღმასვლის გაგრძელებას ვუსურვებ".*

შეგახსენებთ, რომ მერაბ ჟორდანია „ვიტესის" მფლობელი 2010 წლის ზაფხულიდანაა (თუმცა, ხმების თანახმად, არნემული კლუბის რეალური მფლობელი **რომან აბრამოვიჩია**). შემოდგომაზე კლუბში ოფიციალური მფლობელი შეიცვალა და ის ჟორდანიას პარტნიორი, ქუთაისელი ბიზნესმენი ალექსანდრ ჩიგირინსკი გახდა.

ჰოლანდიაში ჟორდანიას წასვლის მიზეზად პროექტ „2013-ის" ჩავარდნას ასახელებენ. ჟორდანიამ თავიდანვე განაცხადა, რომ 2013 წლისთვის კლუბი ან ჩემპიონთა ლიგის საგზურს მოიპოვებდა, ან - ჰოლანდიის ჩემპიონობას. არც ერთი პირობა არ შესრულებულა, თუმცა „ვიტესი" რომ შესამჩნევად გაძლიერდა, თქმა არ უნდა - სადღეისოდ, ეს გუნდი ჰოლანდიის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. ბოლოს იმასაც შეგახსენებთ, რომ „ვიტესში" **გურამ კაშია, გიორგი ჭანტურია** და **ვალერი ყაზაიშვილი** თამაშობენ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

I ლიგა. I წრის შეჯამება. B ზონა

# ძველ-ახალი სახეები

**B ზონაში თავიდანვე ნათელი იყო, რომ პლეი ოფში გამსვლელი ორი ადგილიდან ერთ-ერთისათვის ბათუმის „დინამო" იბრძოლებდა და ასეც მოხდა: პირველი ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულიანმა გუნდმა უმაღლეს ლიგაში დაბრუნება უმოკლეს დროში განიზრახა და ჯერჯერობით, ყველაფერი აქეთკენაც მიდის. რაც მთავარია, „დინამოს" ხელმძღვანელობამ წინა სეზონის ფიასკოს მერე სწორი დასკვნები გამოიტანა და გუნდი ისე გააძლიერა, დღესდღეობით უმაღლესში რომ ყოფილიყო, ალბათ, პირველ ექვსეულში მოსახვედრადაც იბრძოლებდა!**

### მუმუ და სხვები

მოგეხსენებათ, რომ პირველი ლიგა სპეციფიკური ტურნირია და, ხშირ შემთხვევაში არცთუ ხარისხიან მოედნებზე ასპარეზობისას გადამწყვეტი თუ არა, გარკვეული მნიშვნელობა მაინც ენიჭება გამოცდილების ფაქტორს.

ჰოდა, „დინამოში" ჯერ სეზონის დაწყების წინ, მერე კი უშუალოდ მსვლელობისას, რამდენიმე ისეთი გამოცდილი ფეხბურთელი ჩაირიცხა, დღესდღეობით უმაღლესი ლიგის ნებისმიერ გუნდში ძირითად შემადგენლობაში რომ ექნებოდა პრეტენზია: 26 წლის მეკარე **მიხეილ ალავიძე**, 37 წლის უნივერსალი მცველი **სევასტი თოდუა**, 32 წლის ნახევარმცველი **გიორგი მანწკავა** და 27 წლის შემტევი **გიგა კვერენჩხილაძე**; ამათ გარდა, „დინამოში" კიდევ ორი ახალწვეული მივიდა: 23 წლის მცველი **ბადრი ტეტუნაშვილი** და 26 წლის ნახევარმცველი **ირაკლი ჩირიკაშვილი.**

აღსანიშნავია, რომ ჩირიკაშვილი შვეიცარიული „ქსიმაქსიდან" წამოსვლის შემდეგ თითქმის წელიწად-ნახევარი უგუნდოდ გახლდათ და აი, ბათუმის „დინამოში" ნდობის გამოცხადებას რამდენიმე მატჩში გადამწყვეტი გოლებით „უპასუხა".

ამ ცნობადი ახალწვეულების გარდა, „დინამოში" სხვა გამოცდილი ფეხბურთელებიც არიან, რომლებიც გუნდის წამყვან მოთამაშეებად მოიაზრებიან: მცველები, 31 წლის **გიგა ჟვანია** და 25 წლის **კარენ მაკარიანი**, ნახევარმცველები, 23 წლის **ბორის მახარაძე** და 23 წლის **თორნიკე ბერიძე**, თავდამსხმელი და გუნდის საუკეთესო ბომბარდირი, 25 წლის **ბესიკ ჩიმაკაძე**; ამათ გარდა, თავის გამოჩენის საშუალება თითქმის ყველა მატჩში ეძლევათ ადგილობრივ პერსპექტიულ ახალგაზრდებს: **ვალერიან თევდორაძეს, ბექა ვარშანიძესა** და **ამირან აბუსელიძეს** (სამივე მათგანი 20 წლის გახლავთ).

„დინამოს" წარმატებული ასპარეზობის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი კი, რაღა თქმა უნდა, მთავარი მწვრთნელიც არის: გამოცდილმა სპეციალისტმა **კობა ჟორჟიკაშვილმა** პირველ ლიგაში მუშაობა არ ითაკილა და თავის ახალ გუნდთან ერთად აპირებს უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას.

დაბოლოს, ბათუმის „დინამოს" კაპიტანსა და მართლაც სიმბოლოზე: სასიხარულოა, რომ კვლავაც გრძელდება **ამირან მუჯირის** ხანგრძლივი და ჩინებული საფეხბურთო კარიერა! ეგ კი არა, 38 წლის მუჯირი თამამად შეგვიძლია დავასახელოთ პირველი ლიგის ამ გათამაშების (თანაც, ორივე ზონის) უდავოდ, ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად!..

...ბათუმის „დინამო" რომ რეალური ფავორიტი იქნებოდა, ამაზე ზემოთაც ვთქვით და სეზონის დაწყებამდეც ვისაუბრეთ; აი, პლეი ოფის მეორე საგზურისათვის კი რამდენიმე გუნდს განვიხილავდით კანდიდატად, თუმცა „სამტრედიისა" და „მაჭახელას" ასეთ წარმატებულ ასპარეზობას, ალბათ, ბევრი ვერც წარმოიდგენდა.

ეგ კი არა, „სამტრედია" დიდი ხნის განმავლობაში სულაც პირველ ადგილზე იყო და რომ არა რამდენიმე ჩავარდნა (უპირველეს ყოვლისა, „საბურთალოსთან" დიდი ანგარიშით წაგებასა და ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბახმაროსთან" ფრეს ვგულისხმობთ), პირველ წრეს სულაც ერთპიროვნული ლიდერის რანგში დაამთავრებდა.

თუმცა, სამტრედიელი ქომაგები ალბათ, თავის საყვარელი გუნდის არც ამჟამინდელი მდგომარეობით იქნებიან უკმაყოფილონი. ახლა, მთავარია, მეორე და გადამწყვეტ ეტაპზე რამდენად სტაბილურად შეძლებს „სამტრედია" ასპარეზობას და რამდენად შესწევს ძალა გუნდს ერთობ კონკურენტუნარიან გარემოში იყოჩაღოს.

„სამტრედიაშიც" მრავლად არიან გამოცდილი მოთამაშეები, ადრე უმაღლეს ლიგაში რომ უასპარეზიათ: მცველები, 34 წლის **სპარტაკ გოგია** და 31 წლის **გიორგი მერმანიშვილი**, ნახევარმცველები, 26 წლის **ლაშა ჩალაძე**, 22 წლის **გიორგი გურეშიძე** და გუნდში გარკვეული პაუზის მერე დაბრუნებული 27 წლის **ლევან ბაკურაძე**; გუნდის წარმატებულ ასპარეზობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს ახალწვეულებმაც: 29 წლის მეკარემ **მიხეილ მუჯრიშვილმა**, 22 წლის მცველმა **თორნიკე კაკუშაძემ** და 24 წლის ფორვარდმა **ავთანდილ ბაგაშვილმა**; კიდევ ერთი ახალწვეულის ასპარეზობა კი ცალკე აღნიშვნის ღირსია: 19 წლის **გიორგი ერისთავი** 9 გოლით არა მხოლოდ საკუთარი გუნდის, არამედ, საერთოდ B ზონის საუკეთესო ბომბარდირია!



ამირან მუჯირი ბათუმის დინამოს უპირობო ლიდერია

რა თქმა უნდა, ასევე ცალკე უნდა აღინიშნოს მთავარი მწვრთნელიც და ისიც გვინდა ვთქვათ, რომ ვერ ვიხსენებთ შემთხვევას, ჩვენთან ასეთ ადრეულ ასაკში ოსტატთა გუნდისთვის ვინმეს ეხელმძღვანელა: „სამტრედიის" თავკაცი **უჩა სოსიაშვილი** ხომ 24 წლის გახლავთ!

» მე-4 გვერდზე

● I ლიგა. I წრის შეჯამება. B ზონა

# ძველ-ახალი სახეები

« მე-3 გვერდიდან

B ზონის ერთ-ერთი მთავარი სიურპრიზი „მაჭახელას“ წარმატებული ასპარეზობაა: პირველ ლიგაში ხანგრძლივი პაუზის მერე დაბრუნებულმა გუნდმა პირველ წრეში მხოლოდ ერთი მატჩი წააგო („სამტრედიასთან“) და პლეი ოფში მოხვედრის რეალურ შანსსაც ინარჩუნებს. „მაჭახელა“ საშინაო მატჩებს მშობლიურ ხელვაჩაურში ატარებს და „აჭარული დერბის“ დროს, ბათუმის „დინამოსთან“ მატჩს 1000 გულშემატკივარი დაესწრო!

„მაჭახელას“ წარმატებული ასპარეზობის ერთ-ერთი შემოქმედი, ამ გუნდის გამოცდილი მწვრთნელი 49 წლის **ამირან გოგიტიძე** გახლავთ - ეს სპეციალისტი ხომ წლების განმავლობაში თავკაცობდა მშობლიურ ბათუმის „დინამოს“.

## გამოცდილი ვეტერანები და ნიჭიერი ჭაბუკები

ზემოთ ნახსენები სამი გუნდის გარდა, პლეი ოფში მოხვედრის პრეტენზია სხვებსაც უნდა ჰქონდეთ. აი, მაგალითად, „ჭიათურას“, რომელსაც უმაღლეს ლიგაში წლების ვანმავლობაში („ოლიმპი“, „სიონი“) ნამუშევარი გამოცდილი მწვრთნელი, 52 წლის ხვიჩა ქასრაშვილი თავკაცობს.

„ჭიათურას“ პირველი წრის ფინიში ჩაუვარდა (ორი საშინაო მარცხი პლუს სტუმრად „სამგურალთან“ მარცხი), თორემ, შესაძლოა, სულაც ერთპიროვნული ლიდერი ყოფილიყო. „ჭიათურას“ ბევრი გამოცდილი ფეხბურთელი ჰყავს, განსაკუთრებით კი წინა ხაზში, სადაც 31 წლის **დავით სევასტოპულო**, 27 წლის **ზაურ ხაჭიპერაძე** და 25 წლის **დავით ციცხვაია** გამოდიან.


ზურაბ მენთეშაშვილი

V პოზიციაზე დაასრულა პირველი წრე თბილისის „სასკომ“, გუნდმა, რომელსაც სეზონის დაწყებამდე ფავორიტთა შორის მოვიხსენიებდით, მაგრამ გუნდს სტარტი აშკარად ჩაუვარდა. ალბათ, ამიტომაც მოხდა საკადრო ცვლილება და 13 ოქტომბრიდან გუნდის მთავარ მწვრთნელად „საფეხბურთო ოჯახის“ წარმომადგენელი, 33 წლის **გიორგი ხიზანიშვილი** (თურქეთის „კაისერში“ მოასპარეზე **ზურაბ ხიზანიშვილის** უფროსი ძმა) დაინიშნა.

ხიზანიშვილი აქამდე ბავშვთა ფეხბურთში იყო დასაქმებული, თუმცა, „სასკოში“ მუშაობით დაამტკიცა, რომ „ზედა დონეზეც“ შეუძლია წარმატებების მიღწევა: ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გუნდმა 7 მატჩი ჩაატარა და იქიდან 6 მოიგო; თანაც, პირველი წრის ბოლო ხუთ შეხვედრაში ზედიზედ ისე გაიმარჯვა, მეტოქეთა კარში 15 უპასუხო გოლი გაიტანა.

ასეთი წარმატებული სერიის შემოქმედნი კი ახალ მწვრთნელთან ერთად, გუნდში მისული ერთიმეორეზე გამოცდილი ახალწვეულები გახლდნენ: 32 წლის **ალექსანდრე ინწკირველი**, 32 წლის **ედიკ საჯაია**, 28 წლის **ზაალ ელიავა**, 28 წლის **დავით ლომაია** (ოთხივე-მცველი), 33 წლის **დავით დილმელაშვილი** (ნახევარმცველი), 33 წლის **რევაზ ჯიქია**, 27 წლის **გიორგი რეხვიაშვილი** (ორივე-თავდამსხმელი).

დავუმატოთ ამ სიას არანაკლებ გამოცდილი **გიორგი ქუცურუაც** (27 წლის ნახევარმცველი „სასკოში“ წინა სეზონშიც თამაშობდა) და ადვილი მისახვედრია, თუ რა ამბიციები უნდა ჰქონდეს ამ გუნდს. სხვათა შორის, ამ გუნდში სხვა საინტერესო ფეხბურთელებიც თამაშობენ: 22 წლის კამერუნელი მეკარე **ანდრე ნონოსი**, 20 წლის **გიორგი არახამია** და სხვები.

...უცნაურზე უცნაური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა პირველ წრეში წყალტუბოს „სამგურალმა,“ რომელსაც უკვე მესამე სეზონია **გიორგი გოგიაშვილი** თავკაცობს; სოხუმის „ცხუმის“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და „სამტრედიის“ ყოფილი ნახევარმცველის ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა თითქმის ყველა ფავორიტი გაამწარა: ბათუმის „დინამოსაც“ მოუგო, „საბურთალოსაც“, „ჭიათურასაც“, ხოლო „მაჭახელასთან“ ფრედ ითამაშა.

არადა, „სამგურალი“ საშინაო მატჩებს მშობლიური წყალტუბოს ნაცვლად... სამტრედიაში ატარებს! „სამგურალშიც“ არის რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, ადრე უმაღლეს ლიგაში რომ უთამაშია: 30 წლის **ზვიად ჩხეტიანი**, 28 წლის **მიხეილ ჩხარტიშვილი**, 22 წლის **გიგა ამბროლაძე**; სხვათა შორის, წინა სეზონის მსგავსად, „სამგურალი“ ახლაც ერთობ შედეგიანად ასპარეზობს: 21 წლის **ლევან ყიფიანმა** 7 გოლი გაიტანა მეტოქეთა კარში, ფოთის „კოლხეთში“ გატარებული ერთი სეზონის მერე წყალტუბოელთა გუნდში დაბრუნებულმა კიდევ ერთმა შემტევმა, ასევე 21 წლის **გიორგი ბუხაიძემ** კი - 8 გოლი.

...B ზონის კი არა, საერთოდ, პირველი ლიგის ამ გათამაშების მთავარი ინტრიგა დებიუტანტის, „საბურთალოს“ გამოჩენა იყო. გორის „დილას“ ყოფილი თავკაცის, **თემურ შალამბერიძის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე გუნდმა ჩინებული სტარტი აიღო (ზედიზედ სამი გამარჯვება), მაგრამ მერე ექვსმატჩიანი მოუგებელი სერია ჰქონდა და ეს ყველაფერი ცხრილშიც აისახა.

თუმცა „საბურთალოს“ მესვეურებს „ერთწლიანი გუნდი“ რომ არ ეყოლებათ, ყველამ კარგად ვიცით და ერთი-ორ წელიწადში თბილისს კიდევ ერთი ამბიციური კლუბი რომ შეემატება, პირადად ჩვენ ამაში ეჭვი არ გვეპარება. სხვათა შორის, „საბურთალოში“ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები თამაშობენ, როგორებიც 33 წლის **ზურაბ მენთეშაშვილი** და 32 წლის **რევაზ გოცირიძე** არიან.

მათ გვერდით კი ერთი-მეორეზე პერსპექტიული ბიჭები ოსტატდებიან და ზოგიერთი მათგანი საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებშიც თამაშობს: 17 წლის **გიორგი თევზაძე**, 17 წლის **ჯემალ ტაბიძე**, 16 წლის **ბექა ქურდაძე**, 16 წლის **ოთო გოშაძე**; გუნდის საუკეთესო ბომბარდირი კი 23 წლის ლიბერიელი შემტევი **ლორენცო ლარკი** გახლავთ, რომელიც ადრე მარტვილის „მერანში“ ასპარეზობდა.

„საბურთალოს“ გარდა, B ზონაში კიდევ ორი გუნდია, სადაც ასევე უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა ასპარეზობს; უფრო ზუსტად, „დილა 2-შიც“ და „ლოკომოტივშიც“, ფაქტობრივად, მხოლოდ და მხოლოდ 16-17 წლის ბიჭები არიან და რამდენიმე მათგანმა (**ილია კერძევაძემ, ლევან შენგელიამ, ლუკა ზარანდიამ**) ამას წინათ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებშიც ითამაშა, როცა თბილისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ჩატარდა.

არც ის არის უმნიშვნელო ამბავი, ორივე გუნდს ასევე პერსპექტიული და კვალიფიციური მწვრთნელები რომ ხელმძღვანელობენ: **გუბაზ დოლიძე** („დილა 2“) და **გია ცეცაძე** („ლოკომოტივი“).

**გია ტუხაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (ბთ) | 13 | 10 | 1 | 2 | 26-8 | 31 |
| 2. სამტრედია | 13 | 10 | 1 | 2 | 25-13 | 31 |
| 3. მაჭახელა | 13 | 9 | 3 | 1 | 23-6 | 30 |
| 4. ჭიათურა | 13 | 8 | 1 | 4 | 19-14 | 25 |
| 5. სასკო | 13 | 7 | 1 | 5 | 23-12 | 22 |
| 6. სამგურალი | 13 | 6 | 3 | 4 | 25-23 | 21 |
| 7. ბეთლემი | 13 | 6 | 1 | 6 | 18-17 | 19 |
| 8. საბურთალო | 13 | 5 | 2 | 6 | 20-16 | 17 |
| 9. დილა 2 | 13 | 5 | 2 | 6 | 19-24 | 17 |
| 10. ლოკომოტივი | 13 | 4 | 1 | 8 | 18-23 | 13 |
| 11. კოლხეთი (ხ) | 13 | 3 | 3 | 7 | 15-29 | 12 |
| 12. სტუ | 13 | 3 | 1 | 9 | 22-30 | 10 |
| 13. ბახმარო | 13 | 0 | 6 | 7 | 11-30 | 6 |
| 14. სულორი | 13 | 1 | 2 | 10 | 7-26 | 5 |

ბომბარდირები: **გიორგი ერისთავი** (სამტრედია) - 9; **გიორგი ბუხაიძე** (სამგურალი) - 8; **ლევან ჯიქიძე** (სტუ) - 8; **ალექსანდრე ლაბაძე** (მაჭახელა) - 8.

● მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჟვანიას შულაია დინამოში მიჰყავს?


აკაკი შულაია

17 წლის **აკაკი შულაია** მარტვილის „მერანის“ ძირითად შემადგენლობაში ერთი წლის წინათ გამოჩნდა, თამაშობდა **გიორგი დევდარიანის** 17-წლამდელებში, არის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრობის კანდიდატი. ოქტომბრის შესარჩევ მატჩებში **ალექსანდრე ჩივაძემ** ის ახალგაზრდულ ნაკრებშიც გამოიძახა...

სწორედ მაშინ, „ლელოში“ გამოქვეყნდა მისი ინტერვიუ, სადაც ამბობდა: *„პირადად არავინ დამლაპარაკებია, მაგრამ მითხრეს, რომ წინადადებები იყო გორის „დილადან“, „ზესტაფონიდან“, თბილისური გუნდებიდან, „საბურთალოდან“. თუ არ მეშლება, თბილისის „დინამოც“ ყოფილა დაინტერესებული“.*

ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **გივი დიდავა**, რომელიც „მერანში“ **მალხაზ ჟვანიას** ასისტენტი იყო და შემდეგ - „დინამო 2“-შიც, ამბობდა, რომ შულაია ერთ-ერთი ყველაზე მზარდი ფეხბურთელია. ამ ფონზე, საინტერესო ინფორმაცია ვრცელდება - ახლახან „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად დანიშნული ჟვანია გუნდში ცვლილებებს გეგმავს და, თურმე, ნიჭიერი ფეხბურთელების შემოკრებას აპირებს. სავარაუდო ტრანსფერებს შორის, შულაიაც დასახელდა. რა ხდება სინამდვილეში, ამის გასარკვევად თავად ფეხბურთელს დავუკავშირდით.

*„ჩემთვის ჯერ არავის არაფერი უთქვამს. ახალი წლიდან „დინამოში“ ვითამაშებ თუ სადმე სხვაგან, ნამდვილად არ ვიცი. ჩემი მენეჯერი გოგა გახოკიძეა და ყველა დაინტერესებულ კლუბთან მოლაპარაკებას სწორედ ის აწარმოებს. ვიცი, რომ უკვე რამდენიმე კლუბს ელაპარაკა, მათ შორის - ევროპაშიც. ყველაფერზე პასუხი უახლოეს პერიოდში მეცოდინება. მაგრამ ახლა თავადაც გაურკვევლობაში ვარ“*, - ამბობს შულაია.

**მერაბ მამულაშვილი**

● ზუგდიდი

# დარასელია შეცდომაში შეიყვანესო...


გურამ [illegible] ფოტო

გიორგი დარასელია

**„ზუგდიდში“ ვითარება კვლავ დაიძაბა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დარასელიამ ერთ-ერთ ინტერვიუში კლუბის ხელმძღვანელობა გააკრიტიკა. მკითხველი ალბათ დაინტერესდებოდა, რა არგუმენტები აქვს „ზუგდიდის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ რევაზ პერტაიას:**

- დარასელია ჩვენთვის საყვარელი ფეხბურთელი იყო, მერე წარმატებული მწვრთნელი გახდა და მის ჩამოსვლას სიხარულით შევხვდი. მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, გვიპირისპირდება იმ დროს, როცა „ზუგდიდში“ პრობლემები ჩვენი მიზეზით არ წარმოქმნილა. ამას ობიექტური წინაპირობა ჰქონდა. გიორგის ინტერვიუმ დამარწმუნა, რომ ის შეცდომაში შეჰყავთ და ბევრ საკითხზე არასწორ ინფორმაციას აწვდიან. ამიტომ, ვთხოვ - ნუ აჩქარდება და პრობლემები არა ერთმანეთთან ქიშპით, არამედ, ერთმანეთის პატივისცემითა და სიყვარულით მოვაგვაროთ.

**- მწვრთნელი პრობლემებზე თვალს ხომ არ დახუჭავდა?**

- პრობლემა არასტაბილური დაფინანსებაა და ამის მიუხედავად, გუნდი მაინც შევინარჩუნეთ. ეს ობიექტური გაჭირვებაა და არა - ჩვენ მიერ წარმოქმნილი პრობლემა.

**- დარასელია აცხადებს, ეგვიპტელ ფეხბურთელთან კონტრაქტი ისე გაავაფორმეთ, ზუგდიდში არც ჩამოსულაო. ამის გამო კი, თურმე, ბრაზილიელების ჩამოყვანა ვერ მოახერხა...**

- ეგვიპტელების ჩამოყვანა კობა ნიტაიშვილის ინიციატივა და მოთხოვნა იყო. მაგრამ ეგვიპტელი არ ჩამოსულა. მისი ტრანსფერი არ დარეგისტრირებულა და ამდენად, ერთი სასურველი ლეგიონერის დამატება დარასელიას კიდევ შეეძლო. სწორედ ამას ვამბობ, რომ სანამ საკითხს ჩვენთან გაარკვევდა, გიორგიმ პრობლემა მედიაში დააფიქსირა და ეს იყო საწყენი.

**- ბოლო ტურებია, ეგვიპტელები აღარ თამაშობენ. რა ხდება?**

- მათ „ზუგდიდი“ უკვე დატოვეს.

**- მიზეზი?**

- გეტყვით სიმართლეს. თავიდან ითქვა, რომ ისინი ეგვიპტეში არეულობის გამო ჩამოვიდნენ აქ და მწირ ხელფასზეც თანახმანი იყვნენ. მეგაჰედმა ბევრი მატჩი ჩაატარა, ხოლო ჰამზა როგორც დაგვეხმარა, კარგად მოგეხსენებათ. რეალურად, მათ გუნდი არ გაუძლიერებიათ. არადა, ამ არაფრისმომცემ ლეგიონერებს ჩვენს ფეხბურთელებზე მეტი ხელფასი ჰქონდათ. და ეს იმ დროს, როცა ნიტაიშვილმა ნიჭიერი ფეხბურთელები - ლაშა კუკავა და ზვიად კვარაცხელია სხვა გუნდებში გაუშვა. ასეთი დონის უცხოელების ჩამოყვანას ისევ საკუთარი ბავშვების გაზრდა და მიხედვა არ გვერჩივნა?

**- ხელს თუ არ შეგვიწყობენ, ნუღარ შეგვიშლიანო - თქვენი მისამართით ესეც ითქვა...**

- დარასელიას ხელს როგორ ვუშლით? როდესმე გსმენიათ, რომ კლუბის დირექტორატის საკადრო პოლიტიკას მთავარი მწვრთნელი განაგებდეს და ხელმძღვანელობის ჩანაცვლებას ითხოვდეს? არა მგონია, „ზუგდიდის“ წარმატება ვინმეს ჩვენზე მეტად უნდოდეს. დარასელიას ჩვენს პირველ შეხვედრას გავახსენებ, როცა უახლოეს ოთხ ტურში 9 ქულის აღებას დაგვპირდა. სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა და მის მხარდამჭერ „ბანაკს“ გეგმები ამან ხომ აურია? მე მაინც მგონია, რომ დარასელია შეცდომაშია შეყვანილი. მის გარშემო თავმოყრილი ხალხი ცდილობს, ხელმძღვანელობას დირექტივები აქეთ მოგვცეს. ყველაზე მეტად რომ გვიჭირდა და 8 თვის გაუცემელი ხელფას-პრემიები გვქონდა, მაშინ „ზუგდიდს“ ამ ადამიანებისგან ფინანსური და მორალური მხარდაჭერა არ უგრძვნია. ამიტომ მოვუწოდებ გიორგის, გაემიჯნოს ამ ხალხს და საქმეში ბოლომდე გაერკვეს. კლუბში არსებული პრობლემები ჩვენ არასდროს დაგვიმალავს. მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, სწორედ ძველი ხელმძღვანელობის ძალისხმევით მოხერხდა „ბაიას“ ბაზის დირექციასთან საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება და ისიც, რომ გუნდი იქვე წინასამატჩო შეკრებებს გადის.

**- ნებისმიერ შემთხვევაში, დარასელია გამოცდილი მწვრთნელია და უკეთესი გუნდის შექმნის პირობას იძლევა.**

- ვაფასებ მის ოპტიმიზმს, ასეთ ვითარებაში თამამად რომ საუბრობს გუნდის მშენებლობაზე, მაგრამ დაპირისპირების ფონზე ეს ძალიან გაუჭირდება და ამის გათვალისწინებასაც ვურჩევდი.

**მერაბ მამულაშვილი**

● გახსენება

# კახი ასათიანი...

12 დეკემბერს კახი ასათიანის დაბადების დღეა. თავისი სტილით ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ქართველი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზეც ითამაშა, 66 წლის გახდებოდა...

კახი ასათიანი ათი წლის განმავლობაში იცავდა „დინამო“ თბილისის ღირსებას, თუმცა, კარიერა ნაადრევად, 28 წლის ასაკში დაასრულა. 218 შეხვედრაში მან 27 გოლი გაიტანა. სსრკ-ის ნაკრებში კი 16 შეხვედრა ჩაატარა და 5-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი.

კარიერის დასრულების შემდეგ კახი ასათიანი მწვრთნელიც იყო და გუნდის უფროსიც მშობლიურ „დინამოში“. მოგვიანებით კი ჯერ სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გახდა; შემდეგ, სპორტისა და ტურიზმის მინისტრი. ბოლოს კი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

კახი ასათიანი ტრაგიკულად დაიღუპა 2002 წლის ნოემბერში...

www.gff.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# ბერლუსკონები მილანელოზე

## პრეზიდენტმა ფეხბურთელები გაამხნევა

„მილანის" პრეზიდენტის სილვიო ბერლუსკონის თქმით, კლუბში ახალი ერა იწყება, რომელსაც ძველი გვარდია შექმნის. დიახ, ახალი ერა ძველი სახეებით - „როსონერიში" დარჩება ადრიანო გალიანი და მასთან ერთად, ტანდემში იმუშავებს ბარბარა ბერლუსკონი. თუმცა, სილვიოს სიტყვა ბევრად უფრო ვრცელი იყო და რაც ყველაზე საინტერესოა, სად შედგა „მილანის" პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა? - „მილანელოზე"!

### სილვიოს და ბარბარას სტუმრობა

„მილანი" „აიაქსთან" მატჩისთვის ემზადებოდა, როდესაც ყველასთვის მოულოდნელად, „მილანელოზე" სილვიო ბერლუსკონის პერსონალური ვერტმფრენი დაჯდა, საიდანაც კლუბის პრეზიდენტი და ახალი ვიცე-პრეზიდენტი ბარბარა ბერლუსკონი გადმოვიდნენ. ბუნებრივია, ვარჯიში შეწყდა და მწვრთნელ-ფეხბურთელებმა კლუბის მესვეურებს მიაპყრეს ყურადღება. სილვიო ბერლუსკონი სათითაოდ გადაეხვია ყველა ფეხბურთელს და შემდეგ განაცხადა:

*„მინდა გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ იმ გუნდის წევრები, რომელსაც ყველაზე მეტი საერთაშორისო ტიტული აქვს მოგებული. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ საუკეთესო გუნდში თამაშობთ და ამით უნდა ამაყობდეთ. მინდა გაიაზროთ, თუ რამხელა ისტორია აქვს „მილანს" და თუ რა წარმატებისთვის მიულწევია ჩვენს გუნდს. კლუბის ისტორიაში ახალი ერა იწყება, რომელიც ჩვენთან ერთად, თქვენ უნდა შექმნათ. პირობას გაძლევთ, რომ ამიერიდან, უფრო ხშირად მოვალ „მილანელოზე", უფრო ხშირად დავესწრები გუნდის თამაშებს და ყველაფერს გავაკეთებ, რომ კლუბმა პროგრესის გზით იაროს. „მილანი" აუცილებლად დაბრუნდება მსოფლიო საკლუბო ფეხბურთის მწვერვალზე".*

**ლაშა ნიკლაური**



სილვიო ბერლუსკონი „მილანელოზე" ვერტმფრენით დაჯდა

ამბები



ბრუნო პერეირინია სამ კვირას დაისვენებს

### ლაციოს ქვა ალმართში მიეწია

**კრიზისში** მყოფ „ლაციოს" ქვა ალმართში მიეწია - „ტორინოსთან" პაექრობისას „ბიანკოჩელესტეს" ორი ფეხბურთელი დაუშავდა, რომლებიც 2013 წელს ველარ დაეხმარებიან გუნდს.

25 წლის **ბრუნო პერეირინიამ** მყესი დაიზიანა და როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, დაახლოებით სამი კვირა მოუწევს უქმობა. ტრავმა მიიღო **ალვარო გონსალესმაც** და „კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, მას კიდევ უფრო მეტი დრო გაუცდება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმირ პეტკოვიჩმა** ბედს შესჩივლა და განაცხადა, რომ გუნდის წარუმატებელი ასპარეზობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ მოხშირებული ტრავმები გახლავთ:

*„პერეირინია კარგ ფორმაში შევიდა და მასზე დიდ იმედებს ვამყარებდი, მაგრამ ტრავმა ყველაზე ცუდ დროს მიიღო. რაც შეეხება გონსალესს, გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და მისი შეცვლა იოლი არ იქნება. კრიზისი უნდა დავძლიოთ, ამ ამოცანას კი წამყვან ფეხბურთელთა დაშავება კიდევ უფრო ართულებს"* - დასძინა „ლაციოს" თავკაცმა.

### სტროოტმანი რჩება

**კევინ სტროოტმანს** მცირე დრო დასჭირდა იტალიურ ფეხბურთთან ადაპტაციისთვის და დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ „რომას" ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კევინის გადაბირებით „მანჩესტერ იუნაიტედია" დაინტერესებული და არის შანსი, ეს გარიგება ამ ზამთარსვე შედგეს. თუმცა, მოვლენათა ასეთ განვითარებას კატეგორიულად უარყოფს 23 წლის ფეხბურთელის პირადი აგენტი **შილ დეკერი:**

*„კევინის ინგლისში გადაბარგებასთან დაკავშირებით, ინფორმაცია მეც გავიგე, მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს არ მოხდება. ჩემი კლიენტი იტალიაში თავს ბრწყინვალედ გრძნობს და არსად წასვლის სურვილი არ აქვს. „რომას" მესვეურებმა ამბიციურ პროექტს ჩაუყარეს საფუძველი და კევინს სურს რომ ამ პროექტის ნაწილი იყოს. ვესაუბრე მას და ვიცი, რომ რომში რაც შეიძლება დიდხანს უნდა დარჩენა. ასე რომ, სატრანსფერო სიახლეებს არ უნდა ველოდოთ".*

**ლაშა ნიკლაური**



კევინ სტროოტმანი რომში თავს კარგად გრძნობს

კვირა ციფრებში

# იმედგაცრუება, ჩავარდნა და ფუტსალის ლეგენდა

**დღევანდელ** **მიმოხილვაში არა მხოლოდ ფეხბურთზე, არამედ ფუტსალზეც ვისაუბრებთ. გასული კვირა დასამახსოვრებელი იყო ფალკაოსთვის და „ვიტესისთვის", სამაგიეროდ, „მანჩესტერ იუნაიტედს", „ნიურნბერგს" და „იოკოჰამა ფ. მარინოსს" განვლილი დღეები არც ისე კარგად მოაგონდებათ...**

**350** - გოლი ბრაზილიის ნაკრების რიგებში. ეს მართლაც საოცარი მიღწევა ფუტსალის ლეგენდა **ფალკაოს** ეკუთვნის. 36 წლის მოთამაშემ საიუბილეო გოლი პარასკევს, საკონტინენტთაშორისო თასის ეგიდით, ჩილეს ნაკრებს გაუტანა, ბრაზილიამ კი მატჩი 4:1 მოიგო. ფალკაომ თავი კიდევ სამჯერ გამოიჩინა და საბოლოოდ, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა, ბრაზილიამ კი ტიტული მოიპოვა.

ფალკაო ბრაზილიის ფუტსალის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი ჯერ კიდევ 2010 წლის მარტში გახდა, როდესაც **მანოელ ტობიაშს** (278 გოლი) გადაასწრო, ერთი წლის წინ კი ტაილანდში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიას ტიტული სწორედ ვეტერანის კარგმა თამაშმა მოუტანა.

**2** - მატჩი წააგო ჩემპიონატის ბოლო ორ ტურში „იოკოჰამა ფ. მარინოსმა" და თითქმის განაღდებული ჩემპიონის ტიტული დაკარგა. იაპონიის პირველობის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე, „იოკოჰამა" უახლოეს მდევარს 5 ქულით უსწრებდა და 2004 წლის შემდეგ პირველი საჩემპიონო ტიტულის მოსაპოვებლად ერთი მატჩის მოგებაც ჰყოფნიდა, მაგრამ **იასუჰირო ჰიგუჩის** შეგირდებმა ჯერ საკუთარ მოედანზე აუტსაიდერ „ალბირექსთან" 0:2 წააგეს, შემდეგ კი „კავასაკისთან" დამარცხდნენ (0:1). „იოკოჰამას" ჩავარდნით (3 ქულა ბოლო 4 ტურში) ისარგებლა „სანფრეჩე ჰიროშიმამ", რომელმაც ბოლო ორი მატჩი მოიგო, მეტოქეს ერთი ქულით გადაასწრო და ქვეყნის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ გახდა.

2-წრიანი ჩემპიონატი იაპონიაში 2005 წლიდან იმართება (მანამდე ჯეი ლიგა ორი ტურნირისგან შედგებოდა, რომელთა გამარჯვებულებიც ფინალში ხვდებოდნენ) და „სანფრეჩე" გახდა სულ მეორე გუნდი „კაშიმა ანთლერსის" შემდეგ, რომელმაც ორწრიანი ჩემპიონატების ეპოქაში, ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა.





ფუტსალის ლეგენდა ფალკაო

თავისი პირველი საერთაშორისო გოლი ლეგენდარულმა მოთამაშემ 1998 წელს გაიტანა და როგორც ჩანს, ის უახლოეს მომავალში გაჩერებას არც აპირებს.

**11** - ქულა პირველ 8 საშინაო შეხვედრაში - „მანჩესტერ იუნაიტედს" ასეთი ცუდი შედეგი ბოლოს 37 წლის წინ ჰქონდა. **დევიდ მოიესის** გუნდმა „ნიუკასლთან" წააგო (0:1) და ზედიზედ ორი საშინაო მარცხი პრემიერლიგის ისტორიაში მესამედ განიცადა. მოქმედ ჩემპიონს უკვე 5 მატჩი აქვს წაგებული. უკანასკნელი გუნდი, ვინც ასეთი სტარტის შემდეგ ჩემპიონობას შესწვდა, „მანჩესტერ სიტი" იყო, რომელმაც ეს 1967/68 წლების სეზონში მოახერხა. „ნიუკასლმა" კი „ოლდ ტრაფორდზე" 1972 წლის 12 თებერვლის შემდეგ პირველი გამარჯვება მოიპოვა.

„ლივერპულის" და „ვესტ ჰემის" შეხვედრაში მაყურებლებმა სამი ავტოგოლი იხილეს, ასეთი რამ კი პრემიერლიგაში აქამდე სულ ერთხელ, 2003 წელს, „სანდერლენდის" და „ჩარლტონის" შეხვედრაში მოხდა.

„ჰალის" ფორვარდმა **დენი გრემმა** კი 28-მატჩიანი და 1626-წუთიანი მშრალი სერია, მაინცდამაინც, ყოფილ გუნდთან, „სუონსისთან" დაასრულა.

**6** - გოლი გაუტანა არნემის „ვიტესმა" „პსვ ეინდჰოვენს" გასვლით შეხვედრაში და სატურნირო ცხრილში პირველი პოზიცია შეინარჩუნა. პსვ-მ საკუთარ მოედანზე 6 ბურთი ისტორიაში მეორედ გაუშვა. აქამდე, ერთადერთი გუნდი, რომელმაც ეინდჰოვენელები ასე დაამცირა „ტვენტე" იყო.

**გურამ კაშიას, ვაკო ყაზაიშვილის** და **გიორგი ჭანტურიას** „ვიტესი", რომელსაც „ჩელსის" 6 ფეხბურთელი ჰყავს იჯარით აყვანილი, 121-წლიან ისტორიაში პირველი ტიტულის მოპოვებას ცდილობს. არნემელები საუკეთესო ფორმაში არიან - 6 მოგება ბოლო 6 ტურში, ბურთების სხვაობა: 21-3.

პროფესიონალურ ეპოქაში (ჯეი ლიგა 1993 წელს შეიქმნა) ყველაზე ტიტულოვანი გუნდი „კაშიმა ანთლერსია", რომელიც ქვეყნის ჩემპიონი 7-ჯერ გახდა, მეორე ადგილს კი „იოკოჰამა ფ. მარინოსი" და „ჯუბილო ივატა" იყოფენ. ამ უკანასკნელმა დასრულებულ ჩემპიონატში მე-17 ადგილი დაიკავა და უმაღლესი ლიგიდან გავარდა.

სამოყვარულო ჩემპიონატების გათვალისწინებით კი, ყველაზე მეტი ტიტული სამ გუნდს აქვს: „კაშიმას" გარდა, 7-გზის გამარჯვებულები „ვერდი კავასაკი" და სწორედ „სანფრეჩე ჰიროშიმა" არიან, რომელმაც 5 ტიტული 60-იან წლებში, „ტოიო კოგიოს" სახელით მოიპოვა.

**0** - გამარჯვება 15 შეხვედრაში არის ბუნდესლიგის ანტირეკორდი, რომელიც „ნიურნბერგმა" დაამყარა. „მაინცთან" ფრედ (1:1) დასრულებული მატჩის შემდეგ, ფრანკებმა „მიუნხენ 1860"-ის (1977/78) და „დუისბურგის" (1994/95) შედეგი „გააუმჯობესეს" და ბუნდესლიგის ყველა დროის ყველაზე ცუდი სტარტის ავტორები გახდნენ.

ცხრილის მეორე ბოლოში კი მიუნხენის „ბაიერნი" რეკორდს რეკორდზე ამხობს. **პეპ გვარდიოლას** შეგირდებმა ბრემენში „ვერდერს" 7:0 მოუგეს - ამაზე დიდი ანგარიშით სტუმარ გუნდს ბუნდესლიგაში მხოლოდ ორჯერ აქვს მოგებული. მიუნხენელებს უკვე 26 საგარეო მატჩია არ წაუგიათ, რაც მათ მიერ 1985-87 წლებში დამყარებული რეკორდის გამეორებაა.

აი, ჩემპიონთა ლიგაში კი „ბაიერნის" სარეკორდო სვლა დასრულდა. ზედიზედ მოპოვებული 10 გამარჯვების შემდეგ, „რეკორდმაისტერმა" „მანჩესტერ სიტისთან" 2:3 წააგო, თანაც 10 წუთის შემდეგ 2:0-ს იგებდა. საშინაო მოედანზე ასეთი უპირატესობის მოპოვების შემდეგ, „ბაიერნი" ბოლოს 39 წლის წინ დამარცხდა, როდესაც 1975 წლის 25 იანვარს, „სიტის" მსგავსი გმირობა, ოფენბახის „კიკერსმა" ჩაიდინა.

**ტატო ბაციკაძე**

მოსაზრება

# მატერაცი ბენიტესს მისდგა

## სკუდეტო კი იუვეს უწინასწარმეტყველა



მარკო მატერაცი

**მარკო მატერაცის** ზედმეტი წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება - „ინტერის" და იტალიის ნაკრების ყოფილმა მცველმა „კორიერე დელა სერას" საკუთარი მოსაზრებები გაუზიარა

### ინტერი

იმედია, არ მიწყენენ თუ ვიტყვი, რომ „ინტერის" ამჟამინდელი შემადგენლობა მკვეთრად ჩამოუვარდება ჩვენი თაობის გუნდს, რომელმაც ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ამიტომ, **ვალტერ მაცარი** რთულ მდგომარეობაშია და ეს ყველაზე უკეთ თვითონ იცის. თუ ეს „ინტერი" სკუდეტოსთვის იბრძოლებს, პირადად მე სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩები. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ „ნერაძურის" პოტენციალი არ აქვს - დარწმუნებული ვარ, გუნდი მალე დაიბრუნებს ძველ დიდებას და ეს აუცილებლად ვალტერ მაცარისთან ერთად მოხდება.

### რაფაელ ბენიტესი

**რაფაელ ბენიტესის** ხელში „ინტერი" განწირული იყო - ესპანელ მწვრთნელს ფეხბურთელებთან ურთიერთობის დალაგება არ გამოსდის, არადა, „ინტერში" მას მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალისტები დახვდნენ, რომლებსაც განსაკუთრებული მიდგომა სჭირდებოდათ. რაფას ეს არ გამოუვიდა და ვატყობ, რომ იგივე ხდება „ნაპოლიშიც". ნეაპოლურ გუნდს უკეთესი შემადგენლობა ჰყავს, ვიდრე გასულ სეზონში, მაგრამ შედეგი არ ჩანს - რატომ? - პრობლემა ისევ ბენიტესშია; ის ზედმეტად თავდაჯერებულია საკუთარ თავში, რაზეც მისი უსაფუძვლო გადაწყვეტილებები მეტყველებს. ჩავიდა თუ არა ნეაპოლში, **პაოლო კანავარო** ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო - არადა, პაოლო „ნაპოლის" სხვა ყველა მცველს სჯობია.

### სერია A

სკუდეტოს ისევ „იუვენტუსი" მოიპოვებს, რადგან სხვებისგან განსხვავებით, ტურინელებს მთელი ჩემპიონატის სტაბილურად ჩატარება შეუძლიათ. **ანტონიო კონტეს** გუნდს ჩავარდნები არ აქვს, რაც წარმატების საწინდარია. შემადგენლობასაც რომ გადავხედოთ, „იუვე" საუკეთესოა - მარტო ნახევარდაცვა რად ღირს, სადაც **ანდრეა პირლო** და **არტურო ვიდალი** მოქმედებენ. ჩემი აზრით, ვიდალი-პირლო დღეს საუკეთესო ტანდემია მსოფლიო მასშტაბით. მათ ცენტრის მთლიანად ალება შეუძლიათ, რასაც აკეთებენ კიდეც. „რომა" კარგი გუნდია, სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ მაქსიმუმ ჩემპიონთა ლიგის საგზურს შეწვდეს.

**ლაშა ნიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბაიერნი

# გვარდიოლა: იქნებ, ეს წაგება კარგიცაა?!



პეპს წაგებამ გული არ დასწყვიტა

დაუმარცხებელი არავინაა და მათ შორის არც „ბაიერნი". ოღონდ, ეგაა, რომ აგერ უკვე ორი წელია, მიუნხენური გრანდი მარტო ისეთ თამაშებში აგებს, სადაც მოგება არ სჭირდება ხოლმე. ექვსივე მატჩის მოგება ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ რეკორდმაისტერმა „სიტისთან" 2:3 წააგო. თანაც, მას მერე, რაც 2:0-ს იგებდა. ეს ცუდია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მიუნხენში ამ წაგების გამო ცუდ ხასიათზე არავინ დამდგარა. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე უხასიათობა არც „ბაიერნის" თავკაც **ხოსეპ გვარდიოლას** დასტყობია:

*„იქნებ საჭიროც იყო, რომ ერთხელ ჩვენც წაგვეგო. ხანდახან წაგებაც კარგია. ოღონდ მაშინ, როცა მოგება არცისე მნიშვნელოვანია,"* - განაცხადა გვარდიოლამ.

პეპი არ ტყუის. ამ წაგებამ „ბაიერნს" გული არ ატკინა - რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მაინც პირველადგილოსნის რანგში გავიდა და წილისყრაზე ძლიერებში იქნება განთესილი.

არადა, პირველ წუთებში „ბაიერნისთვის" ყველაფერი იდეალურად იყო. **თომას მიულერმა** და **მარიო გიოტცემ** მიუნხენური გრანდი 2:0 დააწინაურეს, მაგრამ მერე „ბაიერნი" რატომღაც და როგორღაც გაჩერდა, პეპის ბიჭებმა სიჩქარე დააგდეს და „სიტიმაც" თამაში შეატრიალა. ზემოთაც ვთქვით, რომ გვარდიოლა მართალია, ამ წაგებამ რეკორდმაისტერს არაფერი დააკლო - მარტო სტატისტიკა გაუფუჭა: „ბაიერნისთვის" ეს პირველი წაგება იყო ბოლო 24 თამაშში. ცნობისათვის, მანამდე ბავარიელები ბოლოს ივლისის ბოლოს, გერმანიის სუპერთასზე, დორტმუნდის „ბორუსიასთან" დამარცხდნენ (2:4).

გვარდიოლა: *„მთავარი ისაა, რომ ჯგუფში მაინც პირველ ადგილზე გავედით. ეს მარცხი კარგი მხოლოდ იმ მხრივაა, რომ გვიჩვენებს, ჩემპიონთა ლიგაში მოშვება არ შეიძლება. თუმცა ბუნდესლიგაც ძალიან რთული ტურნირია, მაგრამ ამის დამტკიცება ძნელია მაშინ, როცა ყოველთვის იგებ."*

თამაშის შემდეგ განაწყენება არც „ბაიერნის" კაპიტან **ფილიპ ლამს** ეტყობოდა: *„დღეს ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ ამ წაგების იოლად გადატანა შეიძლება, რადგან ჯგუფში მაინც პირველი ადგილი დავიკავეთ. ცხადია, ყველა თამაშის მოგება გვინდა, მაგრამ როცა ისეთ თამაშს წააგებ, რომლის მოგებაც ბევრს არაფერს გაძლევდა, ეს კატასტროფა არ არის,"* - აღნიშნა ლამმა.

გაგახსენებთ, რომ ერთი უსარგებლო მატჩი „ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშებაშიც წააგო (1:3 ბატესთან), მაგრამ ბოლოს თასი აიღო. ამრიგად, არც „ბაიერნია" უძლეველი, მაგრამ საქმე ისაა, რომ მარტო ისეთ თამაშებს აგებს ხოლმე, რომელთა მოგება რეალურად არც სჭირდება...

**გოტფრიდ ლენცი**

## ლევერკუზენი

# პირველად, 2002 წლის შემდეგ

### თოფრაქის ტოპ-დარტყმა, ფიოლერისთვის ჭიქა ღვინოს და სიგარას ნიშნავს

ლევერკუზენის „ბაიერმა" სან სებასტიანში 1:0 მოიგო და რაკი პარალელურ შეხვედრაში დონეცკის „შახტარი" მანჩესტერში იმავე ანგარიშით დამარცხდა, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გერმანელები გავიდნენ. „ლევერკუზენის" გმირი 24 წლის მცველი **იომერ თოფრაქი** გახდა - „რეალ სოსიედადის" კარში გამარჯვების გოლი სწორედ თურქეთის ნაკრების უკანახაზელმა გაიტანა.

აღსანიშნავია, რომ თოფრაქი ჯერ კიდევ 2008 წელს გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი გახლდათ, მაგრამ მერე გადაწყვეტილება თავისი ნაღდი სამშობლოს სასარგებლოდ მიიღო და თურქეთის ნაკრებში დაბინავდა. თოფრაქი სან სებასტიანში გმირი მარტო გოლის გამო არ გამხდარა - დაცვაშიც შესაშურად ითამაშა და ორთაბრძოლების 83 პროცენტი მოიგო.

ამრიგად, კარგ ფორმაში მყოფმა „ლევერკუზენმა" დორტმუნდის შემდეგ (იქაც 1:0), გამარჯვება სან სებასტიანშიც იზეიმა - ამ მოგებისთვის „ფარმაცევტები" უეფასგან ერთ მილიონ ევროს, ხოლო მერვედფინალში გასვლისთვის კი დამატებით 3.5 მილიონს მიიღებენ. აღსანიშნავია, რომ „რეალ სოსიედადისთვის" ამ შეხვედრას სპორტული თვალსაზრისით მნიშვნელობა არ ჰქონია, რის გამოც თითქმის მეორე შემადგენლობით ითამაშა და ამით „ლევერკუზენს" საქმე გაუადვილა.

თუმცა ბასკები გერმანელებს ხშირად ზედმეტად ეუხეშებოდნენ - **ემრე ჩანმა** და **რობი კრუსმა** კინაღამ სერიოზული ტრავმები მიიღეს, რის გამოც „ბაიერის" თავკაცი **სამი ჰიიპია** ისე განრისხდა, რომ მსაჯებს კინაღამ წითელი ბარათი გამოსტყუა.

*„მიხარია, რომ ეს მატჩი წარმატებით გადავაგორეთ. მოვიგეთ, ჯგუფიდან გავედით და ყველანი ჯანმრთელად ვართ. ახლა ჭიქა წითელი ღვინისკენ და სიგარისკენ მიმიხარია,"* - განაცხადა მატჩის შემდეგ „ლევერკუზენის" სპორტულმა დირექტორმა **რუდი ფიოლერმა**.

ცნობისათვის, „ლევერკუზენს" ჩემპიონთა ლიგაში გასვლითი მატჩი ბოლოს 2002 წლის ოქტომბერში ჰქონდა მოგებული **კლაუს ტოპმიოლერის** დროს...

**გოტფრიდ ლენცი**



ლევერკუზენის ბაიერმა სან სებასტიანში იომერ თოფრაქის გოლით მოიგო

## ამბები

### პორტუ მონაკოს დონორია

პორტუგალიურ-ფრანგული პრესა იუწყება, რომ იანვარში „პორტუს" არგენტინელი მცველი **ნიკოლას ოტამენდი** „მონაკოში" გადავა. მისი გამოსასყიდი თანხა 30 მილიონ ევროს შეადგენს და მონაკოელები მზად არიან ამდენი გადაიხადონ. მეტიც, ზაფხულში „ლუი II" ბინადრები „დრაკონების" მეორე ცენტრალური მცველის **ელიაკიმ მანგალას** წაყვანასაც აპირებენ და ამისთვის 50 მილიონი გაუმზადებიათ. მართალია, მანგალაში შემცილებელი ბევრია, მაგრამ „მონაკო" ალბათ ყველაზე მეტს გადაიხდის. ისე, ამ გუნდებს შორის უკვე შესანიშნავი ურთიერთობაა. შეგახსენებთ, რომ მონტეკარლოელებმა **ჯეიმს როდრიგესი** და **ჟოაო მოუტინიო** ჯამში 70 მილიონ ევროდ იყიდეს „პორტუდან". მოკლედ, პორტუგალიური კლუბი, შედარებით იაფად ნაყიდი ფეხბურთელების დიდ თანხებად გაყიდვას და გამდიდრებას აგრძელებს.

### სანაბრიამ რომა აირჩია

„ბარსელონა B"-ს თავდამსხმელი **ანტონიო სანაბრია** „რომაში" გადავა. მისი კონტრაქტის გამოსყიდვა დედაქალაქელებს 4 მილიონ ევრომდე დაუჯდებათ. კატალონიელებს პარაგვაელის გაშვება დიდად არ უნდოდათ, მაგრამ ეს თავად ფეხბურთელს გადაუწყვეტია. როგორც ამბობენ, შეთანხმება უკვე იანვარში გაფორმდება, მაგრამ ახალ ფეხბურთელს „მგლები" მომავალ ზაფხულს წარადგენენ, რადგან ამ სეზონში ევროკავშირის პასპორტის არმქონე მოთამაშეების კვოტა უკვე შევსებულია. 17 წლის სანაბრიაზე დიდ იმედებს ამყარებენ და მას არაერთი მსურველი ჰყავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, „ჯალოროსიმ" ყველას აჯობა.

**გიორგი კაკაბაძე**

## ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის წინ

# ბოლო ექვსი საგზურისთვის

EUROPA LEAGUE

ევროპალიგის ბოლოსწინა ტურის შემდეგ პლეი ოფში მანამდე გასულ 8 კლუბს კიდევ 10 შეემატა: „გენკი", „ლიონი", „ბეტისი", „ტრაბზონი", „ლაციო", „ანჟი", „ალკმაარი", პაოკ, „სევილია" და „აინტრახტი". 1/16 ფინალში ევროპალიგის ჯგუფური ეტაპიდან 24 კლუბი უნდა გავიდეს, ასე რომ, გასათამაშებელი მხოლოდ 6 საგზური რჩება.

პლეი ოფში თამაში გაინაღდეს: **გია გრიგალავას** „ანჟიმ", საბა კვირკველიას „რუბინმა", **ჯაბა კანკავას** და **სანდრო კობახიძის** „დნიპრომ". სამარცხვინოდ ასრულებს **ლადო დვალიშვილის** „ლეგია" ევროპალიგაზე ასპარეზობას. პოლონურ გუნდს 0 ქულა და 0 გოლი აქვს გრაფაში. „ლეგია" ყველაზე ცუდი გუნდია წლევანდელ ტურნირზე.

შეგახსენებთ, რომ 24 გუნდს ჩემპიონთა ლიგიდან გადმოსული 8 მესამეადგილოსანი დაემატება და 1/16 ფინალის კენჭისყრაც შედგება.

### 12 დეკემბერი

**A ჯგუფი**

ვალენსია-ჟუბანი 22:00
სტ. გალენი-სუონსი 22:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვალენსია | 5 | 4 | 0 | 1 | 11-6 | 12 |
| 2. სუონსი | 5 | 2 | 2 | 1 | 6-3 | 8 |
| 3. ჟუბანი | 5 | 1 | 2 | 2 | 6-6 | 5 |
| 4. სტ. გალენი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-13 | 3 |

**B ჯგუფი**

დინამო ზ-ლუდოგორეცი 22:00
პსვ-ჩერნომორეცი 22:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუდოგორეცი | 5 | 4 | 1 | 0 | 9-1 | 13 |
| 2. პსვ | 5 | 2 | 1 | 2 | 4-4 | 7 |
| 3. ჩერნომორეცი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-6 | 7 |
| 4. დინამო ზ. | 5 | 0 | 1 | 4 | 2-9 | 1 |

**C ჯგუფი**

ზალცბურგი-ესბიერგი 22:00
სტანდარდი-ელფსბორგი 22:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზალცბურგი | 5 | 5 | 0 | 0 | 12-3 | 15 |
| 2. ესბიერგი | 5 | 4 | 0 | 1 | 8-5 | 12 |
| 3. სტანდარდი | 5 | 0 | 1 | 4 | 5-10 | 1 |
| 4. ელფსბორგი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-9 | 1 |

**D ჯგუფი**

ვარეგემი-რუბინი 22:00
მარიბორი-უიგანი 22:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუბინი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-4 | 11 |
| 2. ვარეგემი | 5 | 2 | 1 | 2 | 4-8 | 7 |
| 3. უიგანი | 5 | 1 | 2 | 2 | 5-5 | 5 |
| 4. მარიბორი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |

**E ჯგუფი**

ფიორენტინა-დნიპრო 22:00
პანდურიი-ფერეირა 22:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | 5 | 4 | 1 | 0 | 10-2 | 13 |
| 2. დნიპრო | 5 | 4 | 0 | 1 | 10-3 | 12 |
| 3. ფერეირა | 5 | 0 | 2 | 3 | 1-8 | 2 |
| 4. პანდურიი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

**F ჯგუფი**

აინტრახტი-აპოელ 22:00
მაქაბი თ.-ბორდო 22:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აინტრახტი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-4 | 12 |
| 2. მაკაბი თ. | 5 | 2 | 2 | 1 | 6-5 | 8 |
| 3. აპოელ | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 4. ბორდო | 5 | 1 | 0 | 4 | 4-9 | 3 |

**G ჯგუფი**

დინამო კ-რაპიდი 00:05
თუნი-გენკი 00:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-6 | 11 |
| 2. დინამო კ. | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 7 |
| 3. რაპიდი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-7 | 6 |
| 4. თუნი | 5 | 1 | 0 | 4 | 3-9 | 3 |

**H ჯგუფი**

ფრაიბურგი-სევილია 00:05
ესტორილი-ლიბერეცი 00:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 5 | 2 | 3 | 0 | 7-4 | 9 |
| 2. ლიბერეცი | 5 | 1 | 3 | 1 | 7-7 | 6 |
| 3. ფრაიბურგი | 5 | 1 | 3 | 1 | 5-6 | 6 |
| 4. ესტორილი | 5 | 0 | 3 | 2 | 4-6 | 3 |

**I ჯგუფი**

ბეტისი-რიეკა 00:05
გიმარაეში-ლიონი 00:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლიონი | 5 | 2 | 3 | 0 | 4-2 | 9 |
| 2. ბეტისი | 5 | 2 | 2 | 1 | 3-2 | 8 |
| 3. გიმარაეში | 5 | 1 | 2 | 2 | 5-3 | 5 |
| 4. რიეკა | 5 | 0 | 3 | 2 | 2-7 | 3 |

**J ჯგუფი**

აპოლონი-ლეგია 00:05
ლაციო-ტრაბზონი 00:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტრაბზონი | 5 | 4 | 1 | 0 | 13-6 | 13 |
| 2. ლაციო | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 11 |
| 3. აპოლონი | 5 | 1 | 1 | 3 | 5-8 | 4 |
| 4. ლეგია | 5 | 0 | 0 | 5 | 0-8 | 0 |

**K ჯგუფი**

შერიფი-ტრომსიო 00:05
ტოტენჰემი-ანჟი 00:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 5 | 5 | 0 | 0 | 11-1 | 15 |
| 2. ანჟი | 5 | 2 | 2 | 1 | 3-3 | 8 |
| 3. შერიფი | 5 | 0 | 3 | 2 | 3-6 | 3 |
| 4. ტრომსიო | 5 | 0 | 1 | 4 | 1-8 | 1 |

**L ჯგუფი**

პაოკ-ალკმაარი 00:05
მაქაბი ჰ.-შახტიორი 00:05

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალკმაარი | 5 | 3 | 2 | 0 | 6-2 | 11 |
| 2. პაოკ | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 11 |
| 3. მაკაბი ჰ. | 5 | 0 | 2 | 3 | 4-8 | 2 |
| 4. შახტიორი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-8 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 - ოლკან ადინი (ტრაბზონი), ჯერმეინ დეფო (ტოტენჰემი); 4 - ალანი (ზალცბურგი), სერჯო ფლოკარი (ლაციო), ხონათან სორიანო (ზალცბურგი), ანდრიი იარმოლენკო (დინამო კიევი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მწვრთნელი

# კურბისი ჯადოქარი არ არის



როლან კურბისი

„მონპელიეს" ძველ-ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **როლან კურბისმა** პირველი კომენტარი გააკეთა. შეგახსენებთ, რომ გუნდის ექსცენტრიკულმა პრეზიდენტმა **ლუი ნიკოლენმა ჟან ფერნანდესი** პოსტიდან დაითხოვა, ცოტა ხანი იფიქრა და შემდეგ განაცხადა - კურბისი ზუსტად ის კაცია, რომელიც გვჭირდებაო და მასთან ორწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. გავიხსენოთ ისიც, რომ 2009 წელს კურბისმა „მონპელიე" ლიგა ორიდან ელიტაში დააბრუნა.

*„ჩვენი მომავალი ახლავე წყდება, ახალ წლამდე ორი მატჩი დაგვრჩა და ქულები უნდა ავიღოთ. მე აქ იმისთვის მოვედი, რომ რაღაცები შევცვალო და გამოვასწორო, მაგრამ ჯადოქარი არ ვარ"* - თქვა კურბისმა. როგორც ხედავთ, 60 წლის სპეციალისტი იმედიანადაა, მაგრამ ცოტათი თავსაც იზღვევს. მის გუნდს წელს „სენტ ეტიენთან" საშინაო და „ბასტიასთან" საგარეო მატჩები დარჩა.

**გიორგი კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მანჩესტერ სიტი



მანუელ პელეგრინი საკუთარი ფეხბურთელების თავდადებით კმაყოფილი დარჩა

# გამარჯვება გერმანელების მეთოდით

ანგარიშში ჩამორჩენის შემდეგ არ-ფანებება, ბოლო წამებამდე ბრძოლა და საბოლოოდ მოედნის თავანეულად და-ტოვების უფლება ისტორიულად გერმა-ნელების „ექსკლუზივია". „მანჩესტერ სიტიმ" ჩემპიონთა ლიგის გამარჯვე-ბულსა და მიმდინარე გათამაშების პირველეს ფავორიტს მისივე მეთო-დით მოუგო. შეხვედრის მე-12 წუთის შემდეგ „ქალაქელების" ყველაზე ოპტი-მისტი გულშემატკივარიც ვერ იფიქრებ-და, რომ ყველაფერი შეიძლებოდა ასე დასრულებულიყო. მანკუნიანელთა თავკაცი შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ საკუთარი გუნდით განსაკუთ-რებულად ამაყი დარჩა. ჩილელი ალბათ საკუთარი თავითაც ძალიან კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, რადგან მან კარიერა-ში პირველად მოუგო **პეპ გვარდიოლას** გუნდს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ შაბათს „არსენალთან" პრემიერლი-გის XVI ტურის ცენტრალურ შეხვედრას „სიტი" საკუთარ ძალებში კიდევ უფრო დარწმუნებული შეხვდება.

**მანუელ პელეგრინი** (მანჩესტერ სი-ტი): *„გუშინ სადღაც ყური მოვკარი, რომ თურმე ჩვენთვის პრიორიტეტი პრემი-ერლიგაში „არსენალთან" თამაში ყოფი-ლა. გარწმუნებთ, „ბაიერნთან" დაპირისპირებას ჩვენთვის არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. მიუნხენელებთან „ეტიჰადზე" ძალიან სუსტად ვითამაშეთ და ამჯერად მაინც გვინდოდა იმის დამ-ტკიცება, რომ ძლიერი გუნდი ვართ. ძა-ლიან მნიშვნელოვანი შედეგია ის, რაც მივიღეთ, მით უმეტეს, კომპანის, ნასრი-სა და აგუეროს გარეშე. მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორ ვთამაშობდით პირვე-ლი 15-16 წუთის განმავლობაში. მაშინ, როცა ორი ბურთით აგებ, არ არსებობს იმაზე უკეთესი წამალი, ვიდრე გოლია. საერთო ჯამში ბურთს კარგად ვაკონტ-როლებდით და ვთამაშობდით ზუსტად ისე, როგორც ველოდი. თუკი ბურთს აკონტროლებ, თამაშის ბედი შეიძლება ითქვას, რომ შენს ხელშია. 2:1-ის შემდეგ ჩემი ფეხბურთელები განსაკუთრებით მონდომებით უტევდნენ. რაღაც მომენ-ტში ვიფიქრე, რომ მოედანზე აგუერო შემეშვა, რაკი ვიცოდი, რომ დავიდ სილ-ვა 70 წუთზე მეტხანს ვერ გაძლებდა, თუმცა საბოლოოდ ნეგრედოს თამაში ვარჩიე. ძალიან გვინდოდა ჯგუფში პირ-ველი ადგილის დაკავება, თუმცა ეს ყვე-ლაზე მნიშვნელოვანი არ არის. მთავარია, ოპტიმალური სათამაშო რიტმი ვნახოთ. დღევანდელი თამაში ამ მიზნისკენ სავალ გზაზე ერთ-ერთი სე-რიოზული ნაბიჯი იყო".*

**ლევან ბიბილაშვილი**

## მანჩესტერ იუნაიტედი

# იუნაიტედის იმედი

## იქნება შახტარი აღმართის დასაწყისი?

პრემიერლიგაში „მანჩესტერ იუნაი-ტედმა" საქმე იმდენად გაიფუჭა, რომ მოქმედ ჩემპიონს ტიტულის დასაცავად მხოლოდ მიზერული შანსები აქვს შერჩე-ნილი. **დევიდ მოიესის** გუნდის გამოღვი-ძების პრაქტიკულად უკვე აღარავის სჯერა. სამაგიეროდ, ყველაფერი რიგზეა ჩემპიონთა ლიგაში, სადაც გუნდმა 6-დან 4 თამაში მოიგო, 2-ჯერ ფრედ ითამაშა და პლეი ოფში პირველი ადგილით გავიდა. ჩემპიონატში „ოლდ ტრეფორდზე" ზედი-ზედ ორი მწარე მარცხის შემდეგ „იუნაი-ტედმა" „შახტართან" მოგების წყალობით ოდნავ ამოისუნთქა. მოიესი უბრალოდ ბედნიერია, რომ მისმა შეგირდებმა დავა-ლება პირნათლად შეასრულეს.

დევიდ მოიესი (მანჩესტერ იუნაიტე-დი): *„მიუხედავად დღევანდელი შედეგი-სა, პლეი ოფში თამაში ისედაც განაღდებული გვქონდა. ამ უფლების დაბევებას კენჭისყრის დღიდან მოყო-ლებული სწორედ რომ ვადამდე ვგეგ-მავდით. მას მერე, რაც გრძნობ, რომ მწვერვალს უფრო ცოტა გაშორებს, ვიდრე იქამდე იყო, ცხადია, ტიტულის-თვის ბრძოლის სურვილი მძაფრდება.*

*„შახტარი" ის გუნდია, ვისთანაც მო-დუნება და ძალების დაზოგვა არასდ-როს გამოდის, რადგან უკრაინელებს მართლა ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ, რაშიც დღეს კიდევ ერთხელ შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით. მათ რამდენიმე ტანდაბალი ბრაზილიელი ჰყავთ, რო-მელთაც თავიანთი ნიჭის წყალობით შე-უძლიათ მეტოქისთვის სერიოზული პრობლემების შექმნა.*

*შეხვედრა საუკეთესოდ ნამდვილად არ დაგვიწყია. პირველი ნახევარი საა-თის განმავლობაში რამდენჯერმე გა-დავრჩით გოლს. შესვენებამდე თავადაც გვქონდა ორიოდე შანსი. აი, მეორე ტა-იმში კი ნამდვილად კარგად ავთამაშდით და დავამტკიცეთ, რომ მეტოქეზე უკე-თესი გუნდი გვყავს. ანგარიშის გახსნის შემდეგ ბურთი უნდა დაგვეჭირა და მი-ზანს მივაღწევდით კიდევ, რაც საბო-ლოოდ შევძელით კიდეც".*

**ფილ ჯონსი** (მანჩესტერ იუნაიტედი): *„ვფიქრობ, რომ დღევანდელ შეხვედრა-ში გუნდი უკეთ იყო მოტივირებული და უფრო მეტადაც სჯეროდა საკუთარი თავის, ვიდრე ბოლო მატჩებში. პირველ ნახევარი ცვალებადი სცენარით წარი-მართა. მეორეში კი თამაშის მართვის სა-დავეები ხელთ ვიგდეთ და რამდენიმე კარგი შანსი გავანიავეთ.*

*იმედია, ამის მერე მაინც შევძლებთ ჩემპიონატში ქულების სტაბილურად დაგროვებას, რადგან ბოლო კვირების განმავლობაში ბევრი იმედგაცრუება ვნა-ხეთ. სწორედ რომ დროა, მომავალ წარმა-ტებულ სერიას საფუძველი ჩავუყაროთ".*

**ლევან ბიბილაშვილი**



„იუნაიტედის" ვარსკვლავები (მარცხნიდან): ტომ კლევერლი, ფილ ჯონსი და ალექსანდერ ბიუტნერი შეხვედრაში გასულ ერთადერთ გოლს ზეიმობენ

## რეალი

# რეკორდების წვიმა პარკენსზე

## ანჩელოტის სიტისთან რანდევუ არ უნდა

სამშაბათს „რეალმა" „კოპენჰაგენს" განსაკუთრებული პრობლემის გარეშე 2:0 მოუგო და ჯგუფური ეტაპი 16 ქუ-ლით დაასრულა. პირველი ადგილის და-კავებით კმაყოფილი იყო **კარლო ანჩელოტი**:

*„საკმაოდ რთული მატჩი გვქონდა და კარგია, რომ ფეხბურთელებმა კონცენ-ტრაცია არ დაკარგეს და ბოლომდე იბ-რძოლეს. მადრიდის „რეალის" მაისურის ტარება ყველა ფეხბურთელისთვის მო-ტივაციის წყაროა - ის იმის გარანტიაა, რომ მოთამაშეები თითოეულ შეხვედრა-ში შესაძლებლობების მაქსიმუმს გამო-ავლენენ".*

იტალიელმა სპეციალისტმა ასევე მომავალ მეტოქეებზე ისაუბრა და ყვე-ლაზე მეტად „მანჩესტერ სიტისთან" შეხვედრა არ ისურვა: *„ჯგუფებში მეო-რე ადგილზე გასულ გუნდებს შორის ყველაზე ძლიერი „მანჩესტერ სიტია". იმედია, კენჭისყრაში გაგვიმართლებს, თუმცა რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ აღე-ბული გეზიდან არ გადავუხვიოთ და თანდათან უფრო უკეთ ვითამაშოთ,"* - განაცხადა ანჩელოტიმ.

დანიის დედაქალაქში გამართულ შეხვედრაში რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ „სამეფო კლუბს" არა მხო-ლოდ ჯგუფიდან გასვლა, არამედ პირვე-ლი ადგილიც განაღდებული ჰქონდა, ანჩელოტიმ სათამაშოდ ძირითად შემად-გენლობას უხმო. სასტარტო თერთმეტე-ულში იყო **კრიშტიანო რონალდოც**, რომელიც განსაკუთრებით მონდომებუ-ლი გახლდათ - ერთი გოლი და პორტუ-გალიელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის რეკორდს დაამხობდა. შეგახსე-ნებთ, რომ ევროპის ყველაზე პრესტი-ჟული საკლუბო ტურნირის ჯგუფურ ეტაპზე 8 გოლზე მეტი აქამდე არავის გა-ეტანა, 8 ბურთი კი **ფილიპო ინძაგის, ერნან კრესპოს** და **რუუდ ვან ნისტელ-როის** გაუტანიათ. წელს ამ ლეგენდარუ-ლი ფორვარდების შედეგი რონალდომ და **იბრაჰიმოვიჩმა** გაიმეორეს, თუმცა შვედს „ბენფიკასთან" არ უთამაშია. ასე რომ, რჩებოდა მხოლოდ რონალდო... და მანაც რეკორდი შეხვედრის 48-ე წუთზე დაამყარა, როდესაც **პეპეს** თავით გაკე-თებულ გადაცემას გამოეხმაურა და ან-გარიში 2:0 გახადა.

გარდა იმისა, რომ კრიშტიანომ ჯგუფში მეცხრე გოლი გაიტანა, „რეა-ლისთვის" ეს ბურთი მე-20 იყო, რაც „მანჩესტერ იუნაიტედის" (1998/99) და „ბარსელონას" (2011/12) რეკორდის გა-მეორებას ნიშნავდა. შეხვედრის ბოლო წუთზე „რეალს" 21-ე გოლის გატანის შანსიც ჰქონდა, მაგრამ რონალდომ პე-ნალტი ვერ გამოიყენა - მეკარემ აუღო.

*„დღეს რამდენიმე ეპიზოდში არ გამი-მართლა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან გუნდმა იმარჯვა, მე კი რეკორ-დი დავამყარე. რა თქმა უნდა, გოლის გა-ტანაზე ვფიქრობდი და მიხარია, რომ ეს მოვახერხე, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვა-ნი გუნდის წარმატებაა. ჩვენ გვინდა, რომ ამ სეზონში ყველა ის ტიტული მო-ვიგოთ, რომლისთვისაც ვიბრძვით,"* - გა-ნაცხადა მატჩის შემდეგ რონალდომ.

ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა, რომ ეს „რეალის" მეორე ბურთი „სამეფო კლუ-ბისთვის" ჩემპიონთა თასზე გატანილი მე-800 გოლი იყო, ასე რომ, 28 წლის ფეხბურთელმა საკუთარი გვარი მადრი-დული კლუბის ისტორიაში ამ კომპონენ-ტშიც ჩაწერა.

ისტორიული იყო **ლუკა მოდრიჩის** გოლიც. ხორვატმა ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა, რაც ნიშნავდა იმას, რომ „რეალმა" ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ 31-ე შეხვედრაში გაიტანა, რაც ასევე რეკორდია. **იკერ კასილიასმა** კი ნათა-მაშები წუთების მიხედვით **რაულს** (8 050) გადაასწრო და პირველ ადგილზე გადავიდა. მომდევნო პოზიციებზე არი-ან: **რობერტო კარლოსი** (7 464), **გარი ნევილი** (6 838) და **ოლივერ კანი** (6 685)

**ტატო ბაციკაძე**




რონალდომ რეკორდი დაამყარა, მაგრამ პენალტიც ვერ გაიტანა

## ამბები

### რუნიმ მანჩესტერს უარი უთხრა

რახდებოდა სეზონის დაწყებამდე **უეინ რუნისა** და „მანჩესტერ იუნაიტედის" ბოსებს შორის, ამ თემაზე საუბარს აღარ შევუდგებით. გულშემატკივარს ყველა-ფერი დეტალურად ეხსომება. მას შემდეგ თითქოს პრობლემა მოგვარდა. თავ-დამსხმელი „ოლდ ტრეფორდზე" დარჩა. ექსპერტთა ნაწილმა **დევიდ მოიესს** ეს დამსახურებაშიც კი ჩაუთვალა. თუმცა ამ დღეებში გამოჩნდა, რომ ყველაფერი იდეალურად არ ყოფილა. ხელმძღვანელობამ 28 წლის ვარსკვლავს ახალი ხელ-შეკრულების შესახებ მოლაპარაკებების დაწყება უკვე მეორედ შესთავაზა და მე-ორედაც უარი მიიღო. რუნის „ეშმაკებთან" კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულზე უმთავრდება. ამის გათვალისწინებით, „იუნაიტედი" ფორსმაჟორულ სიტუაცია-ში ვარდება. მას მოთამაშის სარფიანად გაყიდვის უკანასკნელი შანსი დარჩება. ასე რომ, ერთად დაველოდოთ რუნიზე სატრანსფერო ციებ-ცხელების დაწყებას.

### როუზმა ვარჯიში განაახლა

„ტოტენჰემის" 23 წლის მარცხენა მცველმა **დენი როუზმა** 19 სექტემბერს ევ-როპალიგის შეხვედრაში ნორვეგიული „ტრომსიოს" წინააღმდეგ ფეხის მძიმე ტრავ-მა პირველივე ტაიმში მიიღო და მას მერე მოედანზე აღარ გამოჩენილა. 3-თვიანი პაუზის შემდეგ ფეხბურთელმა სრული დატვირთვით ვარჯიში ახლახან განაახლა და შესაძლოა დღეს საღამოს „ანჟისთან" თამაშის საშუალება მიეცეს. უკიდურეს შემთხვევაში, როუზი უქმეებზე „ლივერპულთან" შეცვლაზე მაინც შევა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამბები

### ლამელა ატლეტიკოში?

„ტოტენჰემმა" ერიკ ლამელა შესაძლოა „ატლეტიკოში" გაანათხოვროს. ზაფხულში „რომადან" 30 მილიონ გირვანქად ნაყიდ არგენტინელს სათამაშო დრო აკლია, ამით კი პრეტენზიული და ამბიციური ლამელა კმაყოფილი სულაც ვერ არის. „ატლეტიკოში" მას თანამემამულე **დიეგო სიმეონე** ხელებგაშლილი მიიღებს. თუ ინგლისურ და ესპანურ წყაროებს ვენდობით, მოლაპარაკებები მხარეებს შორის უკვე დაწყებულია. აღვნიშნოთ, რომ პრემიერლიგაში ლამელამ მხოლოდ 6 მატჩი ჩაატარა და ერთი საგოლე პასით გამოირჩა.

### დეულოფეუ 35 მილიონი

„ბარსელონა" **ჟერარ დეულოფეუსთან** ადვილად განშორებას არ აპირებს. 19 წლის ნახევარმცველი „ევერტონშია" განათხოვრებული და მიუხედავად იმისა, რომ იქ ძირითადად შეცვლებზე უწევს თამაში, თავის გამოჩენას მაინც ახერხებს. შესაბამისად, დეულოფეუს, რომელსაც უახლოეს მომავალში „ბარსას" პირველ გუნდში და სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა გაუჭირდება, უამრავი მსურველი გამოუჩნდა. თუმცა იგი კატალონიელების სამომავლო გეგმებში შედის და ახალი კონტრაქტის თანახმად 2017 წლის 30 ივნისამდე გუნდის საკუთრებაა. მისი გამოსასყიდი თანხა 35 მილიონ ევროს შეადგენს და „ბარსა" ამაზე იაფად თავის მორიგ საგანძურს არავის დაუთმობს. ამბობენ, ზაფხულში მსგავსი კონტრაქტები **სერხი სამპერთან, ჟან-მარი დონგთან, სანდრო რამირესთან, ფრანკ მაკი ბანიაკთან** და გუნდის სხვა ნიჭიერ ფეხბურთელებთანაც გაფორმდება, რადგან კლუბმა ახალგაზრდა ტალანტები მარტივად არ დაკარგოსო.

### ახალი ლუჟნიკები

როგორც მოგეხსენებათ, მოსკოვში „ლუჟნიკების" რეკონსტრუქცია იგეგმება. რუსები აქედანვე იწყებენ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას და თან ამ სტადიონის რეკონსტრუქცია ისედაც ჩანაფიქრში იყო. მთავრობამ პროექტი უკვე დაამტკიცა და რამდენიმე დეტალიც გახდა ცნობილი. მაგალითად ის, რომ კომპლექსი 454 ათასი კვადრატული მეტრის მოცულობისა იქნება და გარდა უშუალოდ სტადიონისა, იქ საბავშვო აკადემია, საცურაო აუზი, მინი-სტადიონი და კიდევ არაერთი დაწესებულება განთავსდება. პროექტი 83,5 მილიარდი რუბლი ჯდება, აქედან 39,4 მილიარდი ქალაქის ბიუჯეტიდან გამოიყოფა, ხოლო 44,1 მილიარდის მოზიდვას ინვესტორებისაგან აპირებენ. ასე რომ, „ლუჟნიკი" სამჯერ უფრო ძვირფასი სიამოვნება გამოდის, ვიდრე „ზენიტის" ახალი სტადიონი.

### პალასიო ახალი კონტრაქტი

მილანის „ინტერი" მალე ალბათ ახალ კონტრაქტს გააფორმებს **როდრიგო პალასიოსთან**. არგენტინელმა დაადასტურა, რომ მოლაპარაკება დაწყებულია. გეტყვით, რომ მხარეებს შორის მოქმედ შეთანხმებას ვადა 2015 წლის ზაფხულში გასდის. პალასიოს 2012 წლიდან დღემდე „ნერაძურის" მაისურით ჩატარებულ 55 მატჩში 33 გოლი აქვს გატანილი.

„ჩემი აგენტი გუნდთან მოლაპარაკებას აწარმოებს. ყველაფერი ალბათ უახლოეს 10 დღეში გაირკვევა. ამჟამად ყველაფერი რიგზე მაქვს, საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მთავარია გუნდის საქმე მიდიოდეს კარგად. გაუთვალისწინებელი ფრეები გვამუხრუჭებს, მატჩების მსვლელობისას ხშირად ვერ ვიყენებთ და ვკარგავთ უპირატესობას. თუმცა მთლიანობაში კარგი სეზონი გვაქვს და უმაღლესი მიზნებისთვის უნდა ვიბრძოლოთ" - თქვა 31 წლის პალასიომ.

**გიორგი პაპაბაძე**

## ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

E ჯგუფი

# ფართოდ დახუჭული თვალები



„ჩელსიმ" მინიმალური გამარჯვებაც იკმარა

ბოლო ტურში E ჯგუფის მასპინძლებს მარტივი საქმე ჰქონდათ მოსაგვარებელი. „ჩელსისაც" და „შალკესაც" უბრალოდ უნდა მოეგოთ, რათა პირველს ლიდერობა არ დაეთმო, მეორეს - პლეი ოფის საგზური. ჩემპიონატში განცდილი წარუმატებლობების გამო კრიტიკის ქარცეცხლში მოქცეულ ლონდონელებთან „სტიაუას" ძალიან რომ გაუჭირდებოდა, წინდაწინ ცხადი იყო, „შალკეს" კი წარმატებაში გარემოებებმა შეუწყო ხელი.

„ფელტინს არენაზე" თამაში უინტერესოდ დაიწყო. პირველი 10 წუთის განმავლობაში პრაქტიკულად არაფერი მომხდარა. ტაიმის შუაწელს 3 წუთის ინტერვალით **პაოლო ტალიავენტოს** მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა თამაშში გარდატეხა შეიტანა. ჯერ იყო და იტალიელმა 29-ე წუთზე არ გააძევა **ჰიოვედესი**, მიიჩნია რა, რომ გერმანელის დარღვევა „ბოლო იმედის ჯარიმად" ვერ შეფასდებოდა, შემდეგ კი იდენტურ სიტუაციაში **ივანოვი** გასახდელში დროზე ადრე გაუშვა. ფორმალურად მსაჯი ორივე სიტუაციაში მართალი იყო. უბრალოდ, ეპიზოდები ერთმანეთს მეტისმეტად ჰგავდა და განსხვავება მხოლოდ წვრილმანებში იყო. სამაგიეროდ, აშკარა იყო თემიდას მსახურთა უხეშზე უხეში შეცდომა, როცა მათ **ჟოელ მატიპის** გოლი ჩათვალეს. საჯარიმოს შემდეგ შვეიცარიელებმა ერთბაშად 4 მასპინძელი ჩატოვეს თამაშგარეში, მაგრამ არბიტრებმა „ფართოდ დახუჭული თვალებით" ეს ვერ დაინახეს. „ხუმარებს" იქამდე ერთი ნამუსიანი გოლიც ჰქონდათ გატანილი, ასე რომ, ასეც და ისეც საგზურს მაინც ისინი მიიღებდნენ. „ფელტინს არენაზე" საინტერესო კიდევ ბევრი რამ მოხდა და ძირითადად ზომერის კართან.

„სტემფორდ ბრიჯზე" სხვა შედეგს არც არავინ ელოდა. ანგარიში დებიუტშივე გაიხსნა, როცა **დემბა ბამ გეორგიევსკის** აჯობა. მომენტი ჰქონდათ სტუმრებსაც, როცა **იანკუმ** მეკარესთან პირისპირ გასვლა ვერ გამოიყენა. თამაშის დასრულებამდე მოსაწყენი სანახაობა გრძელდებოდა. სიტუაციას დროდადრო „ჩელსი" ამწვავებდა. წარმოუდგენელი მომენტები ვერ გამოიყენეს ბამ და **აზარმა**.

**ჩელსი-სტიაუა 1:0**

**გოლები:** 1:0 ბა (11)

**ჩელსი (4-1-4-1):** შვარცერი - ივანოვიჩი, ტერი, ლუისი, კოული - მიკელი (74. რამირესი) - ლამპარდი, ოსკარი (67. შიურლე), აზარი, ვილიანი (80. ვილიანი) - ბა

**სტიაუა (4-1-4-1):** ტეტერუშანუ - გეორგიევსკი, შუკალა, გარდოში, ლატოვლევიჩი - პინტილი (64. ტატუ) - იანკუ, სტანჩუ (61. პრეპელიცა), კიპჩუ, პარვულესკუ - კაპეტანოსი (61. პიოვაკარი)

**გაფრთხილება:** მიკელი, ივანოვიჩი - გეორგიევსკი, ლატოვლევიჩი

**კარში დარტყმა:** 16-10 (5-5) **კუთხური:** 9-3 **თამაშგარე:** 5-1 **ჯარიმა:** 10-13 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 41 181

**შალკე-ბაზელი 2:0**

**გოლები:** 1:0 დრაქსლერი (51), 2:0 მატიპი (57)

**შალკე (4-2-3-1):** ფერმანი - უჩიდა, ჰიოვედესი (31. ჟალაი), სანტანა, კოლაშინაცი - მატიპი, ნოიშტედტერი - დრაქსლერი (65. ფუხსი), მაიერი (88. გორეტცკა), ფარფანი - კ. ბოატენგი

**ბაზელი (4-1-4-1):** ზომერი - ჩაკა, ივანოვი, შერი, ფოსერი - ფრაი - ელ ნენი (61. სიო), დიე (73. აიეტი), სალა, შტოკერი (73. ემილიო) - შტრელერი

გაფრთხილება: ჰიოვედესი, მატიპი, კოლაშინაცი - ფოსერი, ფრაი, შერი, სიო

გაძევება: - ივანოვი (32)

**კარში დარტყმა:** 22-7 (14-3) **კუთხური:** 9-1 **თამაშგარე:** 3-4 **ჯარიმა:** 17-9 **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 52 093

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 6 | 4 | 0 | 2 | 12-3 | 12 |
| 2. შალკე | 6 | 3 | 1 | 2 | 6-6 | 10 |
| 3. ბაზელი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-6 | 8 |
| 4. სტიაუა | 6 | 0 | 3 | 3 | 2-10 | 3 |

**ლევან ბიბილაშვილი**

F ჯგუფი



ანგარიში ლევანდოვსკიმ გახსნა

ამ მატჩების აღსაწერად ყველაზე უკეთ ალბათ სიტყვა „უცნაური" გამოგვადგება. განსაკუთრებით „ველოდრომზე" „მარსელსა" და „დორტმუნდს" შორის გამართულ დაპირისპირებაზე საუბრისას. დიახ, საფრანგეთში ძალიან უცნაური თამაში იყო, შეცდომით და თამაშგარედან გასული გოლებით, სიმულაციისთვის ნაჩვენები წითელი ბარათით, უამრავი გამოუყენებელი მომენტით და დრამატული ფინალით. სტუმართა რიგებში **ერიკ დურმი** ერთ-ერთი საუკეთესო იყო, სწორედ მან უპასა მშვენივრად **რობერტ ლევანდოვსკის** და პოლონელმაც ანგარიში გახსნა. მალევე, **დიმიტრი პაიეს** ჩაწოდებულს **საბერ ხელიფას** თავური მოჰყვა, ბურთი ხარიხას მოხვდა და დამატებაზე **სულეიმან დიავარამ** გაიტანა, მაგრამ ის ოფსაიდში გახლდათ, გოლი ჩაითვალა. საერთოდ, **მარიო სტრახონიამ** და მისმა ბრიგადამ მატჩი ჩააგდო. ცოტა ხანში ხორვატმა არბიტრმა სიმულაციისთვის მეორე ყვითელი უჩვენა ისედაც 2 წუთის წინ უკვე გაფრთხილებულ პაიეს, რომლის დანდობაც შეიძლებოდა. ფრანგები რთულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, მაგრამ „დორტმუნდს" რაღაც აკლდა.

მეორე ტაიმი გერმანელებმა დიდი შემართებით კი დაიწყეს, მაგრამ ისეთ მომენტებს ვერ იყენებდნენ, გეგონებოდა ძალით არ უნდოდათ გატანა. მარტო იმის ხსენება კმარა, რომ ლევანდოვსკიმ და უნიათოდ მობურთალმა **მარკო როისმა** ცარიელ კარს ააცილეს. ერთხელ ბურთი ძელსაც მოხვდა. როცა უკვე ფინიშისკენ მივდიოდით და „დორტმუნდი" ასე უცნაურად რჩებოდა ჯგუფში, **კევინ გროსკროიტცმა** ასევე უცნაურად გაიტანა - მას მინდორზე ცოტა ხნის გამოსულმა **იულიან შიბერმა** მიუგორა, გროსკროიცმა რაღაცნაირად დაარტყა, ბურთი გაუგებარი ტრაექტორიით წავიდა კარში, მაგრამ აუღებელი სულაც არ იყო, **მანდანდა** შეცდა და გროსკროიტცი გმირად აქცია. „დორტმუნდი" რომელიც 5-6 წუთის წინ საერთოდ ვერ გადიოდა, უცბად პირველ ადგილზე აღმოჩნდა. „მარსელი" კი ერთადერთი გუნდია, რომელმაც ჯგუფური ეტაპი ნულზე დაასრულა.

იქით, „სტადიო სან პაოლოზე" ტრაგედია დატრიალდა. „ნაპოლის" იმედი ბოლოს მოკვდა. „ვეზუვიანი" სამხრეთულად, დრამატულად გამოეთიშა ასპარეზობას, არადა სხვებივით 12 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ ერთი გოლი დააკლდა. არა მარტო კონკრეტულად ამ შეხვედრაში, არამედ უშუალო კონკურენტებთან რომელიმე მატჩში გატანილი ერთი გოლი... **რაფაელ ბენიტესი** რამდენიმე დანაკლისით თამაშობდა. მისმა გუნდმა გვიანღა გამოიღვიძა - **ხოსე კალეხონის** პასის მერე **გონსალო იგუაინმა** ძალიან ლამაზად გაიტანა. მერე, „მეთოფეებს" **მიკელ არტეტა** გაუძევეს, მაგრამ ნეაპოლიტანელები მეორე გოლს 93-ე წუთამდე ელოდნენ - კალეხონმა შეცვლაზე შესული **ლორენცო ინსინიეს** პასით იხეირა. თუმცა მალევე საფინალო სასტვენის ხმა გაისმა და ცრემლების ფარდაც დაეშვა.

**ნაპოლი-არსენალი 2:0**

**გოლები:** 1:0 იგუაინი (73), 2:0 კალეხონი (90+3)

**ნაპოლი (4-2-3-1):** რაფაელი - მაჯო, რაულ ალბიოლი, ფ. ფერნანდესი, არმერო - ჯემაილი, ბეჰრამი - ხოსე კალეხონი, პანდევი (57. ინსინიე), მერტენსი - იგუაინი.

**არსენალი (4-2-3-1):** შჩესნი - ჯენკინსონი, მერტეზაკერი, კოშელნი, გიბსი - არტეტა, ფლამინი - კასორლა (68. რემსი), იოზილი, როსიცკი (75. ნაჩო მონრეალი) - ჟირუ.

**გაფრთხილება:** მერტენსი, ჯემაილი, არტეტა, ჟირუ, რემსი, ფერნანდესი

**გაძევება:** არტეტა (76)

**კუთხური:** 1-0 **ჯარიმა:** 16-16 **თამაშგარე:** 5-3 **კარში დარტყმა:** 13-3 (7-2) **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 47000

**მარსელი-დორტმუნდი 1:2**

**გოლები:** 0:1 ლევანდოვსკი (4), 1:1 დიაწარა (14), 1:2 გროსკროიტცი (87)

**მარსელი (4-4-2):** მანდანდა - ფანი, ლუკაშ მენდეში (46. აბდალა), დიავარა, მენდი - ლემინა, შეირუ, პაიე, ტოვენი (79. იმბულა) - ხელიფა (55. მორელი), ჟინიაკი.

**დორტმუნდი (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - გროსკროიტცი, სარი, სოკრატისი, დურმი - კელი (78. კელი), ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი (66. ჰოფმანი), მხითარიანი, როისი (78. შიბერი) - ლევანდოვსკი.

**გაფრთხილება:** პაიე, ჟინიაკი, სარი

**გაძევება:** პაიე (34)

**კუთხური:** 0-7 **ჯარიმა:** 13-14 **თამაშგარე:** 0-5 **კარში დარტყმა:** 7-18 (4-11) **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

მაყურებელი: 36655

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დორტმუნდი | 6 | 4 | 0 | 2 | 11-6 | 12 |
| 2. არსენალი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-5 | 12 |
| 3. ნაპოლი | 6 | 4 | 0 | 2 | 10-9 | 12 |
| 4. მარსელი | 6 | 0 | 0 | 6 | 5-13 | 0 |

**გიორგი პაპაბაძე**

G ჯგუფი



დიეგო კოშტა ზეიმობს

ჩემპიონთა ლიგის კიდევ ერთი რეკორდი G ჯგუფში დამყარდა, სადაც „ზენიტმა", მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ 6 ქულა მოაგროვა, მერვედფინალში გასვლა მოახერხა. აქამდე, ასე ცოტა რაოდენობის ქულით ჯგუფური ეტაპი არავის დაუძლევია.

სანკტპეტერბურგელები მხოლოდ საკუთარ თავზე იყვნენ დამოკიდებულნი - გამარჯვების შემთხვევაში **ლუჩანო** სპალეტის კრებული მეორე ადგილს იკავებდა. პირველი ტაიმი რუსებისთვის იდეალურად მიმდინარეობდა - თავად **კერჟაკოვის** გოლის წყალობით იგებდნენ, პარალელურად კი კონკურენტი „პორტუ" აგებდა, მაგრამ ტაიმის ბოლოსწინა წუთზე **ფილიპ ჰოზინერმა** ანგარიში გაათანაბრა, მეორე ტაიმის დებიუტი კი „ზენიტისთვის" კოშმარული გამოდგა. „აუსტრიამ" პირველ 6 წუთში ორი გოლი გაიტანა და ორბურთიანი სხვაობით დაწინაურდა, შეხვედრის ბოლო წამებზე კი **რომან კინასტმა** საბოლოო შედეგი დააფიქსირა - 4:1. კიდევ უფრო უსუსური გუნდის შთაბეჭდილება დატოვა „პორტუმ", რომელმაც „ზენიტის" მორიგი საჩუქრით ვერ ისარგებლა და უმოტივაციო „ატლეტიკოსთან" 0:2 წააგო. **დიეგო სიმეონეს** შეგირდები **რაულ გარსიას** გოლით დაწინაურდნენ, მაგრამ 28-ე წუთზე პორტუგალიელებმა ანგარიშის გათანაბრების მშვენიერი შანსი მიიღეს - მათ სასარგებლოდ პენალტი დაინიშნა. 11-მეტრიანი **ჟოსუემ** შეასრულა და ვერ გაიტანა, რის გამოც მისი გუნდი ზუსტად ცხრა წუთში დაისაჯა. **დიეგო კოშტამ** 18 წლის **ოლივერ ტორესის** გადაცემით ისარგებლა და ჩემპიონთა ლიგაში თავისი მე-4 გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში „პორტუ" ბევრს კი ეცადა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა - 2:0. შედეგად, „ატლეტიკო" და „ზენიტი" მერვედფინალში გავიდნენ, „პორტუ" კი „ბენფიკას" მსგავსად, ევროპალიგაზე გადაინაცვლებს.

**აუსტრია-ზენიტი 4:1**

**გოლები:** 0:1 კერჟაკოვი (35), 1:1 ჰოზინერი (44), 2:1 იუნი (48), 3:1 ჰოზინერი (51), 4:1 კინასტი (90)

**აუსტრია (4-1-4-1):** ლინდნერი - დილავერი, როგული, ორტლეხნერი, ზუტნერი - ჰოლანდი - მურგი (60. როიერი), მ. სტანკოვიჩი (68. შიმკოვიჩი), მადერი, იუნი (83. კინასტი) - ჰოზინერი

**ზენიტი (4-2-3-1):** ლოდიგინი - ანსალდი (83. სმოლნიკოვი), ჰუბოჩანი, ლომბერტსი, კრიშიტო - ვიტსელი, ზირიანოვი (63. არშავინი) - ფაიზულინი (83. ბისტროვი), შიროკოვი, ჰალკი - კერჟაკოვი

**გაფრთხა:** ორტლეხნერი, დილავერი - ჰალკი

**კუთხური:** 2-2; **ჯარიმა:** 24-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 12-19 (10-9); **ბურთის ფლობა:** 36%-64%

**მაყურებელი:** 35 000

**ატლეტიკო-პორტუ 2:0**

**გოლები:** 1:0 რაულ გარსია (14), 2:0 დიეგო კოშტა (37)

**ატლეტიკო (4-2-3-1):** არანსუბია - მანკილიო, ალდერვეირელდი, მირანდა, ე. ინსუა - გაბი, კოკე - ოლივერ ტორესი (62. არდა თურანი), რაულ გარსია, ადრიანი (82. ლეო ბაპტიშტაო) - დიეგო კოშტა (46. ვილია)

**პორტუ (4-2-3-1):** ელტონი - დანილო, მაიკონი, მანგალა, ალექს სანდრო - ფერნანდო, დეფური (78. ე. ერერა) - ვარელა, ლუჩო გონსალესი (64. გილასი), ჟოსუე (46. ლიკა) - ჯ. მარტინესი

*გამოუყენებელი პენალტი: ჟოსუე (28. პორტუ)*

**გაფრთხილება:** არანსუბია, ალდერვეირელდი, ე. ინსუა - ჟოსუე, ლუჩო გონსალესი, დეფური, ჯ. მარტინესი, მანგალა

**კუთხური:** 4-13; **ჯარიმა:** 20-19; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 8-19 (6-7); **ბურთის ფლობა:** 37%-63%

**მაყურებელი:** 24 629

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 6 | 5 | 1 | 0 | 15-3 | 16 |
| 2. ზენიტი | 6 | 1 | 3 | 2 | 5-9 | 6 |
| 3. პორტუ | 6 | 1 | 2 | 3 | 4-7 | 5 |
| 4. აუსტრია | 6 | 1 | 2 | 3 | 5-10 | 5 |

**ტატო ბაციკაძე**

H ჯგუფი

# ნეიმარმა ბარსას მესი დაავიწყა



ნეიმარმა მესის არყოფნით ისარგებლა

ჯგუფი „ბარსამ“ იოლად მოიგო, თან „სელტიკის“ არცთუ ძველი ჯავრიც იყარა და **ნეიმარმაც** გაიბრწყინა. **მასიმო ალეგრის** გუნდმა კი „მილანისთვის“ შეუფერებლად, მაგრამ მაინც მიაღწია მიზანს...

„ბარსელონა“ მალევე დაწინაურდა, „სელტიკის“ ინგლისელმა გოლკიპერმა **ფორსტერმა ალექსის** სანჩესის დარტყმული კი მოიგერია, მაგრამ იქვე დადარაჯებულმა **ჯერარდ პიკემ** გაიტანა. „სელტიკმა“ ტაიმიც კი ვერ გაძლო - ბოლო ხუთწუთეულში ჯერ ნეიმარის პასით **პედრომ** იხეირა, შემდეგ **მონტოიას** პასით - თავად ნეიმარმა. მეორე ტაიმის დასაწყისი კიდევ უფრო ცუდს უქადდა „სელტიკს“: ნეიმარმა ერთმანეთის მიყოლებით ორი გოლი გაიტანა და „ბარსელონაში“ პირველი ჰეთთრიკი შეასრულა. სქოთების განადგურება შეცვლაზე შესულმა **კრისტიან ტელიომ** განაგრძო, თუმცა „სელტიკის“ ბერძენმა ფორვარდმა **სამარასმა** ერთი მაინც გაქვითა - 6:1.

22-ე წუთზე **რიკარდო მონტოლივომ** ენითაუწერლად იუხეშა **პოულსენის** წინააღმდეგ, რისთვისაც ის მსაჯმა გააძევა. კრისტიანმა ტაიმის ბოლომდე კი გაძლო, მაგრამ მერე მაინც შესაცვლელი გახდა. „მილანს“ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ფრეც ჰყოფნიდა და 10 კაცით კბილებით დაიცვა საგზურის მომტანი ქულა, „აიაქსი“ კი ევროპალიგით უნდა დაკმაყოფილდეს. საოცარია, მაგრამ ფაქტია - ერთადერთი იტალიური გუნდი, რომელიც ჩემპიონთა ლიგას შემორჩა, „მილანია“, რომელიც რბილად რომ ვთქვათ, არ ბრწყინავს.

**ბარსელონა-სელტიკი 6:1**

**გოლები:** 1:0 პიკე (7), 2:0 პედრო (40), 3:0 ნეიმარი (44), 4:0 ნეიმარი (48), 5:0 ნეიმარი (58), 6:0 ტელიო (72), 6:1 სამარასი (88)

**ბარსელონა (4-3-3):** პინტო - მონტოია, პიკე, მასკერანო, ადრიანო -ს. რობერტო, ბუსკეტსი (73. სონგი), ჩავი - სანჩესი (63. ტელიო), ნეიმარი (81. დონგუ), პედრო.

**სელტიკი (4-4-2):** ფორსტერი - ლუსტიგი, ვან დიიკი, ამბროუზი, მეტიუსი (82. სტოკსი) - ბრაუნი, ბიტონი (69. ქომონსი), ლედლი, ბურიგტერი - სამარასი, პუკი (46. მალგროუ).

**გაფრთხილება:** რობერტო - ბრაუნი, მეტიუსი

**კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 11-7; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 19-6 (18-5); **ბურთის ფლობა:** 69%-31%.

**მაყურებელი:** 54 342

**მილანი-აიაქსი 0:0**

**მილანი (4-3-2-1):** აბიატი - დე შილიო, საპატა, ბონერა, კონსტანტი - მონტოლივო, დე იონგი, მუნტარი - კაკა (81. მექსე), ელ შაარავი (24. პოლი) - ბალოტელი.

**აიაქსი (4-3-3):** სილესენი - ვან რინი, მოისანდერი, დენსვილი, ბლინდი - კლაასენი, პოულსენი (46. ჰოესენი), სერერო (80. ვან დერ ჰოორნი) - ფიშერი, კრკიჩი (72. სიგტორსონი), შონე.

**გაფრთხილება:** ბალოტელი, დე იონგი, დე შილიო, მუნტარი - ბლინდი

**გაძევება:** მონტოლივო (22)

**კუთხური:** 0-5; **ჯარიმა:** 16-17; **თამაშგარე:** 6-2; **კარში დარტყმა:** 3-24 (1-12); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 60 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 4 | 1 | 1 | 16-5 | 13 |
| 2. მილანი | 6 | 2 | 3 | 1 | 8-5 | 9 |
| 3. აიაქსი | 6 | 2 | 2 | 2 | 5-8 | 8 |
| 4. სელტიკი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-14 | 3 |

ნიკოლოზ ნეფარიძე

B ჯგუფი. VI ტურის გადადებული მატჩი

# ISTAN-COOL: იუვე თოვლ-ჭყაპში დაიხრჩო

## დროგბამ და სნეიდერმა გალათასარაი ჯგუფიდან გაიყვანეს

სამშაბათს შეწყვეტილი და გადადებული მატჩი გუშინ ნაშუადღევს, ზუსტად 32-ე წუთიდან გაგრძელდა და მართალია, ამინდი არ გაუმჯობესებულა, მაგრამ მოედანი უკვე ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ თამაში შეიძლებოდა, თუმცა მერე, მალევე ისე ატალახდა, რომ ზუსტი პასების კეთება ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. საქმეს დიდხანს უჩანდა ისეთი პირი, რომ „იუვენტუსი“ სასურველ 0:0-ს დააფიქსირებდა, მაგრამ 85-ე წუთზე „გალას“ ვარსკვლავებმა **დიდიე დროგბამ** და **ვესლი სნეიდერმა** მარტივი, მაგრამ გენიალური კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ჰოლანდიელმა გოლით დააგვირგვინა და „იუვენტუსი“ ჯგუფში ჩატოვა.

ბურთს ოდნავ უფრო მეტად „იუვენტუსი“ აკონტროლებდა, თურქები კი გრძელი და, ცხადია, მაღალი პასებით ცდილობდნენ „იუვეს“ დაცვაში ხვრელების პოვნას, მაგრამ ვერ პოულობდნენ. კომბინაციების გათამაშებაზე ოცნებაც ზედმეტი იყო.

გოლამდე, პირველი და ფაქტობრივად ერთადერთი რეალური მომენტი დიდიე დროგბას ჰქონდა, რომელიც საერთოდ მთელი მატჩის განმავლობაში საუკეთესო იყო, მაგრამ მისი დარტყმა შესანიშნავი სეივით **ჯიჯი ბუფონმა** „გამოაძრო“. სხვა მხრივ, იმას, რაც გუშინ ამ შეხვედრაში ხდებოდა, ფეხბურთი ნაკლებად ეთქმის. ბრძოლა კი ნამდვილად იყო - ბრძოლა ტალახში.

84-ე წუთისთვის ეჭვი თითქმის არავის ეპარებოდა იმაში, რომ „იუვენტუსი“ თამაშს საფინალო სასტვენამდე უმტკივნეულოდ მიიყვანდა, მაგრამ სწორედ ამ დროს გამოიღო შედეგი „გალას“ მაღალი ბურთების სტრატეგიამ - დროგბამ თავით გადაუგდო ბურთი სნეიდერს, რომელმაც საჯარიმოში შეიწია და ბუფონის კარის შორეული კუთხე დალაშქრა. გახარებული ჰოლანდიელი დროგბამ და კომპანიამ ზეიმისას კინალამ აუტის ხაზის მიღმა დაგროვილ თოვლში დამარხეს.

„იუვენტუსს“ ხუთი და დამატებითი სამი წუთი ჰქონდა, კონტემ მოედანზე **კვალიარელა** და **ჯოვინკო** გამოიყვანა, მაგრამ ტურინელებმა საგოლე მომენტიც კი ვერ შექმნეს. პირიქით, „გალას“ ორი კარგი კონტრშეტევის შანსი მიეცა. ასე დაემშვიდობა „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგას და ევროპალიგაზე გადაინაცვლებს. სხვათა შორის, ევროპალიგის ფინალი სწორედ ტურინშია...



გუშინ სტამბოლში მოედანი მოლიპული არა, მაგრამ უკვე ატალახებული იყო

**რობერტო მანჩინი** (გალათასარაი): *„ეს გამარჯვება აბსოლუტურად დამსახურებულია. მიმაჩნია, რომ მერვედფინალისკენ პირველი სერიოზული ნაბიჯი ტურინში მიღწეული ფრით გადავდგით. ტურინში რომ წაგვეგო, არა მგონია, ჯგუფიდან გასვლის შანსი ბოლო ტურამდე შეგრჩენოდა.“*

**ანტონიო კონტე** (იუვენტუსი): *„ბევრ რამეს ვნანობ, გული განსაკუთრებით იმის გამო მწყდება, რომ, წესით, ჯგუფიდან გასვლა გაცილებით ადრე უნდა გაგვენაღდებინა და საქმე აქამდე არ უნდა მიგვეყვანა. ცხოვრება ჩვენთავითონ გავირთულეთ, როცა ჯერ კოპენჰაგენში ვერ მოვიგეთ, მერე კი „გალათასარაის“ ტურინიდან ქულა გამოვატანეთ. ასეთ ამინდში და ასეთ მოედანზე ფეხბურთის თამაში არ შეიძლება, მაგრამ ამინდს ნურაფერს დავაბრალებთ. თოვლში, სეტყვასა და ტალახში ფეხბურთის თამაშს არც „გალათასარაის“ ფეხბურთელები არიან მიჩვეული.“*

**გალათასარაი-იუვენტუსი 1:0**

**გოლი:** 1:0 სნეიდერი (85)

**გალათასარაი (3-4-1-2):** მუსლერა - შეჯუ, სემი კაია, გიოქჰან ზანი - ებუე (81. უმუთ ბულუთი), ფელიპე მელო, სელჩუკ ინანი, რიერა - სნეიდერი (92. გიულსელამი) - ბ. ილმაზი, დროგბა.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბარძალი, ბონუჩი (90. ჯოვინკო), კიელინი - ლიხტშტაინერი, ვიდალი, პოგბა, მარკიზიო (87. კვალიარელა), ასამოა - ლორენტე, ტევესი.

**გაფრთხილება:** სნეიდერი, უმუთ ბულუთი, მუსლერა - მარკიზიო, ტევესი

**კუთხური:** 5-5; **ჯარიმა:** 16-18; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 13(2)-11(3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 37 375

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 6 | 5 | 1 | 0 | 20-5 | 16 |
| 2. გალათასარაი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-14 | 7 |
| 3. იუვენტუსი | 6 | 1 | 3 | 2 | 9-9 | 6 |
| 4. კოპენჰაგენი | 6 | 1 | 1 | 5 | 4-13 | 4 |

გოტფრიდ ლენცი






ჭადრაკი

# გრან პრი ხოტენაშვილმა და ფიერმა მოიგეს

შვიდი შესაძლებლიდან ექვსი ქულა – ასეთი შედეგით დაასრულა თბილისის ჭადრაკის სასახლეში ასპარეზობა **ბელა ხოტენაშვილმა.** რაპიდში მოჭადრაკე ქალთა საქართველოს გრან პრის გათამაშების მეოთხე ეტაპის მეშვიდე ტურში მან შავი ფიგურებით **ნინო ბაციაშვილი** დაამარცხა და სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ასევე, წარმატებით ითამაშეს **ლელა ჯავახიშვილმა, მერი არაბიძემ** და **სოფიო გვეტაძემ,** რომლებმაც, შესაბამისად, **ნინო ხომერიკს, დალი ნანეიშვილსა** და **ნინო მაისურაძეს** სძლიეს და 5-5 ქულას მოუყარეს თავი. უკეთესი კოეფიციენტის გათვალისწინებით მათ მეორე-მეოთხე ადგილები ასე გაინაწილეს: ჯავახიშვილმა, გვეტაძემ და არაბიძემ.

საგულისხმოა, რომ ბელა ხოტენაშვილისთვის წლევანდელი სეზონი წარმატებული გამოდგა. ფიდეს გრან პრის დებიუტანტმა პირველ რაუნდში, რომელსაც შვეიცარიამ უმასპინძლა, ყველას აჯობა და 160 ქულა დაიმსახურა. ამ წარმატების შემდეგ ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მყოფმა საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოავლინა დილიჟანში (სომხეთი), სამაგიეროდ, ტაშკენტში მეორე იყო. ბელას კიდევ ერთ ეტაპზე მოუწევს ძალების გამოცდა. ეს შეჯიბრება თბილისში გაიმართება და გამარჯვების შემთხვევაში არ არის გამორიცხული, ქართველმა დიდოსტატმა მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინისთვის იბრძოლოს.

ამას წინათ ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე ბელა ხოტენაშვილი, ნაკრების სტრატეგიიდან გამომდინარე, მეოთხე დაფაზე თამაშობდა - მეორე ადგილი დაიკავა და ლამაზი პარტიისთვის სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ **ნონა გაფრინდაშვილის, მაია ჩიბურდანიძის, ნანა იოსელიანისა** და **ნანა ძაგნიძის** შემდეგ საქართველოში მეხუთე მოჭადრაკე ქალია, რომელსაც ვაჟებში საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა.

ბელა ხოტენაშვილის უახლოესი გეგმაა, 2014 წლის იანვარში ჰიბრალტარის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზოს, 17 თებერვალს კი საქართველოს ქალთა 71-ე ეროვნულ ჩემპიონატში ჩაებმება.

რაც შეეხება თბილისის ჭადრაკის სასახლეში რაპიდში გრან პრის მე-4 ეტაპზე მოასპარეზე ვაჟებს, მე-8 ტურში ორგანიზატორებსა და მოასპარეზეებს სიურპრიზი შესთავაზა **ვარლამ ვეფხვიშვილმა** - ვეტერანმა მოჭადრაკემ შავებით **ზურაბ ჯავახაძე** დაამარცხა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა ბოლო ტურში ბრაზილიელ დიდოსტატ **ალექსანდრ ფიერს** სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია და წააგო. ამ გამარჯვებით ფიერმა 7,5 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. 7-7 ქულით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს ზურაბ ჯავახაძემ და **ლუკა პაიჭაძემ,** 6,5 ქულით მეოთხე იყო **კონსტანტინე შანავა,** ხოლო ვეფხვიაშვილი 6 ქულით მეხუთე ადგილზე გავიდა.

**ვაჟა დანელია**


ბელა ხოტენაშვილი


ალექსანდრ ფიერი

მშვილდოსნობა. აზერბაიჯანის ტურნირი

# აჭარელთა წარმატება ბაქოში

3-8 ოქტომბერს ქართველმა მშვილდოსნებმა წარმატებით იასპარეზეს ბაქოში გამართულ „პრეზიდენტის თასზე". ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო - მასპინძელთა გარდა, მონაწილეობდნენ ირანის, რუსეთისა და თურქეთის გუნდები, რომლებსაც საქართველოდან აჭარისა და ქუთაისის ნაკრებები დაემატნენ. განსაკუთრებით აჭარამ იყოჩაღა, რომელმაც მოიგოს ყველა დისციპლინა - ქალებიც, ვაჟებიც, პირადიც, გუნდურიც და შერეული წყვილებიც.

ქალთა შორის ჩვენები უპირობო ფავორიტები იყვნენ და საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ მოწინავე ადგილებსაც ისინი ინაწილებდნენ - **იულია ლობჟანიძე** 579 ქულით პირველი იყო, **ხათუნა ნარიმანიძე** 568-ით – მეორე. მათ პლეი ოფშიც იყოჩაღეს, ყველა მეტოქე ჩამოიცილეს და ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც ლობჟანიძემ იმარჯვა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის თასსაც დაეუფლა. მესამეზე რუსი **კირა ანდრეევა** გავიდა.

ვაჟებში აჭარას ქალებივით სოლიდური გუნდი არ ჰყავდა, თუმცა ოქრო მაინც დაინარჩუნეს - ჩემპიონი ხელვაჩაურელი **მამუკა შუშაძე** გახდა. ის შესარჩევში 562 ქულით მესამე იყო, მაგრამ პლეი ოფში კარგად იბძოლა, ფინალშიც გავიდა, იქ კი შესარჩევის მომგებ (568 ქულა) თურქ **ტუნჩ კუჩუკაილარის** დააყრევინა ფარ-ხმალი. ბრინჯაო მასპინძელმა **ზაურ გახრამანოვმა** მოიპოვა.

ქალთა შორის გუნდურში გამარჯვება აჭარლებს დარჩათ, სადაც მთლიანად ხელვაჩაურელები - ლობჟანიძე, ნარიმანიძე და **ანა დუმბაძე** გამოდიოდნენ. ფინალში მათ რუსებს სძლიეს. ხელვაჩაურელები შეადგენდნენ ნაკრების უმეტესობას ვაჟებშიც - შუშაძე და ახლახან საქართველოს ზამთრის თასის მფლობელი **გიორგი შაინიძე,** რომლებსაც ბათუმელი **არჩილ ფარსენაძეც** დაემატა. ფერადი არც ამ ტრიომ დაუთმო ვინმეს, ფინალში კი ბაქოს ნაკრებს აჯობეს. მესამეზე ირანის გუნდი გავიდა.

შერეულ წყვილებში ლობჟანიძისა და ფარსენაძის დუეტმა გაიმარჯვა, მომდევნო საპრიზო ადგილებზე კი ბაქოელები გავიდნენ.

**ირაკლი თავაძე**


იულია ლობჟანიძე


ხათუნა ნარიმანიძე

კალათბურთის ფედერაცია.

# არჩევნე გათადელვა

## მიხეილ გაბრიჩიძე 29 ხმით ფედერაციის პრეზიდენტია


მარცხნიდან: მამუკა ხაბარელი, ირაკლი დოლაბერიძე, ბესიკ ლიპარტელიანი, მიხეილ გაბრიჩიძე და გიორგი ქართველიშვილი

11 დეკემბრის მოლოდინში დროის ისარი იმდენად ნელა მოძრაობდა, თითქოს ელემენტი ჰქონოდა გამოსაცვლელი. არადა, სწორედ 11-ში უნდა გაგვეგო, ჩატარდებოდა თუ არა კალათბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნები და თუ ჩატარდებოდა, ვინ გაიმარჯვებდა.

საარჩევნო ყრილობა გახსნილი არ იყო, რომ დაკვირვებულ თვალს იოლად შეეძლო მოვლენების წინასწარმეტყველება:


მიხეილ ახვლედიანი

პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი **მიხეილ ახვლედიანი,** რომელიც დიდი ხანია აპელირებს, რომ არჩევნები არადემოკრატიული წესდებით იმართება, დელეგატთა შორის დაჯდა. დანარჩენმა სამმა კანდიდატმა ერთმანეთის გვერდით, სპეციალურად მათთვის გამოყოფილი ადგილი დაიკავა. გამგეობის წევრთა მაგიდასთან ყველაზე ახლოს **მიხეილ გაბრიჩიძე** იყო, შემდეგ **კახა შენგელია** და **ვლადიმერ ბოისა.**

მოკლედ, ჟურნალისტებმა საუბრისას ისეთი რამ ვივარაუდეთ, ყრილობის შემდეგ ერთმანეთს ვულიმოდით - ხომ ვამბობდით, ასე მოხდებაო. მოკლედ, ვიწინასწარმეტყველეთ, რომ რადგან მიხეილ ახვლედიანი სხვა კანდიდატებს გამოეყო, არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდა. მიხეილ გაბრიჩიძე ერთადერთი პრეტენდენტი იყო, რომელმაც წინასწარ თავისი პროგრამის პრეზენტაცია მოაწყო და ყრილობაზე სპეციალურად დაბეჭდილი ბუკლეტითაც წარდგა. ყველაზე კარგად მომზადებული სწორედ მიხეილ გაბრიჩიძე იყო და ის გახდებოდა პრეზიდენტი... კახა შენგელია და ვლადიმერ ბოისა კი გვერდში ამოუდგებოდნენ.

### დარჩა სამი

ასეც მოხდა, თუმცა იყო ეპიზოდები, როცა სიტუაცია მეტად დაიძაბა. მიხეილ ახვლედიანმა სხდომის თავმჯდომარეს **გიორგი ქართველიშვილს** განცხადებისთვის სიტყვის უფლება სთხოვა, ცოტა დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიიღო და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ფიბა-დან გამოგზავნილი წერილის შინაარსი. მასში ნახსენები იყო 10 აგვისტოს გამართული ყრილობა, რომელსაც არჩატარებულად თვლის კალათბურთის ფედერაციის ან უკვე ყოფილი ხელმძღვანელობა, ხოლო ლეგიტიმურად - 18 დელეგატი და „კალათბურთელთა კავშირი".

მიხეილ ახვლედიანმა აღნიშნა, რომ ფიბა ამ წერილით 10 აგვისტოს ყრილობას აღიარებს და დასძინა - მინდა გაცნობოთ, რომ ყრილობა რეესტრში უკვე ოფიციალურადაა დარეგისტრირებულიო. განაგრძო:

*- ფიბა-ც და საქართველოს სპორტის სამინისტროც ახსენებს კალათბურთის ეროვნულ ფედერაციას, რომ წესდება მოსაწესრიგებელია, მაგრამ ეს არ არის ფედერაცია, უფრო კლუბია, რომელიც ყურს არავის უგდებს და როგორც სურს კანონმდებლობას ისე ირგებს. ამიტომ, ამ კარნავალში მონაწილეობას არ ვაპირებ და ვაგრძელებ კანონიერ ბრძოლას სამართლისთვის.*

მიხეილ ახვლედიანმა დელეგატებს მოუწოდა, არ მიეღოთ ყრილობაში მონაწილეობა. მისი თხოვნა ხუთმა დელეგატმა გაითვალისწინა და დარბაზიდან გასულ ახვლედიანს გაჰყვნენ: „სკ ოლიმპის", „სკ ქუთაისის", „სკ სოხუმის", „სკ არმიასა" და ქუთაისის სპორტსკოლის მიერ მოვლინებული დელეგატები.

### ჯერ წესდება ხომ არ გაგვესწორებინა?

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **მერაბ რატიშვილმა** საზოგადოებას გააცნო ფედერაციის მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგები და ციფრობრივად ჩამოთვალა რა თანხა რაზე დაიხარჯა. დაგვპირდნენ, რომ ეს რიცხვები ფედერაციის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდება და დაწვრილებით მოგვიანებით შეგვიძლია შევჩერდეთ.

ყრილობაზე დარჩნენ, თუმცა არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ თბილისის „დინამოს" დელეგატ **გვანცა ომიაძეს** და „თბილისის კალათბურთის ფედერაციის" პრეზიდენტ **ვახტანგ ნაცვლიშვილს,** რომელმაც აღნიშნა:

*- ყველა ვთანხმდებით, რომ წესდება გასასწორებელია. უკეთესი ხომ არ იქნება, საარჩევნო ყრილობა გადავდოთ, ჯერ წესდება გავასწოროთ და შემდეგ ჩავატაროთ არჩევნები, რომ ყველა კანდიდატი თანაბარ პირობებში იყოს და დელეგატობა ყველას ფიბა-ს მკაფიო მოთხოვნების გათვალისწინებით მიენიჭოს?!*

„დინამოს" წარმომადგენელმა ერთადერთმა ქალბატონმა დელეგატმა გვანცა ომიაძემ თემა განაგრძო:

*- რატომ ვაძლევთ ახალ პრეზიდენტსაც წესდების სათავისოდ მორგების საშუალებას. უმჯობესია, ჯერ გასწორდეს და შემდეგ ავირჩიოთ...*

ამ წინადადებას გამგეობის წევრები არ დათანხმდნენ, თუმცა პრეზიდენტის არჩევის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო წინადადება, რომლის თანახმად ექვს თვეში უნდა შესწორდეს არსებული წესდება და ფიბა-სა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები ბოლომდე იქნეს გათვალისწინებული.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საპრეზიდენტო არჩევნები

### დარჩა ერთი

დადგა კანდიდატების მოსმენის დროც. ვლადიმერ ბოისამ აღნიშნა, რომ არაერთხელ შეხვდა მიხეილ გაბრიჩიძეს, ბოლომდე არა, თუმცა დიდწილად იზიარებს მის ხედვას კალათბურთის განვითარების საქმეში და კანდიდატურა მის სასარგებლოდ მოხსნა. ბოისას შეუერთდა კახა შენგელიაც და დასძინა: ამ მოქმედებით ჩანს, რომ ფედერაციის პრეზიდენტობა ჩემთვის თვითმიზანი არ იყოო.

ასე და ამგვარად, დარჩა ერთი კანდიდატი, მიხეილ გაბრიჩიძე, რომლისთვისაც პრეზიდენტობის მილოცვა კენჭისყრის დაწყებამდე შეიძლებოდა. ვახტანგ ნაცვლიშვილმა წინა წლების არჩევნებთან პარალელი გაავლო - სამწუხაროა, რომ ამჯერადაც ერთი კანდიდატიაო...

მიხეილ გაბრიჩიძემ მადლობა გადაუხადა ბესიკ ლიპარტელიანს გაწეული სამუშაოსთვის:

*- მან ფედერაცია 2001 წელს ჩაიბარა და სანაკრებო წარმატების შემდეგ დღეს შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კალათბურთის ბუმია. ბევრ ბავშვს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის ამ სახეობაში, რასაც კალათბურთის ფედერაციამაც უნდა შეაგებოს ძალისხმევა. ვეცდები, ქართული კალათბურთი ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში ახალ სიმაღლემდე ავიყვანო. რაც შეეხება ჩემს მეგობარ მიხეილ ახვლედიანს, მას 2-3 დღეში აუცილებლად შევხვდები...*

არის მატჩები, როცა მეოთხე პერიოდი ფორმალურ სახეს იღებს, ასევე ფორმალური იყო კენჭისყრის პროცედურა: 40 დელეგატიდან 32-მა მიიღო მონაწილეობა, ერთმა ხმა მიხეილ ახვლედიანს მისცა, 29-მ მიხეილ გაბრიჩიძეს. 2 ბიულეტინი კი ხმის მიცემის პროცედურების დარღვევის გამო ბათილად ჩაითვალა.

ყრილობის დელეგატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ახალი პრეზიდენტის მიერ წარდგენილ გამგეობის წევრებს შემდეგი შემადგენლობით: **ნოდარ ქორქია, ვალერი ლომაძე, გივი ბიჭიაშვილი, კახა შენგელია, ვლადიმერ ბოისა, გიორგი ქართველიშვილი, თემურ დათიკაშვილი, გია სანაძე** და **მიხეილ გაბრიჩიძე.**

ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ფედერაციის გენერალურ მდივნად გიორგი ქართველიშვილი დაასახელა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტების შესახებ ინფორმაციის მოწოდებას უახლოეს დღეებში დაგვპირდა.

### „ნამატჩევს"

**ირაკლი დოლაბერიძე** (სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი):

*- ეს დღე ჩემთვის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ტარდებოდეს არჩევნები. ვიღაცა გულნატკენი იქნება, ვიღაცა უსამართლოდ ჩათვლის, მაგრამ რაც მთავარია, არ ვხვდებით უწინდებურად პრეზიდენტის წინასწარ დანიშვნის ფაქტს. ადრე სპორტის სამინისტროსა და ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები სტუმრის სტატუსით კი არ იყვნენ წარმოდგენილნი, არამედ არჩევნებში მონაწილეობდნენ. ახლა ასე არ არის. პატივს ვცემ იმ არჩევნს, რომელსაც საზოგადოება ამ ყრილობაზე აფიქსირებს. ასე რომ, კანონმდებლობით დარეგისტრირებულ ფედერაციაში გადაწყვეტილებებს იღებთ თქვენ, საკალათბურთო სამყარო და არა სპორტის სამინისტრო, ან ოლიმპიური კომიტეტი. არც ერთ კანდიდატს არ ვემხრობი, თუმცა ძალიან მომეწონა ვლადიმერ ბოისას გუშინდელი განცხადება. მან თქვა: მოვიგებ თუ წავაგებ, ქართული კალათბურთის ოჯახში ვიქნები და რითაც შემეძლება დავეხმარებიო.*

**მამუკა ხაბარელი** (ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი):

*- დასაფასებელია, რომ ყრილობაზე თითოეული ადამიანი ქართული კალათბურთის სამყაროს წარმომადგენელია. მიუხედავად იმისა, რომ შეგვეძლო ვყოფილიყავით ყრილობის დელეგატები (რასაც საქართველოს კანონმდებლობა არ კრძალავს), ჩვენ აქ სტუმრის სტატუსით ვიმყოფებით.*

**გივი ბიჭიაშვილი** (კალათბურთის ფედერაციის გამგეობის წევრი):

*- ახალი პრეზიდენტი გვყავს და შესაბამისად, ბევრი რამ შეიცვლება. ვფიქრობ, საქართველოში არჩევნები ასე დემოკრატიულად არასდროს ჩატარებულა. ბუნებრივია, ყველას თავისი სიმპათიები აქვს. გაბრიჩიძე განათლებული ადამიანია და ვფიქრობ, წარმატებას მიაღწევს.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*


მიხეილ გაბრიჩიძე


ვლადიმერ ბოისა


გვანცა ომიაძე და ვახტანგ ნაცვლიშვილი



კალათბურთი. ქართველები NBA-ში



# წყვილად, ოღონდ ქენტად

NBA-ში მოასპარეზე ქართველთა გუნდებმა, „მილუოკიმ" და „ბრუკლინმა" წყვილად გაიმარჯვეს. პირველმა „ჩიკაგოს" 78:74 სძლია, ხოლო მეორემ - „ბოსტონს" 104:96.

ორი ქართველიდან გუშინ ერთმა ითამაშა. მილუოკელთა შემადგენლობაში ვერ ვიხილეთ **ზაზა ფაჩულია,** რომელიც ფეხის ტრავმას მკურნალობს. „ბრუკლინის" გამარჯვებაში მოკრძალებული წვლილი **თორნიკე შენგელიამაც** შეიტანა. მან 34 წამში ბურთი ერთხელ მოხსნა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

კალათბურთი. ქართველი ამერიკაში

# სანაძის მერვე გამარჯვება



კოლეჯების ლიგაში რიგით მე-11 მატჩი ჩაატარა **დუდა სანაძის** „სან დიეგომ" და მერვე მოგება გაიფორმა. ამჯერად მან „პასიფიკას" უმასპინძლა და საფინალო ანგარიშში სოლიდური სხვაობა დააფიქსირა - 84:47.

დუდა სანაძემ 18 წუთი ითამაშა, 7 ქულა, 3 მოხსნა და 1 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. 2 ქულით სნაიპერი მისი თანაგუნდელი **დენის კრამერი** გახდა.

სანდიეგოელები მომდევნო თამაშს 15 დეკემბერს გამართავენ, „სანტა ბარბარას" მიიღებენ.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყვიის სროლა. ნაკრები



ნინო სალუქვაძე



ლევან ქადაგიძე

# სალუქვაძემ სეზონი დაიწყო

ევროპის სამგზის, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** უკვე შეუდგა ახალი სეზონისთვის მზადებას – ის და **ლევან ქადაგიძე** ამ დღეებში იტალიაში, ქალაქ პიზაში გაემგზავრნენ შეკრებაზე, სადაც იარაღის მწარმოებელმა ფირმა „პარდინიმ" მიიწვია. წლეულს ჩვენები ამ ფირმის სპორტულ პისტოლეტს იყენებენ და ეს სეზონი როგორც ახალ იარაღთან, ასევე ახალ წესებთან ადაპტაციისა იყო.

ჩვენები შეკრებაზეც ამ ფირმამ მიიწვია და ეს ვარჯიში ძირითადად ტექნიკური დეტალების მოგვარებას მოემსახურება, უპირველესად კი იარაღის მორგებას. ამასთან დაკავშირებით იტალიაში გამგზავრებამდე სალუქვაძეს გავესაუბრეთ, რომელმაც შემდეგი გვითხრა:

- მე და ქადაგიძე იტალიაში მივდივართ შეკრებაზე, ქალაქ პიზაში, სადაც „პარდინის" ფაბრიკაში უსასყიდლოდ, ყველანაირად მეხმარებიან და ხელს მიწყობენ. მათ თავის ხარჯით მიგვიწვიეს ორი სპორტსმენი, ჩვენ მხოლოდ ბილეთის ფულს ვიხდით. იქაური ხელოსანი სერბმა მსოფლიოს ჩემპიონმა ზორანა არუნოვიჩმა და სხვებმაც მირჩიეს. ამ იარაღის სახელურს სხვანაირი დახრა აქვს, სხვა კუნთი მუშაობს, რაც ტკივილს იწვევს. ამას მიჩვევა უნდა, არუნოვიჩმა კი მითხრა, იმ ხელოსანმა ისე გამიკეთა, არანაირ პრობლემას არ მიქმნისო.

სალუქვაძე სპორტულში აქამდე გერმანული იარაღით ისროდა და თითქოს უკმაყოფილოც არ იყო, მაგრამ მისი შეცვლა მაინც გადაწყვიტა. *„ძველ გერმანულ იარაღს არ ვემდუროდი, მაგრამ ძალიან მალე უცვდება სასხლეტი. ამას ყველა საყვედურობს - ეტყობა, მეტალი არაა სათანადო ხარისხის. მე კი მიცვლიდნენ და რაკი ხშირად მიწევდა წასვლა, ეს არ იყო ჩემთვის პრობლემა, მაგრამ იარაღს მორგება, დარეგულირება უნდა და მუდამ გაწამაწიაში ვიყავი, რადგან ხელოსანი არ გვყავს"* – ამბობს ის.

რაც შეეხება პნევმატურ პისტოლეტს, იქ შედარებით სტაბილური მდგომარეობაა, თუმცა განახლება მასაც სჭირდება. *„პნევმატურში ისევ ძველი ავსტრიულით ვისვრი, კმაყოფილი ვარ. გაისად მასაც უნდა გამოვუცვალო ბალონები, რადგან 10-წლიანი საგარანტიო ვადა გასდის. ფირმა კი გამომიცვლის, ეს არ მექნება პრობლემად, მაგრამ მერე იმასაც უნდა სიჩქარის დარეგულირება და სხვა ტექნიკური ნიუანსები"* - ესეც ოლიმპიური ჩემპიონის სიტყვებია.

მომავალი სეზონი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება სალუქვაძის და ზოგადად, მსროლელებისთვის, რადგან ტარდება მსოფლიოს ჩემპიონატი და დაიწყება რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის ლიცენზიების გაცემა. მსოფლიოს პირველობას 6-20 სექტემბერს ესპანური გრანადა უმასპინძლებს. მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება იმის გათვალისწინებით, რომ ტყვიის სროლაში ის ოლიმპიადასავით ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება.

**ირაკლი თავაძე**

სამბო

# აშოტ მარქარიანის 2 ათასი დოლარი იმერლიშვილს



ბექა იმერლიშვილი

რუსეთში, კრასნოდარის მხარის ქალაქ არმავირში ჩატარდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, რუსეთის სპორტის დამსახურებული ოსტატის, **აშოტ მარქარიანის** პრიზზე მეათე საერთაშორისო ტურნირი სამბოში.

10 წელიწადია ამ ტურნირს თავად ბიზნესმენი და სპორტსმენი აშოტ მარქარიანი აფინანსებს.

საიუბილეო ტურნირზე ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ქართველმა სამბისტებმა: **ზვიად ოდოშაშვილმა** (62 კგ), **კახა მამულაშვილმა** (74 კგ) და **პაატა ღვინიაშვილმა** (90 კგ).

ყველაზე დიდ წარმატებას კი ნორიოელმა სამბისტმა **ბექა იმერლიშვილმა** (68 კგ) მიაღწია, რომელიც 2010 წლის შემდეგ მეორედ გახდა არმავირის ტურნირის გამარჯვებული. სულ ჩვენებს 3 ოქრო აქვთ მოპოვებული ამ 10 წელიწადში. აქედან 2 ოქრო ბექა იმერლიშვილის ანგარიშზეა. ერთი კი შარშან მოიპოვა წლევანდელმა მსოფლიოს ჩემპიონმა **ლევან ნახუცრიშვილმა** (68 კგ).

იმერლიშვილმა არმავირში ფულადი პრემია 2000 დოლარი დაიმსახურა.

**გაბრიელ ბარჯაძე**

ავტორის ფოტო

სამთო თხილამურები



ჯაბა გელაშვილი

# კვარცხლბეკზე ჯაბა და იასონი

ევროპაში კარგა ხანია, დაიწყო სათხილამურო სეზონი. სპორტსმენები გამალებით ემზადებიან 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის. სტარტს სტარტი ენაცვლება და მოთხილამურეებიც რეიტინგს იუმჯობესებენ. პლანეტის უძლიერეს ათლეტებს შორის არიან ქართველებიც. დეკემბერში საქართველოს სათხილამურო ნაკრების წევრებმა - **იასონ აბრამაშვილმა** და **ჯაბა გელაშვილმა** იყოჩაღეს.

ზამთრის ოლიმპიადის ლიცენზიატმა იასონ აბრამაშვილმა საფრანგეთის კურორტ ისოლაში იასპარეზა საერთაშორისო ფედერაციის (fis-ის) ეგიდით გამართულ შეჯიბრებაში - ქართველმა სპორტსმენმა სლალომში მე-3 ადგილი დაიკავა, რითაც მსოფლიო რეიტინგი გაიმყარა. პირველ და მეორე ადგილებზე ფრანგი მოთხილამურეები - ანტონი ობერტი და რობინ ბუფეტი გავიდნენ.

ჯაბა გელაშვილმაც fis-ის ეგიდით ჩატარებულ სლალომებში მიიღო მონაწილეობა, ოღონდ ახალგაზრდებში. მასპინძელი იყო იტალიური კურორტი პასო მონტე კროჩე. ქართველი მოთხილამურე ორჯერვე მეორე ადგილებზე გავიდა. პირველი დაშვებისას ბულგარელმა ჯორჯ ნუშევმა გაიმარჯვა, მეორე სლალომი კი შვეიცარელმა ლუკა ლუვაშმა მოიგო. ჯაბა გელაშვილი ოლიმპიადის ლიცენზიის მოსაპოვებლად იბრძვის, დრო 20 იანვრამდე აქვს.

ევროპულ ტურნირებში საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრებმა - **შოთა ნათაძემ** და **სოსო ჯაფარიძემაც** მოსინჯეს ძალები და მსოფლიო რეიტინგი გაიუმჯობესეს.

**ვაჟა დანელია**

ხელბურთი

# პეგასი ისევ დაწინაურდა

დასასრულს უახლოვდება 1998-1999 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის პირველი ეტაპი. თბილისის ლიგაში, რომელშიც ექვსი გუნდი იბრძვის მომდევნო ეტაპზე გასასვლელად და დედაქალაქის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად, გუშინ მეორე წრის მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. კვლავ წარმატებით ითამაშეს ლიდერებმა: „ქარიშხალამ" „მამულს" 32:24 აჯობა, ხოლო „პეგასმა" ქარელს 32:10 სძლია, მესამე ადგილისთვის მებრძოლმა „იმედმა" „შევარდენი" დაჯაბნა - 30:17. მართალია, ორი გუნდი თანაბარი ქულებით მეწინავეობს, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით (+104) გათამაშების ცხრილის პირველ საფეხურზეა „პეგასი", მეორე ადგილი „ქარიშხალას" (+91) უკავია. არადა, ეს მაჩვენებელი, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს, თუ ბოლო ტურში ლიდერთა მატჩი, პირველი წრის დარად, ფრედ დასრულდება. მესამე ადგილისთვის „მამული" და „იმედი" იბრძვიან. „მამული" 4 ქულით წინ კი არის, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მესამე პრიზიორის ვინაობაც ბოლო დღეს ამ გუნდების ურთიერთშეხვედრაში გაირკვეს. პირველი წრის მატჩი „მამულმა" 22:20 მოიგო.

შეგახსენებთ, რომ 2014 წელს მეორე ეტაპზე საუკეთესო ექვსეულში მასახვედრად იბრძოლებენ: თელავი, გორი, ყვარელი, ფოთი, სამტრედია, ზუგდიდი, „ქარიშხალა", „პეგასი", „მამული" და პირველი ეტაპის ერთი საუკეთესო მეოთხეადგილოსანი.

სასპორტო კომპლექს „არენაში" დღეს და ხვალ ბოლო ორი ტურის ორთაბრძოლები გაიმართება:

**12 დეკემბერი, არენა.** ქარიშხალა - შევარდენი, მამული - პეგასი, ქარელი - იმედი.

**13 დეკემბერი, არენა.** შევარდენი - ქარელი, მამული - იმედი, პეგასი - ქარიშხალა.

**ვაჟა დანელია**



ჩოგბურთი

# წყვილად იგებენ



ოქსანა კალაშნიკოვა

თბილისელი ჩოგბურთელი **ოქსანა კალაშნიკოვა** განაგრძობს წარმატებით ასპარეზობას ინდური ნავი მუმბაის საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი). ერთეულთა თანრიგის სტარტზე ქსენია პალკინას (ყირგიზეთი) ძლევის შემდეგ გუშინ მე-8 ნომრად განთესილმა ჩვენებურმა მასპინძელი ბოსალე დაამარცხა - 6:2, 6:3 და მეოთხედფინალში ყაზახ კამილა კერიმბაევას დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა იტალიელი ბარბიერი ჩამოიშორა გზიდან -6:2, 6:1.

წყვილებში კალაშნიკოვა, როგორც გაუწყეთ, ლატვიელ დიანა მარცინკევიცასთან არის შეამხანაგებული. გუშინ მეოთხედფინალში ისინი კამონავან ბუაიამისა და პინქტარნ პლიპუჩის (ორივე-ტაილანდი) დუეტს შეხვდნენ. პირველი სეტი ტაილანდელებმა მოიგეს 6:4, მეორე ხელში გამარჯვებული ტაი-ბრეიკებმა გამოავლინა - კალაშნიკოვამ და მარცინკევიცამ მეტოქეს 7:6 აჯობეს. მესამე სეტშიც ქართულ-ლატვიურმა დუეტმა იყოჩაღა - 10:6 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მას მეტოქეობას მესამე ნომრად განთესილი თურქები - ბასაკ ერაიდინი და მელის სეზერი გაუწევენ.

ანტალიაში ჩოგბურთელ ქალთა 10.000-იანი ტურნირის ძირითად ბადეში იყო **თამარ ჭალაგანიძე**, რომელიც გუშინ ალიონა სოტნიკოვას (უკრაინა) დანებდა - 0:6, 1:6.

ყატარში ვაჟთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) წარმატებით ცდის ძალებს **ნიკოლოზ ბასილაშვილი**, რომელიც ერთეულებში მესამე ნომერია. გუშინ მე-2 წრეში მან ჩუჰან ვანს (ჩინეთი) აჯობა - 3:6, 6:4, 6:3. წყვილების მეოთხედფინალში ბასილაშვილი იაჰორ იაციკთან (ბელარუსი) ერთად მესამე ნომრად განთესილ ადამ ჩადაჯს (პოლონეთი) და დომინიკ შულცს (გერმანია) შეხვდა. ქართველმა ჩოგბურთელმა მეწყვილესთან ერთად ორივე ხელი მოიგო - 7:5, 6:3 და ნახევარფინალში გავიდა.

**ვაჟა დანელია**



ნიკოლოზ ბასილაშვილი

● ისტორია

# საუკეთესო მწვრთნელები რაგბის ისტორიაში

**მსოფლიოს რაგბის ისტორიას არაერთი ნაკრებისა თუ გუნდის წარმატებული სერიები და რეკორდული მაჩვენებლები ახსოვს. თუმცა ეს ყველაფერი არ იქნებოდა, თუ ამ გუნდებს სათავეში გამოცდილი სამწვრთნელო შტაბი არ ედგებოდა.**
**„თამაშს იგებენ მორაგბეები და აგებს მწვრთნელი" - ხშირად გაიგებთ ამ ფრაზას, რომელსაც თვით მწვრთნელებიც ეთანხმებიან. მთავარი მწვრთნელის ფუნქცია ნიშნავს გუნდის ნებისმიერი წევრის ყველა დაშვებულ შეცდომაზე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას, წარმატების შემთხვევაში კი იძულებული ხარ მთელი დიდება მოთამაშეებს გადააბარო. მთავარი მწვრთნელი სარაგბო მოედანზეც და მის მიღმაც აუარებელ სამუშაოს ასრულებს. მან ბოლომდე უნდა გაითავისოს მის ხელში არსებულ მორაგბეთა დადებითი და უარყოფითი მხარეები და მოძებნოს ისეთი ტაქტიკური სქემა, რომელიც მათ წარმატებას მოუტანს. მწვრთნელს რიგ შემთხვევებში ფსიქოლოგის ფუნქციის შეთავსებაც ეკისრება, რადგან მის მიერ წარმოთქმული სიტყვა და მოთამაშეთათვის გადაცემული მოტივაცია ძალიან ხშირად გადამწყვეტი ხდება საბოლოო წარმატებისთვის. წარმოგიდგენთ საუკეთესო მწვრთნელებს მსოფლიოს რაგბის ისტორიიდან.**


სერ კლაივ ვუდვორდი

### სერ კლაივ ვუდვორდი
### (ინგლისი)

„ლონდონ აირიშსა" და „ბასში" არცთუ ისე წარმატებული მუშაობის შემდეგ კლაივ ვუდვორდი 1997 წელს ინგლისის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. მან პირველივე დღიდან რევოლუციური ცვლილებების განხორციელება დაიწყო ყველა იმ ასპექტში, რაც კი „ვარდების" თამაშს და შემადგენლობის დაკომპლექტებას შეეხებოდა. ვუდვორდმა შეცვალა მოთამაშეთა ფიზიკური მომზადების სტილი, სათამაშო სქემები, თვით მორაგბეთა კვების რაციონიც კი, რათა მათ საბოლოოდ წარმატებისთვის მიეღწიათ, თუმცა დადებით შედეგამდე ჯერ კიდევ დიდი დრო იყო.

1998 წელს ინგლისელებმა სამხრეთული ტურნეს დროს ორი დამამცირებელი მარცხი იწვნიეს „ოლ ბლექსისგან" (22:64, 10:40), მაგრამ მიუხედავად ამისა, ვუდვორდი ჯიუტად განაგრძობდა მიზანდასახულ წინსვლას. საკმაოდ გაიზარდა წნეხი ბრიტანული პრესისგან მომდევნო წლებში, როდესაც ინგლისი ვერც ექვსი ერის გათამაშებებში აჩვენებდა დადებით შედეგს, თუმცა პროგრესი ადრინდელთან შედარებით მაინც შეინიშნებოდა.

დადგა 2003 წელი, როდესაც ვუდვორდმა მსოფლიოს თასის გათამაშების წინ გუნდი ოპტიმალურ ფორმას მიუახლოვა. ინგლისელებმა თავდაპირველად ექვსი ერის გათამაშება მოიგეს დიდი სლემით. მათ უკანასკნელ, მეხუთე მატჩში დუბლინში პრინციპული მეტოქე ირლანდია დაამარცხეს, რასაც მოჰყვა მსოფლიოს თასზე ტაქტიკურად უალრესად გამართული რაგბის დემონსტრირება. „ვარდებმა" ფინალურ მატჩში მასპინძელ ავსტრალიას სძლიეს და პირველად ინგლისური რაგბის ისტორიაში მსოფლიოს თასი შემართეს.

გაწეული ბრწყინვალე სამუშაოსთვის კლაივ ვუდვორს ინგლისის სამეფო ოჯახმა რაინდის წოდება უბოძა და 2004 წლიდან იგი სერის ტიტულით მოიხსენიება.

### კიჩ კრისტი
### (სამხრეთ აფრიკა)

კიჩ კრისტი სამხრეთ აფრიკის რაგბის ნაკრების მთავარ მწვრთნელად 1994 წელს დაინიშნა და მას უდიდესი მისია დაეკისრა. აპარტეიდის რეჟიმის დამარცხების შემდეგ კრისტის ორ ბანაკად გახლეჩილი „ბოკეს" მოთამაშეები ერთ მთლიანობად უნდა ექცია და გაეღვიძებინა მათში ერთმანეთის გვერდში დგომის სურვილი.

სამხრეთ აფრიკაში ჩასატარებელ მსოფლიოს თასამდე ერთ წელიწადზე ნაკლები რჩებოდა, „ბოკე" კი კვლავ დიდი ანგარიშებით აგებდა ავსტრალიასთან, ინგლისთან და ახალ ზელანდიასთან.

კიჩ კრისტი ყოველთვის ითვლებოდა პატრიოტად, ამიტომაც მან გადადგა სარისკო ნაბიჯი და „სპრინბოქსის" წვრთნას შეუდგა. ამ შემთხვევაში მხოლოდ ფიზიკური მომზადება არაფერს წყვეტდა, რადგან საჭირო იყო ახალი ტაქტიკური სქემა, რომელიც საშუალებას მისცემდა მასპინძლებს, რათა მათ ჯერ ჯგუფური ეტაპი გადაელახათ, სადაც მეტოქეები მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ავსტრალია, უძლიერესი საფრანგეთი და დასავლეთ სამოა იყვნენ, ხოლო მოგვიანებით დაემარცხებინათ ახალი ზელანდია და მისი ამომავალი ვარსკვლავი ჯონა ლომუ, რომელიც შესანიშნავ ფორმაში იმყოფებოდა.

კიჩ კრისტის მიერ ჩამოყალიბებულმა სამწვრთნელო შტაბმა ეს შეძლო. მათ უპრობლემოდ გაალწიეს ჯგუფიდან, ხოლო ფინალურ დაპირისპირებაში შეძლეს ჯონა ლომუს თამაშიდან გათიშვა. არჩეულმა ტაქტიკამ აბსოლუტურად გაამართლა და ჯოელ სტრანსკის არეკნით სამხრეთ აფრიკამ მსოფლიოს თასი მოიგო.

1996 წელს კრისტის ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რის გამოც იგი ჩამოშორდა სამწვრთნელო საქმიანობას, ორი წლის შემდეგ კი გარდაიცვალა. 2011 წელს რაგბის საერთაშორისო საბჭომ იგი დიდების დარბაზში შეიყვანა.

### სერ იან მაკგიჰანი
### (შოტლანდია)

იან მაკგიჰანს საკმაოდ წარმატებული მორაგბის კარიერა ჰქონდა, თუმცა 33 წლის ასაკში მძიმე ტრავმა მიიღო და დაასრულა კარიერა, რის შემდეგაც იგი ხუთი წლის განმავლობაში სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობდა. ყოფილ მორაგბეს გულმა მალევე გაუწია საყვარელი სპორტის სახეობისკენ და სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყო ხელი.

1987 წელს იგი შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო, სადაც მან ისე კარგად წარმოაჩინა საკუთარი შესაძლებლობები, რომ შემდეგ წელს ბრიტანელი ლომების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. მისი ხელმძღვანელობით ევროპელებმა ავსტრალიური ტურნე გამარჯვებით დაასრულეს - 2:1.

1990 წელს მაკგიჰანი შოტლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა და „სკოტებმა" დიდი სლემით მოიგეს ხუთი ერის გათამაშება. მომდევნო წელს გამართულ მსოფლიოს თასზე კი „ნარშავებმა" ნახევარფინალურ სტადიას მიაღწიეს.

1993 წელს იანი მეორედ გაუძღვა „ბრიტანელ ლომებს" სამხრეთ ნახევარსფეროსკენ, ამჯერად ახალ ზელანდიაში. თუმცა მისი გაწვრთნილი გუნდი დამარცხდა „ოლ ბლექსთან" სერიაში - 1:2. ოთხი წლის შემდეგ „ბრიტანელმა ლომებმა" სამხრეთ აფრიკის ძლევით კვლავ გამოასწორეს სიტუაცია. იან მაკგიჰანი კი გახდა ერთადერთი მწვრთნელი რაგბის ისტორიაში, რომელმაც „ბრიტანელი ლომების" სამ ლაშქრობას უთავკაცა.

იანის მონაგარი საკლუბო რაგბშიც საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება: 2006-08 წლებში მან „ლონდონ ვოსფსთან" ერთად მოიგო ანგლო-საქსური თასი (2006 წ), ჰეინეკენის თასი (2007 წ) და ინგლისის პრემიერშიფი (2008 წ).

კლაივ ვუდვორდის დარად იან მაკგიჰანსაც რაინდის ტიტული მიენიჭა და სერის წოდებას ატარებს.

**გიორგი ბარბაქაძე**



კიჩ კრისტი

● საქართველოს ჩემპიონატი


ბურთით ბექა ნიკლაური

# სამიდან ორმა წაიფორხილა

**საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე საინტერესოდ დაიწყო. პირველი წრის შემდეგ გამოვლენილი სამი მოწინავე გუნდიდან მორიგ, მე-10 ტურში ორმა, ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა „ლელომ" და ყველაზე ტიტულოვანმა „ლოკომოტივმა", მარცხი განიცადა.**

მეორე წრის პირველი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში ქუთაისის „აია" მოექცა, რომელმაც სტუმრად ერთ-ერთ აუტსაიდერ რუსთავის „ხარებს" მოუგო. ქუთათურები ამისკენ დიდი ხნის განმავლობაში, ნაბიჯ-ნაბიჯ მიდიოდნენ. ნათლად ჩანს, რომ წლეულს „აია" უფრო გაზრდილი, დალვინებულია, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული გუნდია.

„აიას" თამაშში ყველაზე დადებითი ტენდენცია უკანა ხაზის გააქტიურებაა, სადაც ახალგაზრდული ნაკრების რამდენიმე მორაგბე ირჯება. მათ ახლახან დუბაიში გამართულ შვიდკაცა რაგბის საერთაშორისო ტურნირზეც იასპარეზეს. სატურნირო ცხრილში ლიდერობას ქუთათურები, სავარაუდოდ, მომდევნო ტურის შემდეგაც შეინარჩუნებენ, რადგან შინ აუტსაიდერ „ბათუმს" უმასპინძლებენ.

„აიას" სატურნირო ცხრილში ორი ქულით ჩამორჩება ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი თბილისის „ლელო", რომელმაც დრამატულ მატჩში წააგო ბოლნისის „ყოჩებთან". აღსანიშნავია, რომ ლელოელებმა სამი მატჩიდან ორი სწორედ „ყოჩებთან" წააგეს.

ამჯერად, თამაში ისე წარიმართა, ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ „ლელო" დამარცხდებოდა. თავად განსაჯეთ, თამაშის დასრულებამდე რვა წუთით ადრე „ლელო" 17 ქულით იგებდა - 27:10. დარჩენილ დროში, „ყოჩებმა" კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა მისთვის დამახასიათებელი ბოლომდე მებრძოლი სული და სამი ლელოს გატანა მოახერხა.

ამასთან ერთად, გამოსარჩევია გუნდის მგეზავის **თემურ სოხაძის** წვლილი. ეს მორაგბე ნელ-ნელა იბრუნებს ფორმას და, ვფიქრობთ, თავისი პოტენციალის რეალიზებას შეძლებს. შეგახსენებთ, რომ სოხაძე ეროვნულ ნაკრებში 2007 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირზე თამაშობდა. მერე სამსოფლიოთასო განაცხადში ვერ მოხვდა და ნელ-ნელა მისმა კარიერამ უკანსვლა დაიწყო. ამჟამად ნიჭიერი მორაგბე მშობლიურ კლუბში ძალებს იკრებს და გასაკვირი არ იქნება, მალე ნაკრების წევრებსაც თუ გაუწევს კონკურენციას.

ცალკე განხილვის თემაა მატჩისას მომხდარი ჩხუბი. საგულისხმოა, რომ მსგავსი ინციდენტი „ლელოსთვის" წლეულს პირველი არ არის, რაც გუნდის თამაშზეც აისახება. მომხდარზე უახლოეს დღეებში საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტი იმსჯელებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარცხი განიცადა მოწინავე სამეულის კიდევ ერთმა წევრმა თბილისის „ლოკომოტივმა". რკინიგზელები, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხნის შესვენების შემდეგ მათ რიგებში **ბობა კვინიხიძე** გამოჩნდა, თბილისის „ჯიქებთან" ვერაფერს გახდნენ. ვერ ვიტყვით, რომ „ლოკომოტივს" ცდა არ დაუკლია, მაგრამ უდრეკ მეტოქეს ვერაფერი დააკლო.

ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრების ფულბეკმა **ბექა ნიკლაურმა** შუამარბის პოზიციაზე ითამაშა, ბობამ მისთვის უჩვეულო, ფულბეკის პოზიცია დაიკავა და უკნიდან გუნდს უნარიანად ხელმძღვანელობდა. თუმცა ეს გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

რკინიგზელებს დაცვაში ბევრი შეცდომა არ დაუშვიათ, მაგრამ რაც დაუშვეს, „ჯიქებმა" მაქსიმალურად გამოიყენეს, რაც ამ გუნდის სათამაშო კლასის ზრდაზე მეტყველებს. თუ აქამდე „ჯიქები" მორკინალების მძლავრი თამაშით გამოირჩეოდა, ამჟამად მათ უკანახაზელებიც უბამენ მხარს. შესაბამისად, გუნდის თამაში უფრო მწყობრი და ყველა მეტოქისთვის სახიფათო გახდა.

ნელ-ნელა ჩვეულ ფორმას იბრუნებს „არმია", რომელსაც პირველ წრეში მცირეოდენი ჩავარდნა ჰქონდა. არმიელებმა მე-10 ტურში ერთ-ერთ აუტსაიდერ „აკადემიას" სძლიეს და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა. „არმია" ახლა 31 ქულით მეოთხე ადგილზეა და ლიდერ „აიას" ხუთი ქულით ჩამორჩება.

კიდევ ერთი ფავორიტის, თბილისის „არმაზის" მატჩი აუტსაიდერ „ბათუმთან" უამინდობის გამო გადაიდო.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აია | 10 | 8 | 0 | 2 | +86 | 36 |
| 2. ლელო | 10 | 7 | 0 | 3 | +109 | 34 |
| 3. ლოკომოტივი | 10 | 7 | 0 | 3 | +49 | 32 |
| 4. არმია | 10 | 6 | 1 | 3 | +82 | 31 |
| 5. ჯიქები | 10 | 5 | 2 | 3 | +64 | 28 |
| 6. არმაზი | 9 | 6 | 0 | 3 | -2 | 26 |
| 7. ყოჩები | 10 | 5 | 1 | 4 | +27 | 26 |
| 8. ხარები | 10 | 1 | 0 | 9 | -122 | 7 |
| 9. აკადემია | 10 | 1 | 0 | 9 | -145 | 7 |
| 10. ბათუმი | 9 | 1 | 0 | 8 | -148 | 6 |

**XI ტური**

**არმაზი-ლოკომოტივი, არმია-ხარები, აია-ბათუმი, ყოჩები-ჯიქები, ლელო-აკადემია.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კობის მეორე მარცხი

„ინდიანას“ მსგავსად, საკუთარ მოედანზე არ მარცხდება „ოკლაჰომა“, რომელსაც ასევე 10 მოგება დაუგროვდა შინ. თუმცა „თანდერი“ სტუმრადაც არ ერიდება მეტოქეებს და მისი მორიგი მსხვერპლი „ატლანტა“ გახდა. სეზონის არც თუ ისე დამაჯერებლად დაწყების (5-3) შემდეგ, „ოკლაჰომამ“ 12-დან 11 მატჩი მოიგო და დაბრუნდა დასავლეთის ლიდერებში. ბრწყინვალედ გამოიყურება გუნდის მთავარი ვარსკვლავი **კევინ დურანტი**, რომელიც ზედიზედ სამჯერ იყო NBA-ის საუკეთესო ბომბარდირი, შარშან ეს ტიტული დაკარგა და ახლა, მის დაბრუნებას ლამობს. დღეისთვის, დურანტის საშუალო შედეგიანობა 29.0 ქულას უდრის და დიდი უპირატესობით უგებს **კარმელო ენტონისა** და **ლებრონ ჯეიმსს**.

„ატლანტასთან“ მატჩში, კევინმა თავის ნორმას ერთი ქულით გადააჭარბა (30 ქულა) და 10 მოხსნით შესანიშნავი ორმაგი დუბლი შეასრულა. მის თანაგუნდელს **რასელ უესტბრუკს** კი ერთი მოხსნა არ ეყო სამმაგ დუბლამდე: 14 ქულა, 11 პასი და 9 მოხსნა.

■ ■ ■

დიდ კალათბურთში დაბრუნების შემდეგ, პირველ მატჩში **კობი ბრაიანტმა** ცხრა ქულა დააგროვა. "ფინიქსთან" შეხვედრაში კი ასეთი შედეგი მას უკვე პირველ ტაიმში ჰქონდა. თუმცა ეს შეხვედრა "ლეიკერსის" ლიდერს სიხარულს ვერ მოუტანდა, რადგან კალიფორნიელებმა ისევ წააგეს. ძირითადად, სლოვენიელი გამთამაშებლის **გორან დრაგიჩის** ბრწყინვალე თამაშის გამო, რომელმაც 31 ქულა დააგროვა. თანაც, "ლეიკერსი" დაცვაში ცუდმა თამაშმა დაალალატა - რთულია გამარჯვების იმედი გქონდეს, როცა მეტოქეს 114 ქულას ჩააგდებინებ.

"ფინიქსმა" ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო, რაც ამ სეზონში არ მომხდარა. ახლა გუნდი, რომელსაც დასავლეთში უიმედო აუთსაიდერობას უწინასწარმეტყველებდნენ, პლეი ოფის ზონაში ინონებს თავს.

რაც შეეხება კობის სტატისტიკას, მან თამაშიდან 11-ჯერ ისროლა და რვა ბურთი ჩააგდო, აგრეთვე რვიდან რვა საჯარიმო მოათავსა კალათში, რამაც, საერთო ჯამში, 20 ქულა შეადგინა.

■ ■ ■

თანდათან უბრუნდებიან „ბრუკლინს“ თავისი ლიდერები. ძალიან დროული იყო მოედანზე **დერონ უილიამსის** გამოჩენა, ახლა კი მას **პოლ პირსიც** შეუერთდა და გუშინ ის თავისი მშობლიური კლუბის - „ბოსტონის“ წინააღმდეგ ვიხილეთ საქმეში.

შედეგად, გუნდმა ზედიზედ ორი გამარჯვება მოიპოვა და ოდნავ გამოასწორა სატურნირო მდგომარეობა. ალბათ, შორს არ არის ის დღე, როცა ნიუიორკული კლუბი „ვაშინგტონს“ ან „შარლოტს“ შეავიწროვებს და პლეი ოფში ზონაში შეაბიჯებს.

**კლივლენდი–ნიუ იორკი 109:94**

31:19, 17:26, 33:20, 28:29

**კ:** ირვინგი (37+11 პასი), ჯეკი (17), ტომპსონი (12+9 მოხსნა), მაილსი (10).

**ნ-ი:** ენტონი (29+8 მოხსნა), სტაუდმაიერი (15), სმიტი (14), ბარნიანი (11).

**ტორონტო–სან ანტონიო 103:116**

36:24, 17:35, 21:30, 29:27

**ტ:** დეროზანი (19+7 პასი), ჯონსონი (19+9 მოხსნა), ვალანჩუნასი (14), როსი (14), ლოური (11+7 პასი), ბეკსი (10).

**ს-ა:** ჯინობილი (16+9 პასი), პარკერი (15+6 პასი), ბეინსი (14), გრინი (14), დანკანი (14), ბელინელი (12), მილსი (11).

**ატლანტა–ოკლაჰომა 92:101**

21:21, 18:27, 29:28, 24:25

**ა:** მილსეპი (23+12 მოხსნა), ტიგი (17+6 პასი), მეკი (17+6 პასი), ჰორფორდი (7+10 მოხსნა).

**ო:** დურანტი (30+10 მოხსნა), იბაკა (19+10 მოხსნა), უესტბრუკი (14+11 პასი+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჯექსონი (13), ლემბი (11).

**ბრუკლინი–ბოსტონი 104:96**

31:20, 25:27, 29:25, 19:24

**ბრუკ:** უილიამსი (25+7 პასი), ლოპესი (24), ანდერსონი (15), გარნეტი (11+9 მოხსნა), ბლეტჩი (11+9 მოხსნა).

**ბოს:** ბრედლი (22), გრინი (19), სალინჯერი (15), კროუფორდი (15), ბასი (13+11 მოხსნა).

**დეტროიტი–მინესოტა 94:121**

32:33, 19:31, 26:32, 17:25

**დ:** ჯენინგსი (20+7 პასი), სმიტი (17), კოლდუელ-პოუპი (16), მონრო (10).

**მ:** ლავი (26+16 მოხსნა+7 პასი), მარტინი (18+4 ჩაჭრა), პეკოვიჩი (18), რუბიო (15+9 პასი), ბრიუერი (11), ბარეა (10+6 პასი).

**ჩიკაგო–მილუოკი 74:78**

14:20, 28:15, 15:20, 17:23

**ჩ:** დანლივი (24), ბუზერი (21+12 მოხსნა+4 ჩაჭრა), სნელი (13), გიბსონი (10+9 მოხსნა).

**მ:** ჰენსონი (25+14 მოხსნა+6 დაფარება), ნაითი (19+10 მოხსნა), ილიასოვა (10).

**ლეიკერსი–ფინიქსი 108:114**

21:26, 30:30, 23:23, 34:35

**ლ:** ბრაიანტი (20), გასოლი (19), მიქსი (13), პილი (13), იანგი (13), ჰენრი (12), ბლეიკი (9+10 პასი).

**ფ:** დრაგიჩი (31), მორისი (22), ბლედსოუ (18+9 პასი), მორისი (15), ფრაი (11), ტაკერი (4+11 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ინდიანა | 22 | 19 | 3 | 86.4 |
| 2. მაიამი | 22 | 16 | 6 | 72.7 |
| 3. ატლანტა | 22 | 11 | 11 | 50.0 |
| 4. ბოსტონი | 23 | 10 | 13 | 43.5 |
| 5. შარლოტი | 21 | 10 | 11 | 47.6 |
| 6. დეტროიტი | 22 | 10 | 12 | 45.5 |
| 7. ვაშინგტონი | 20 | 9 | 11 | 45.0 |
| 8. ჩიკაგო | 19 | 8 | 11 | 42.1 |
| 9. კლივლენდი | 21 | 8 | 13 | 38.1 |
| 10. ტორონტო | 20 | 7 | 13 | 35.0 |
| 11. ბრუკლინი | 21 | 7 | 14 | 33.3 |
| 12. ფილადელფია | 22 | 7 | 15 | 31.8 |
| 13. ორლანდო | 21 | 6 | 15 | 28.6 |
| 14. ნიუ იორკი | 20 | 5 | 15 | 25.0 |
| 15. მილუოკი | 21 | 5 | 16 | 23.8 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. პორტლენდი | 22 | 18 | 4 | 81.8 |
| 2. სან ანტონიო | 20 | 16 | 4 | 80.0 |
| 3. ოკლაჰომა | 20 | 16 | 4 | 80.0 |
| 4. კლიპერსი | 22 | 14 | 8 | 63.6 |
| 5. ჰიუსტონი | 22 | 15 | 7 | 68.2 |
| 6. დენვერი | 21 | 13 | 8 | 61.9 |
| 7. დალასი | 22 | 13 | 9 | 59.1 |
| 8. ფინიქსი | 21 | 12 | 9 | 57.1 |
| 9. გ. სტეიტი | 22 | 12 | 10 | 54.5 |
| 10. მემფისი | 20 | 10 | 10 | 50.0 |
| 11. მინესოტა | 21 | 10 | 11 | 47.6 |
| 12. ლეიკერსი | 21 | 10 | 11 | 47.6 |
| 13. ნიუ ორლეანი | 10 | 9 | 10 | 47.4 |
| 14. საკრამენტო | 19 | 6 | 13 | 31.6 |
| 15. იუტა | 23 | 4 | 19 | 17.4 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| კევინ დურანტი (ოკლ) | 29.0 |
| კარმელო ენტონი (ნიუ) | 25.4 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 25.0 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 24.7 |
| ჯეიმს ჰარდენი (ჰიუ) | 24.6 |
| კევინ ლავი (მინ) | 23.8 |
| სტივენ კარი (გ. სტე) | 23.6 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 23.2 |
| კევინ მარტინი (მინ) | 22.7 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 22.6 |



პირსი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| კევინ ლავი (მინ) | 13.8 |
| დეანდრე ჯორდანი (კლი) | 13.3 |
| დუაიტ ჰოვარდი (ჰიუ) | 13.3 |
| ანდრე დრამონდი (დეტ) | 12.7 |
| ბლეიკ გრიფინი (კლი) | 10.6 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 10.4 |
| ტრისტან ტომპსონი (კლი) | 10.3 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 10.0 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 9.9 |
| სპენსერ ჰოიესი (ფილ) | 9.7 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლი) | 12.0 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 9.1 |
| სტივენ კარი (გ. სტე) | 8.9 |
| რიკი რუბიო (მინ) | 8.4 |
| ტაი ლოუსონი (დენ) | 8.0 |
| ბრენდონ ჯენინგსი (დეტ) | 8.0 |
| ჯრიუ ჰოლიდეი (ნ-ორლ) | 7.9 |
| ჯეფ ტიგი (ატლ) | 7.8 |
| სტივ ბლეიკი (ლეი) | 7.7 |
| მ. კარტერ-უილიამსი (ფილ) | 7.3 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| მ. კარტერ-უილიამსი (ფილ) | 3.1 |
| რიკი რუბიო (მინ) | 2.9 |
| კრის პოლი (კლიპ) | 2.4 |
| ტონი ალენი (მემ) | 2.3 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 2.3 |
| პოლ ჯორჯი (ინდ) | 2.1 |
| კავაი ლეონარდი (ს-ანტ) | 1.9 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| ენტონი დევისი (ნ-ორლ) | 3.6 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 3.0 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.5 |
| ჯონ ჰენსონი (მილ) | 2.2 |
| ბრუკ ლოპესი (ბრუ) | 2.1 |
| დეანდრე ჯორდანი (კლი) | 2.1 |
| მაილს პლამლი (ფინ) | 1.9 |
| დუაიტ ჰოვარდი (ჰიუ) | 1.8 |

# აღმოსავლეთში საუკეთესო ინდიანაა

რა თქმა უნდა, გუშინდელი სათამაშო დღის მთავარი მატჩი "ინდიანასა" და "მაიამის" შორის გაიმართა. ერთმანეთს ხვდებოდნენ აღმოსავლეთი კონფერენციის საუკეთესო გუნდები, რომლებმაც შარშან, კონფერენციის ფინალში გაარკვიეს ურთიერთობა. სავსებით შესაძლებელია, რომ იგივე სცენარი წლევანდელ სეზონშიც განმეორდეს, რადგან მათ მიმდინარე რეგულარულში 42-დან 34 მატჩი მოიგეს.

"პეისერსს" ამ მატჩში წაგებისთვის არავინ დაძრახავდა, რადგან ამ გუნდს ურთულესი ტურნე ჰქონდა დასავლეთში, სადაც იქაურ ფავორიტებს - "კლიპერსს", "პორტლენდს", "სან ანტონიოსა" და "ოკლაჰომას" შეხვდა. ამიტომაც გასაკვირი არ იყო, რომ პირველი ტაიმი "ჰიტმა" 13 ქულით მოიგო. **ლებრონ ჯეიმსი** დაცვაში აჩრდილივით დასდევდა **პოლ ჯორჯს** და მას პირველ ნახევარში მხოლოდ ორი ქულა დააგროვებინა.



ლებრონ ჯეიმსი და პოლ ჯორჯი

მაგრამ, მთელი მატჩის განმავლობაში პოლის განეიტრალება არავის შეუძლია. მით უმეტეს, რომ ჯეიმსმა მესამე პერსონალური მიიღო და სათადარიგოთა სკამზე დაჯდა. ამის შემდეგ, "ინდიანას" ლიდერს ხან **რეი ალენი**, ხან რომელიმე სხვა კალათბურთელი მეურვეობდა, მაგრამ ამაოდ. მარტო მესამე მეოთხედში ფორვარდმა 12 ქულა დააგროვა, თანაც ეს 12-წუთეული ორი ზუსტი სამქულიანით დაასრულა და "ინდიანამ" წინ გასვლა მოახერხა. ბევრი შეცდომის მიუხედავად (ჯამში 21), "პეისერსი" ჯობნიდა "მაიამის" მთავარ კომპონენტებში - ეფექტურ დაცვასა და ფარქვეშ ბრძოლაში. დიდი შესვენების შემდეგ, მასპინძლებმა ფლორიდელებს მხოლოდ 37 ქულა დააგროვებინეს, ხოლო მთლიანად მატჩში მეტოქეს 21-დან მხოლოდ 4 (!) სამქულიანი ჩააგდებინეს. გარდა ამისა, ისევე როგორც შარშანდელ პლეი ოფში, ახლაც, "მაიამის" დიდი თავსატეხი გაუჩინა **როი ჰიბერტმა**. ცენტრმა მხოლოდ 15-ჯერ ისროლა თამაშიდან და 24 ქულა მიითვალა.

სწორედ ჰიბერტმა არ ჩააგდებინა ლებრონს ფარქვეშიდან სირენამდე 1.44 წუთით ადრე. იქვე "მაიამის" ლიდერმა შეცდომაც დაუშვა და მოგვიანებით, სამქულიანი ააცილა. შედეგად, "ინდიანამ" მეათე საშინაო მატჩი მოიგო მიმდინარე რეგულარულში. ეს გუნდი შინ ჯერჯერობით დაუმარცხებლად თამაშობს.

**ინდიანა–მაიამი 90:84**

19:30, 21:17, 28:17, 22:20

**ი:** ჰიბერტი (24), უესტი (17+9 მოხსნა), ჯორჯი (17), სტივენსონი (12).

**მ:** უეიდი (17+6 პასი), ჯეიმსი (17+14 მოხსნა+6 პასი), ბოში (12), ანდერსენი (10).

ველოსპორტი



რაინდად კურთხევის ცერემონიალი

# ბრედლი უიგინსი სერი გახდა

ტურ დე ფრანსის 2012 წლის გამარჯვებული და ლონდონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი დროზე განცალკევებით რბოლაში **ბრედლი უიგინსი** ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეტ II-მ რაინდად აკურთხა. ცერემონია ბუკინგემის სასახლეში სამშაბათს გაიმართა.

უიგინსმა სერის ტიტული სპორტში მიღწევების გამო დაიმსახურა, კერძოდ, ის გახდა პირველი ბრიტანელი, ვინც პრესტიჟულ ფრანგულ ველომარათონზე გაიმარჯვა.

*"ეს უდიდესი პატივია ჩემთვის. ცერემონიის დროს ძალიან ვინერვიულე. სიმართლე გითხრათ, ახლაც ბოლომდე გონს ვერ მოვსულვარ"*, - აღნიშნა 33 წლის ჰიგინსმა ცერემონიის შემდეგ. ის დედოფალთან მიღებაზე მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად მივიდა.

ამერიკული ფეხბურთი

# ამერიკული ფეხბურთი ოლიმპიურ ოჯახში

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა მხარი დაუჭირა ამერიკული ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღიარებას. ეს გადაწყვეტილება სპორტის ამ სახეობას ოლიმპიურ პროგრამაში მოხვედრის შანსს აძლევს.

სოკ-ის გადაწყვეტილება საშუალებას მისცემს ამერიკულ ფეხბურთს, მოხვდეს საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში, მაგალითად, თანამეგობრობის თამაშებზე (2014 წელს გაიმართება გლაზგოში) ან პანამერიკულ თამაშებზე (ჩატარდება 2015 წელს ტორონტოში).

თეორიულად, ამერიკულ ფეხბურთს ოლიმპიურ პროგრამაში მოხვედრის შანსი 2024 წლისთვის ექნება.

ამერიკული ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია 64 ქვეყანას აერთიანებს. ამ ორგანიზაციამ ოთხჯერ ჩაატარა მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ორი იაპონიამ მოიგო, 2007 და 2011 წლებში კი მსოფლიოს ჩემპიონი აშშ გახდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი. სოჭი 2014

# ამჟამად, გერმანია

გავიდა კიდევ ერთი კვირა, გაიმართა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპები სპორტის ზამთრის სახეობებში და კვლავ შევჯამდა ყველა შედეგი, რითაც მივიღეთ მედლების საშუალედო ცხრილი. ის გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის სოჭში მომავალ ბატალიებსა და ქვეყნებს შორის სავარაუდო ფავორიტებზე.

## 1. გერმანია (10 ოქრო, 6 ვერცხლი, 3 ბრინჯაო)

საციგაო სპორტში ბუნდესათლეტებმა ოთხი შესაძლებლიდან ოთხი ოქრო მოიპოვეს. ასევე, ციგაობამ გერმანიას ვერცხლი და ბრინჯაო მოუტანა. ძალიან კარგად გამოვიდა სამთო მოთხილამურე **მარია რიში** კანადაში მსოფლიოს თასის ეტაპზე - მან დუბლი შეასრულა სწრაფდაშვებაში. ტრამპლინიდან მხტომელებმა თავიანთ ნაკრებს ერთბაშად ოთხი მედალი მოუტანეს, რომელთანაგაც ერთ-ერთი ოქროსი იყო. სნოუბორდ-კროსის გუნდურ ასპარეზობაში გაიბრწყინეს **პაულ ბერგმა** და **კონსტანტინ შადმა** - გერმანულმა წყვილმა მოიგო ეტაპი ავსტრიაში და ეს იყო გერმანიისთვის პირველი მოგება ისტორიაში სპორტის ამ სახეობაში. სწორედ ამ ოქროს წყალობით გაუსწრო ბუნდესტიმმა აშშ-ს გასულ კვირას.

## 2. აშშ (9 ოქრო, 5 ვერცხლი, 7 ბრინჯაო)

ამერიკელებმა მთლიანად გაიმეორეს გერმანელი მოციგავეების მიღწევა, ოღონდ, ბობსლეიში. მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი სწორედ ამერიკაში - პარკ-სიტიში იმართებოდა. ტრასის მასპინძლებმა არ დაალალატეს გულშემატკივრები და ყველა სტარტი მოიგეს. ისევ შეუდარებელი იყო **სტივენ ჰოლკომბი**, რომელმაც ორი ოქრო მოიგო. ასევე ყველაზე კარგად დაეშვა ტრასაზე ამერიკელი სკელეტონისტი **ნოელ პაიკუს-პეისი**. ბევრი მედალი იყო საციგურაო სპორტში - ხუთი.

## 3. ნორვეგია (6 ოქრო, 4 ვერცხლი, 8 ბრინჯაო)

გასულ კვირას, ყველაზე მეტი მესამე ადგილი ჰქონდა ნორვეგიას. ბიატლონში მორიგი ეტაპი ჰოჰფილცენში გაიმართა და ვეტერანმა **ოლე-ეინარ ბიორნდალენმა** ბრინჯაო დაიმსახურა სპრინტში. საერთოდ კი ნორვეგიელმა ბიატლონისტებმა ავსტრიაში სამი ოქრო მოიპოვეს და არც ერთი არ ყოფილა **ტურა ბერგერის** ანგარიშზე. კარგად გამოიყურებოდნენ ნორვეგიელი მოთხილამურეები, მით უმეტეს, რომ თხილამურებით რბოლაში ეტაპი მათ მშობლიურ ლილეჰამერში მიმდინარეობდა. საშინაო ეტაპის მონაგარი იყო - ექვსი მედალი, აქედან ორი უმაღლესი სინჯის. საერთოდაც, გასულ კვირას, თითქმის ყველა სახეობაში პოდიუმზე ნორვეგიელი ათლეტები ვიხილეთ.

## 4. ჰოლანდია (4 ოქრო, 3 ვერცხლი, 2 ბრინჯაო)

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ზამთრის სახეობებში ჰოლანდიას მხოლოდ ციგურებით სირბილი აინტერესებს. ცხრავე მედალი ამ ქვეყანამ ბერლინში გამართულ მსოფლიოს თასზე მოიპოვა. ჰოლანდიელმა მორბენლებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ფავორიტის სტატუსი ოლიმპიური პროგრამის ერთ-ერთ ყველაზე უხვმედლიან სახეობაში.

## 5. იაპონია (4 ოქრო, 2 ვერცხლი, 4 ბრინჯაო)

იაპონელებმა ძალიან კარგად წარმოაჩინეს თავი ფიგურულ სრიალში - ამ სეზონის გრანპრის ფინალში მათ ორი ოქრო და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს. ფუკუოკაში ინდივიდუალურ სახეობებში გაიმარჯვეს **იუძურუ ჰანიუმ** და **მაო ასადამ**.

## სხვები

- რუსეთი მეშვიდე პოზიციაზე დარჩა. ამ გუნდის სამი ოქრო **ოლგა ფატკულინას**, მამაკაცთა სათხილამურო ნაკრებისა და სკელეტონისტ **ალექსანდ ტრეტიაკოვის** დამსახურებაა.

- **იუსტინა კოვალჩიკმა** ჩვეულ სტილში მოიგო ლილეჰამერში ერთ-ერთი რბოლა. მას სტაბილურად მოაქვს ქულები პოლონეთის ნაკრებისთვის.

- შეუჩერებელია ბიატლონში **მარტენ ფურკადი**, რომელმაც საფრანგეთს ორი მედალი მოუტანა, მათ შორის, ერთი ოქროსი. წარმატებით გამოვიდა საფრანგეთი სკი-კროსში (ოქრო და ბრინჯაო), აგრეთვე სათხილამურო ორჭიდში, სადაც **ჯეისონ ლამი-შაპუიმ** ნორვეგიელებს გაუსწრო.

- შვეიცარიელებმა და ავსტრიელებმა თითქმის ყველა მედალი სამთო დისციპლინებში მოიპოვეს. გაგვაკვირვა მხოლოდ **სელინა გასპარინმა**, რომელმაც სენსაციურად მოიგო ბიატლონის სპრინტი ჰოჰფილცენში.

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 10 | 6 | 3 | 19 |
| 2. აშშ | 9 | 5 | 7 | 21 |
| 3. ნორვეგია | 6 | 4 | 8 | 18 |
| 4. ჰოლანდია | 4 | 3 | 2 | 9 |
| 5. იაპონია | 4 | 2 | 4 | 10 |
| 6. შვეიცარია | 3 | 3 | 0 | 6 |
| 7. რუსეთი | 3 | 2 | 5 | 10 |
| 8. საფრანგეთი | 3 | 1 | 4 | 8 |
| 9. ავსტრია | 2 | 3 | 7 | 12 |
| 10. ს. კორეა | 2 | 1 | 2 | 5 |
| 11. ჩეხეთი | 2 | 1 | 0 | 3 |
| 12. კანადა | 1 | 7 | 3 | 11 |
| 13. პოლონეთი | 1 | 3 | 2 | 6 |
| 14. იტალია | 1 | 1 | 4 | 6 |
| 15. უკრაინა | 1 | 1 | 0 | 2 |
| 16. შვედეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 17. ჩინეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 18. ბრიტანეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 18. ლატვია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 18. ყაზახეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 18. ფინეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 18. ლიხტენშტაინი | 0 | 1 | 0 | 1 |

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ოტავა 2:1 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0, 4:3

**გოლები:** 0:1 მ. მიხალეკი-5 (კონაჩერი-4), 1:1 გირგენსონსი-3 (ერჰოფი-7).

**ბულიტები გაიტანეს:** მოულსონი (ბაფალო), მიკა ზიბანეჯადი (ოტავა), ფლინი (ბაფალო), ტარისი (ოტავა), ოტი (ბაფალო), მ. მიხალეკი (ოტავა), გირგენსონსი (ბაფალო).

**ვაშინგტონი-ტამპა ბეი 6:5 (ბ)**

1:3, 3:1, 1:1, 0:0, 3:2

**გოლები:** 0:1 სან ლუი-13 (სალო-5, ტ. ჯონსონი-9), 0:2 კუჩეროვი-2 (პურსელი-10, მეტიუ კარლი-11), 0:3 ნ. ტომპსონი-3 (ჯ.-ტ. ბრაუნი-2, კრომბინი-4), 1:3 ოვეჩკინი-23 (ბექსტრიომი-22), 2:3 ბექსტრიომი-7 (გრაბოვსკი-17, ბროუერი-5), 2:4 ტ. ჯონსონი-7 (პალატი-6, სან ლუი-16), 3:4 ოვეჩკინი-24 (მ. იოჰანსონი-17, ბექსტრიომი-23), 4:4 ოვეჩკინი-25 (მაიკ გრინი-14, ბექსტრიომი-24), 4:5 პალატი-5 (ტ. ჯონსონი-10, სან ლუი-17), 5:5 ოვეჩკინი-26 (ჯ. კარლსონი-7, ბექსტრიომი-25).

**ბულიტები გაიტანეს:** ფერი (ვაშინგტონი), კუჩეროვი (ტამპა ბეი), გრაბოვსკი (ვაშინგტონი), პურსელი (ტამპა ბეი), ბროუერი (ვაშინგტონი).

**კოლამბუსი-ნიუ ჯერსი 5:4**

1:2, 2:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ზეიჯაკი-6 (ბუშე-2, იაგრი-14), 1:1 ატკინსონი-8 (დუბინსკი-12), 1:2 რაიდერი-9 (ენრიკე-6, ბერნიე-4), 1:3 ბრუნერი-5 (ელიაში-12, ზუბრუსი-10), 2:3 დუბინსკი-6 (ატკინსონი-6, ჯ. ჯონსონი-4), 3:3 ატკინსონი-9 (დუბინსკი-13, რ. მიური-4), 4:3 კალვერტი-3 (დუბინსკი-14, ატკინსონი-7), 4:4 ბრუნერი-6 (ელიაში-13, ე. გრინი-11), 5:4 ნ. ფოლინო-9 (რ. იოჰანსენი-14, უმბერგერი-10).

**მონრეალი-ლოს ანჯელესი 0:6**

0:2, 0:4, 0:0

**გოლები:** 0:1 ნოლანი-4 (კოპიტარი-18, უ. მიტჩელი-4), 0:2 კოპიტარი-9 (მ. რიჩარდსი-18), 0:3 მარტინესი-1 (ტოფოლი-6, კლიფორდი-1), 0:4 ტოფოლი-8 (კლიფორდი-2, მ. რიჩარდსი-19), 0:5 მუზინი-2 (სტოლი-6, ვოინოვი-9), 0:6 ჯასტინ უილიამსი-11 (სტოლი-7, მარტინესი-3).

**ფლორიდა-დეტროიტი 3:2 (ბ)**

0:1, 0:1, 2:0, 0:0, 2:1

**გოლები:** 0:1 ბერტუცი-6 (დაციუკი-12, ფრანცენი-12), 0:2 დაციუკი-13 (ჯ. ერიქსონი-7, ფრანცენი-13), 1:2 ბერგენჰაიმი-3 (კულიკოვი-4, ბარკოვი-7), 2:2 ბიუგსტადი-5 (გუდბრასონი-5, ოლსენ-4).

**ბულიტები გაიტანეს:** ბარკოვი (ფლორიდა), ტატარი (დეტროიტი), ბოიესი (ფლორიდა).

**რეინჯერსი-ნეშვილი 1:4**

0:2, 1:0, 0:2

**გოლები:** 0:1 სპალინგი-5 (ჰორნკვისტი-10, ლეგუანდი-16), 0:2 ქლუნი-1 (ჰენდრიქსი-1, გოსტადი-1), 1:2 რიკ ნეში-6 (ბ. რიჩარდსი-15, ბრასარი-9), 1:3 ჰენდრიქსი-2 (ქლუნი-1, გოსტადი-2), 1:4 გოსტადი-4 (ლეგუანდი-17, იოსი-7).

**ვინიპეგი-სტ ლუისი 1:2**

0:0, 0:1, 1:1

**გოლები:** 0:1 სტინი-21 (ოში-22, ბეკსი-14), 1:1 ლიტლი-13 (ლედი-14, ო. იოკინენი-12), 1:2 შატენკირკი-3 (დ. როი-13).

**დალასი-ჩიკაგო 2:6**

0:2, 1:4, 1:0

**გოლები:** 0:1 კოსტკა-2 (კრუგერი-10, ბ. სმიტი-7), 0:2 პ. კეინი-17 (სიბრუკი-18), 0:3 საადი-10 (შოუ-10, კოსტკა-1), 0:4 შარპი-13 (პ. კეინი-22, კიტი-25), 0:5 შარპი-14 (კიტი-26, ტეივზი-16), 1:5 რუსელი-6 (გარბუტი-3, ჯეფრი-2), 1:6 საადი-11 (სიბრუკი-19, პ. კეინი-23), 2:6 რუსელი-7 (გონჩარი-6, გარბუტი-4).

**კოლორადო-ფინიქსი 1:3**

0:0, 1:3, 0:0

**გოლები:** 0:1 ვერმეტი-8 (ინდლი-17, რიბეირო-15), 0:2 შვარცი-2 (ჰალპერნი-2, ბისონეტი-5), 1:2 ბორდელო-4 (მაკლეოდი-5, სერიჩი-5), 1:3 ვერმეტი-9 (ეკმან-ლარსონი-16, ბოდკერი-12).

**კალგარი-ბოსტონი 1:2**

0:0, 1:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ჰუდლერი-9 (ბაერტში-9, ჯორდანო-9), 1:1 კრეიჩი-6 (კრუგი-10, ხარა-6), 1:2 რ. სმიტი-7 (სპუნერი-3).

**ედმონტონი-კაროლინა 5:4 (ო)**

3:1, 1:1, 0:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ტ. ჰოლი-12 (განიე-7, იაკუპოვი-6), 1:1 ტ. რუუტუ-4 (სკინერი-9, სეკერა-11), 2:1 იაკუპოვი-5 (ტ. ჰოლი-15, ფერენსი-1), 3:1 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-7 (ებერლე-16, ფერენსი-2), 4:1 ჟეონსუუ-2 (არკობელო-13, ბელოვი-5), 4:2 ჯ. სტაალი-7 (გერბე-7, სეკერა-12), 4:3 ე. სტაალი-8, 4:4 სკინერი-10 (ლინდჰოლმი-4), 5:4 ებერლე-11 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-17, განიე-8)CAR 4 - EDM 5

**სან ხოსე-აილენდერსი 2:3 (ბ)**

0:0, 2:0, 0:2, 0:0, 1:2

**გოლები:** 1:0 მარლო-14 (დ. ბოილი-8, კუტური-20), 2:0 პაველსკი-10 (დ. ბოილი-9, მარლო-16), 2:1 ვანეკი-10 (ოკსოპო-19, ტავარესი-23), 2:2 ოკსოპო-9 (ტავარესი-24).

**ბულიტები გაიტანეს:** ვანეკი (აილენდერსი), კუტური (სან ხოსე), ოკსოპო (აილენდერსი).

**აღმოსავლეთი**

**ატლანტიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 31 | 21 | 8 | 2 | 44 |
| 2. მონრეალი | 32 | 19 | 10 | 3 | 41 |
| 3. დეტროიტი | 32 | 15 | 9 | 8 | 38 |
| 4. ტამპა ბეი | 30 | 17 | 10 | 3 | 37 |
| 5. ტორონტო | 31 | 16 | 12 | 3 | 35 |
| 6. ოტავა | 32 | 12 | 14 | 6 | 30 |
| 7. ფლორიდა | 32 | 10 | 17 | 5 | 25 |
| 8. ბაფალო | 31 | 7 | 22 | 2 | 16 |

**მეტროპოლიტენი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. პიტსბურგი | 32 | 21 | 10 | 1 | 43 |
| 2. ვაშინგტონი | 31 | 17 | 12 | 2 | 36 |
| 3. კაროლინა | 32 | 13 | 13 | 6 | 32 |
| 4. რეინჯერსი | 32 | 15 | 16 | 1 | 31 |
| 5. ნიუ ჯერსი | 32 | 12 | 14 | 6 | 30 |
| 6. ფილადელფია | 30 | 13 | 14 | 3 | 29 |
| 7. კოლამბუსი | 31 | 13 | 15 | 3 | 29 |
| 8. აილენდერსი | 32 | 9 | 18 | 5 | 23 |

**დასავლეთი**

**ცენტრალური**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო | 33 | 22 | 6 | 5 | 49 |
| 2. სტ. ლუისი | 29 | 20 | 6 | 3 | 43 |
| 3. მინესოტა | 32 | 18 | 9 | 5 | 41 |
| 4. კოლორადო | 29 | 20 | 9 | 0 | 40 |
| 5. დალასი | 29 | 14 | 10 | 5 | 33 |
| 6. ვინიპეგი | 32 | 14 | 14 | 4 | 32 |
| 7. ნეშვილი | 31 | 14 | 14 | 3 | 31 |

**პასიფიკი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ანაჰაიმი | 33 | 21 | 7 | 5 | 47 |
| 2. სან ხოსე | 31 | 19 | 6 | 6 | 44 |
| 3. ლოს ანჯელესი | 31 | 20 | 7 | 4 | 44 |
| 4. ვანკუვერი | 33 | 18 | 10 | 5 | 41 |
| 5. ფინიქსი | 30 | 17 | 8 | 5 | 39 |
| 6. კალგარი | 30 | 11 | 15 | 4 | 26 |
| 7. ედმონტონი | 32 | 11 | 18 | 3 | 25 |

შენიშვნა:პლეი ოფში თითო დივიზიონიდან სამ-სამი საუკეთესო გუნდი გადის, კიდევ ოთხ საგზურს თითო კონფერენციიდან უაილდ-ქარდის მფლობელი ორ-ორი გუნდი მიიღებს.

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| სიდნი კროსბი (პიტ) | 43 (16+27) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 40 (17+23) |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 38 (8+30) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 37 (16+21) |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 36 (12+24) |
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 35 (26+9) |
| კორი პერი (ანა) | 35 (20+15) |
| ალექსანდრ სტინი (ს-ლუი) | 33 (21+12) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 32 (5+27) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 32 (7+25) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექს ოვეჩკინი (ვაშ) | 26 |
| ალექსანდრ სტინი (ს-ლუი) | 21 |
| კორი პერი (ანა) | 20 |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 17 |
| კრის კუნიტცი (პიტ) | 17 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 16 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 16 |
| ფილ კესელი (ტორ) | 16 |
| ტაილერ სეგუინი (დალ) | 15 |
| რაიან კესლერი (ვან) | 15 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 30 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 27 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 27 |
| დანკან კიტი (ჩიკ) | 26 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 25 |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 24 |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 23 |
| ტი-ჯეი ოში (ს-ლუი) | 22 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| გალათასარაი-იუვენტუსი | 1:0 |
| ჩელსი-სტიაუა | 1:0 |
| შალკე-ბაზელი | 2:0 |
| მარსელი-დორტმუნდი | 1:2 |
| ნაპოლი-არსენალი | 2:0 |
| ატლეტიკო-პორტუ | 2:0 |
| აუსტრია-ზენიტი | 4:1 |
| მილანი-აიაქსი | 0:0 |
| ბარსელონა-სელტიკი | 6:1 |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **კლუბები** | |
| კასაბლანკა-ოკლენდი | 2:1 |
| **იტალია** | |
| **სერია C1/B** | |
| კატანძარო-ბენევენტო | 1:0 |
| **იტალიის თასი** | |
| **Lega Pro** | |
| კუნეო-კრემონეზე | 1:1 |
| ვიჩენცა-მონცა | 0:3 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ვერდერი A-მეპენი | 2:1 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ატლეტიკო-ოლივეირენსე | 0:0 |
| ავეში-ტონდელა | 1:0 |
| ბეირა მარი-ფეირენსე | 1:1 |
| ბენფიკა B-სპორტინგი B | 3:1 |
| ლეიქსოეში-კოვილია | 1:0 |
| პენაფიელი-მადეირა | 1:1 |
| პორტიმონენსე-შავეში | 4:2 |
| ტროფენსე-ფარენსე | 1:0 |
| მორეირენსე-მარიტიმუ B | 0:0 |
| სანტა კლარა-ვიზეუ | 1:0 |
| ბრაგა B-პორტუ B | 1:0 |
| **ავსტრია** | |
| სტ. ანდრა-შტურმი | 2:1 |
| **ბულგარეთი** | |
| ლოკომოტივი (ს)-ჩერნო მორე | 0:2 |
| ლიუბიმეცი-სლავია | 2:2 |
| პირინი-ლოკომოტივი (პ) | 0:6 |
| ლიტექსი-ცსკა | 0:0 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| უნიქს-ვეფ რიგა | 98:51 |
| ნ. ნოვგოროდი-ანკარა | 87:92 |
| სპარტაკი-ნილანი | 77:88 |
| ბანვითი-მაკაბი (ჰ) | 95:76 |
| კალევი-სკოპიე | 84:69 |
| პანიონიოსი-ბეშიქთაში | 77:67 |
| რადნიჩკი-ნეპტუნასი | 91:81 |
| ციბონა-ოსტენდე | 82:85 |
| ასესოფტი-ჰაპოელი (ი) | 69:77 |
| ნიმბურკი-კანტუ | 86:74 |
| ფეჰერვარი-ბუდუჩნოსტი | 82:80 |
| პინარი-ხიმკი | 76:95 |
| ვილერბანი-პარიზი | 72:74 |
| ოლდენბურგი-შარლერუა | 74:82 |
| იგოკეა-აკადემიკი | 74:61 |
| ვარეზე-ვალენსია | 62:94 |
| ლე მანი-ერტლანდი | 65:44 |
| ოლიმპია-ულმი | 74:61 |
| სასარი-ცედევიტა | 77:68 |
| **გერმანია** | |
| სკაილაინერსი-ბრაუნშვაიგი | 79:53 |
| **ფრენბურთი** | |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| ბელოგორიე-ოლიმპიაკოსი | 3:0 |
| კეძეჟინი-ფრიდრიხშავენი | 3:2 |
| ჰალკბანკი-ტომისი | 1:3 |
| პარი ვოლეი-ბუდეიოვიცე | 3:0 |
| **ხელბურთი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| ბრაზილია-იაპონია | 24:20 |
| დომინიკა-ს. კორეა | 20:51 |
| ალჟირი-ჩინეთი | 25:27 |
| ჰოლანდია-კონგო | 33:21 |
| სერბეთი-დანია | 23:22 |
| საფრანგეთი-ჩერნოგორია | 17:16 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-სიბირი | 3:2 |
| ბარისი-მეტალურგი (ნ) | 5:3 |
| იუგრა-ადმირალი | 2:3 |
| ავტომობილისტი-ამური | 5:1 |
| ლოკომოტივი-ს. იულიაევი | 4:2 |
| სევერსტალი-ნეფტეხიმიკი | 1:0 |
| ატლანტი-ტრაქტორი | 2:3 |
| სკა-მეტალურგი (მ) | 0:2 |
| სპარტაკი-ტორპედო | 1:2 |
| ცსკა-ლევი | 0:3 |
| დინამო (მნ)-ვიტიაზი | 0:2 |
| ზაგრები-აკ ბარსი | 6:5 |
| დონბასი-დინამო (მ) | 2:3 |
| **ფინეთი** | |
| ჰპკ-საიპა | 3:2 (ო) |

TV პროგრამა

**12 დეკემბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მარსელი-დორტმუნდი.
**12:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ბარსელონა-სელტიკი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XV ტური. ნიურნბერგი-მაინცი.
**16:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**17:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**18:00** არგენტინის ჩემპიონატი. XIX ტურის მიმოხილვა.
**19:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. XIII ტური. პორტო-ბრაგა.
**21:00** ევროპის ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**22:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
**00:05** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
**02:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ეინდჰოვენი-ჩერნომორეცი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბორუსია (მ)-შალკე.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. მილანი-ეფესი.
**14:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერენვეენი-ფეიენოორდი.
**17:00** რაგბი-ლიგა. მსოფლიო თასი. ტონგა-კუკის კუნძულები.
**19:00** სპორტ-NEWS.
**19:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**20:45** კალათბურთი. ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. IX ტური. ცსკა-ბარსელონა (LIVE).
**23:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. პაუ გასოლი. II ნაწილი.
**00:05** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო (კ)-რაპიდი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.
**13:30** სპორტ-NEWS.
**14:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.
**19:15** სპორტ-NEWS.
**19:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.
**22:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ეინდჰოვენი-ჩერნომორეცი (LIVE).
**00:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.

ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -2 | 0 | (თოვლი) |
| ქუთაისი | -6 | 0 | (თოვლი) |
| ბათუმი | -2 | 5 | (თოვლჭყაპი) |
| ფოთი | -2 | 4 | (თოვლჭყაპი) |
| ზუგდიდი | -7 | 1 | (მზე) |
| გორი | -4 | 0 | (თოვლი) |
| თელავი | -3 | 0 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | -5 | 1 | (მცირე თოვლი) |
| გუდაური | -18 | -7 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -15 | -6 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -9 | -2 | (თოვლი) |
| მესტია | -17 | -5 | (მზე) |

ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.3563 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7122 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.8077 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2310 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# 10 იმედგაცრუება

ინტერნეტ-გამოცემა Bleacher Report-მა შეადგინა 2013 წელს, პროფესიული კრივის სამყაროში დაფიქსირებული 10 იმედგაცრუების რეიტინგი.

ამ საინტერესო კლასიფიკაციაში მესამე ადგილი დაიკავა ფილიპინელი **ნონიტო დონერის** დამარცხებამ კუბელ **გილერმო გარსიასთან**. არადა, 2012 წლის შედეგების მიხედვით, დონერი საუკეთესო მოკრივედ დაასახელეს.


პოვეტკინისა და კლიჩკოს ჩხუბი

მეორე ადგილზე გავიდა მექსიკელი **აბნერ მარესის** პირველ რაუნდში ნოკაუტით მარცხი თანამემამულე **ჯონი გონსალესთან**. ხოლო, Bleacher Report-ის ვერსიით წლის მთავარ იმედგაცრუებად გამოცხადდა ბრძოლა მექსიკელ **ხულიო სესარ ჩავესსა** და ამერიკელ **ბრაიან ვეროის** შორის. იმ შეხვედრაში მსაჯებმა გამარჯვება ჩავესს მიანიჭეს, არადა, ბევრს მიაჩნია, რომ მსაჯების ეს არჩევანი 2013 წლის ყველაზე ცუდი და უსამართლო გადაწყვეტილება იყო.

მოგეხსენებათ, 2013 წელს, სუპერმძიმე კატეგორიაში მთავარი ბრძოლა უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოსა** და რუს **ალექსანდრ პოვეტკინს** შორის შედგა. ეს შეხვედრა იმედგაცრუებათა რეიტინგში მეათე ადგილზე გავიდა. ექსპერტები ხაზს უსვამენ იმას, რომ მეშვიდე რაუნდის გამოკლებით, როცა კლიჩკომ ორჯერ ჩააგდო მეტოქე ნოკდაუნში, უკრაინელმა ჩემპიონმა მთელი ბრძოლა ჯებების შესრულებასა და კლინჩში შესვლაში გაატარა. ამ ბრძოლას გადასცემდა ამერიკული ტელეარხი HBO და როგორც Bleacher Report აღნიშნავს, ამ შეხვედრის შემდეგ, ამერიკულ ტელევიზიაში კიდევ დიდხანს აღარ გაჩნდება ინტერესი სუპერმძიმე კატეგორიის ბრძოლების მიმართ.

# ტაისონისთვის ბრიტანეთი დახურულია

ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე მაიკ ტაისონი ვერ შეძლებს თავისი ავტობიოგრაფიული წიგნის ("უტყუარი სიმართლე") პრეზენტაციის მოწყობას.

ყოფილი სპორტსმენი 2014 წლის მარტში უნდა ჩასულიყო ლონდონში, აგრეთვე დაგეგმილი იყო მისი სტუმრობა გლაზგოსა და მანჩესტერში. მაგრამ ბრიტანეთის საიმიგრაციო წესების თანახმად, ტაისონს ქვეყანაში შესასვლელი ვიზა არ მისცეს.

საქმე ისაა, რომ ბრიტანეთის ტერიტორიაზე მოქმედებს კანონი, რომელიც უკრძალავს ქვეყანაში შესვლას იმ ადამიანებს, რომლებიც მინიმუმ ოთხი წელი იმყოფებოდნენ პატიმრობაში ან ჩადენილი აქვთ მძიმე დანაშაული. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე, ტაისონი ექვსწლიან სასჯელს იხდიდა გაუპატიურების გამო.

*"არ გვსურს ამ საქმის დეტალების კომენტირება, - განაცხადა დამოუკიდებელმა ბრიტანელმა ჩინოვნიკმა. - მაგრამ ვიტოვებთ უფლებას, უარი ვუთხრათ ბრიტანეთში შესვლაზე ყველას, ვისაც ოდესმე მძიმე დანაშაული აქვს ჩადენილი. 2012 წლის დეკემბერში ბრიტანეთის სადედოფლოში შესვლის წესები შეიცვალა და ამით გამოვხატეთ სახელმწიფოს ზუსტი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით".*



დღესდღეისობით, ტაისონი მთელ მსოფლიოში მოგზაურობს თავისი ერთი მსახიობის სპექტაკლით: "მაიკ ტაისონი: უტყუარი სიმართლე" და ყვება თავისი რთული და გიჟური ცხოვრების შესახებ. ეს თეატრალური მოქმედება უდიდესი პოპულარობით სარგებლობს და მთელ მსოფლიოში ანშლაგებით გადის. პარალელურად, "რკინის მაიკი" რეკლამას უწევს თავის მემუარებს, რომელშიც ლეგენდარულმა მოკრივემ რამდენიმე სკანდალური აღიარება გააკეთა.

# პაკიაოს 18 მილიონს ედავებიან

რვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **მენი პაკიაო** ექვმიტანილია 18 მილიონი დოლარის გადაუხდელობაში. ამის შესახებ იტყობინება TMZ.com, რომელსაც ხელში ჩაუვარდა აშშ-ის შიდა შემოსავლების სამსახურის დოკუმენტები.

ამერიკის ხელისუფლების მონაცემებით, ფილიპინელმა სწორედ ეს თანხა უნდა გადაიხადოს იმ ბრძოლებისთვის, რომელიც მან აშშ-ის ტერიტორიაზე 2006-10 წლებში ჩაატარა. ამ დროის განმავლობაში, პაიკაომ ამერიკაში 10 ბრძოლა გამართა.


მენი პაკიაო

როგორც ამერიკის საგადასახადო სამსახურში აცხადებენ, 2008 წელს მოკრივემ დამალა 2 862 000 დოლარი. ამ წელს პაკიაომ სამი ბრძოლა ჩაატარა, მათ შორის ერთი **ოსკარ დე ლა ჰოიას** წინააღმდეგ. ამ ბრძოლების სანაცვლოდ, პაკიაომ დაახლოებით 30 მილიონი მიიღო.

ასევე აშშ-ის შიდა შემოსავლების სამსახურს ეჭვი აქვს, რომ ფილიპინელმა არ გადაიხადა 8 მილიონი 2009 წელს ჩატარებული ორი ბრძოლისთვის. მაშინ პაკიაო ხვდებოდა **რიკი ჰატონსა** და **მიგელ კოტოს**. პირველი ბრძოლისთვის მოკრივემ 12 მილიონი მიიღო, მეორესთვის – 7.5 მილიონი დოლარი.

უფრო ადრე, პაკიაოს პრეტენზიები გამოუცხადა ფილიპინების საგადასახადო სამსახურმა. მთავრობას ეჭვი აქვს, რომ მოკრივემ თავის ქვეყანას ჯამში 50 მილიონი დაუმალა. გამოძიების პერიოდში, დააყადაღეს მოკრივის რამდენიმე საბანკო ანგარიში. იგივე ბედი ეწია პაკიაოს სახლს მანილაში. თავად მოკრივე აცხადებდა, რომ მან ამ ბრძოლებისთვის გადასახადი აშშ-ში გადაიხადა. პაკიაომ ისიც თქვა, რომ მას ფილიპინების მთავრობა კრიტიკული განწყობის გამო დევნის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1

# წესები შეიცვალა



პარიზში გაიმართა ფორმულა 1-ის სტრატეგიული ჯგუფისა და კომისიის სხდომა, რომელზეც წესებში რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მიიღეს.

## დანახარჯების ლიმიტი

მიღებულია გადაწყვეტილება ფორმულა 1-ის გუნდებისთვის დანახარჯების ლიმიტის დაწესების შესახებ. ახალი წესი 2015 წლის იანვრიდან შევა ძალაში. ამ გადაწყვეტილების რეალიზაციისთვის შეიქმნება სამუშაო ჯგუფი. მასში შევლენ ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენლები და გუნდების ხელმძღვანელები. სამუშაო ჯგუფის ამოცანაა - შეიმუშავოს დაწვრილებითი პროცედურა ამ წესის ასამუშავებლად.

## საბურავის ტესტები ბაჰრეინში

უსაფრთხოების გაზრდის ინტერესებიდან გამომდინარე, ფორმულა 1-ში დათანხმდნენ სპორტული რეგლამენტის შეცვლას. კერძოდ, ნება დართეს "პირელის", ჩაატაროს საბურავების სამდღიანი ტესტები ბაჰრეინში 2013 წლის 17-19 დეკემბერს. ყველა გუნდი მიწვეულია ტესტებზე და ექვსმა მათგანმა უკვე განაცხადა თანხმობა: "რედ ბულმა", "მერსედესმა", "ფერარიმ", "მაკლარენმა", "ფორს ინდიამ" და "ტორო როსომ".

## პილოტების ნომრები

მრბოლელებს შესთავაზეს ნომრის არჩევა 2-დან 99-მდე. თითოეული პილოტი არჩეული ნომრით მთელი კარიერა იასპარეზებს. პირველი ნომერი ეკუთვნის მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, თუ, რა თქმა უნდა, ის დათანხმდება მის გამოყენებას. თუ ერთ რომელიმე ნომერზე რამდენიმე პილოტს ექნება პრეტენზია, პრიორიტეტი მიენიჭა იმას, ვინც უფრო მაღალი ადგილი დაკავა წინა ჩემპიონატში.

## ახალი ჯარიმები

2014 წლიდან მოყოლებული, უმნიშვნელო დარღვევებისთვის პილოტებს მიენიჭებათ 5-წამიანი ჯარიმა. საერთაშორისო ფედერაციამ გუნდებთან ერთად უნდა განიხილოს ამ სიახლის გამოყენების წესი.

## ქულები ფინალური რბოლისთვის

სეზონის ფინალურ რბოლაში პილოტები და გუნდები ორმაგ ქულებს მიიღებენ. ეს წესი მიმართულია იმისთვის, რომ ჩემპიონატმა ინტერესი სეზონის ბოლომდე შეინარჩუნოს.

არ გამოგრჩეთ დეკემბრის ნომერი!




ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:00 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608